ლოგოსის გზამკვლევი

გურამ ყიფიანი

უფლისცხე

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ, ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲜᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲝᲒᲠᲔᲪᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

•

ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ «ᲚᲝ�გᲝᲡᲘ»

ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ, ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲜᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲝᲒᲠᲔᲪᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ

ᲘᲛᲠᲘᲯᲘᲡ ᲜᲘᲠᲕᲐᲜᲐ

ᲪᲐᲛᲘᲗᲘᲡᲬᲘᲜᲐ

ლოგოსის გზამკვლევი

გურამ ყიფიანი

უფლისცხე

პროგრამა „ლოგოსი“
2002

წიგნი უფლისციხის ცნობილ მკვლევარს ქალბატონ თინათინ ქარუმიძის ნათელ ხსოვნას ეძღვნება

ნაშრომი შეიქმნა საქართველოს აკად. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმების უფლისციხის კვლევის სექტორში. აეტორი მადლიერებით აღნიშნავს სექტორის თანამშრომლების ქ-ნების ნაზი ხუნდაძის, ლალი ახალაიასა და ბატონ ბესარიონ ნიკოლაიშვილის თანადგომას. ზოგიერთ ქვაბულთა აზომვასა და კორექტირებაში დიდი დახმარება გამიწია ბატონმა ვლადიმერ კიკილაშვილმა, ფოტომასალა ლაბორატორიულად დაამუშავა ქალბატონმა ირინე მაღრაძემ.

ამ წიგნის მიზანია უფლისციხის, ამ ძველი ქართული კლდოვანი არქიტექტურული კომპლექსის აღქმა გაუადვილოს ყველას, ვინც კი მისით დაინტერესდება.

ავტორი

რედაქტორი: რისმაგ გორდეზიანი

რეცენზენტები: ვახტანგ ლიჩელი
გიორგი მარსაგიშვილი

© პროგრამა „ლოგოსი“, 2002

ISBN 99928-65-81-4

პროგრამა „ლოგოსი“
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13, 380079 თბილისი
ტელ. 25-02-58

უფლისციხე

უფლისციხედ წოდებული კლდოვანი ძეგლი ისტორიულ შიდა ქართლში მდებარეობს, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, კვერნაქის ქედის ერთ-ერთი სამხრეთის განტოტების კიდეზე და წარმოადგენს, ძირითადად, გამოქვაბულთა ერთობლიობას.

1976 წლამდე ქვაბულთა დასავლეთით, კლდოვანი მასივის ძირში, ძველი სოფელი უფლისციხე იყო განფენილი. ამჟამად აქ ნასოფლარია, მოსახლეობა სასმელი წყლის უკმარობის გამო მტკვრის მარჯვენა მხარეს გადასახლდა და ამ ახალშენსაც უფლისციხე ეწოდა. ამდენად უფლისციხის სახელით ახლა სამი პუნქტი იხსენიება: ძეგლი, ნასოფლარი და სოფელი.

უფლისციხის მოხილვის მოსურნენი, თუ მგზავრობას საგარეუბნო მატარებლით ირჩევენ, სადგურ ქვახვრელში უნდა ჩამოვიდნენ. ეს სოფელი ხიდით უკავშირდება მტკვრის მარცხენა ნაპირსა და, ბუნებრივია, ძეგლსაც. უფლისციხის თვალწარმტაცი ხედი ქვახვრელიდანვე იშლება. ავტომობილით კი უფლისციხეში ქალაქ გორის გავლით მოვხვდებით. გორის რკინიგზის სადგურის მოედნიდან უფლისციხისაკენ



სურ. 1

პირდაპირი გზა მიემართება და უკან ჩამოვიტოვებთ სოფლებს ხიდისთავს, ახალ დასახლება უფლისციხესა და ქვახვრელს (სურ. 1).

თვით ის კლდოვანი ნაშვერი, რომელშიც ქვაბულებია გამოკვეთილი სამკუთხა მოყვანილობის ბორცვია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გაფართოებული და ამაღლებულიც (მისი უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 577 მეტრზე ძევს) და კვერნაქის ქედის სხვა მასივებისაგან შეფერილობითაც გამოირჩევა – იგი, თითქმის ოქროსფერი ქანია (სურ. 2).

სურ. 2

უფლისციხე ისეთი ძეგლია, რომელსაც საიდუმლოებით მოცული ნამდვილად შეიძლება რომ ეწოდოს და მკვლევართა მთელი თაობები ესწრაფვოდნენ მისი დაფარული არსის შეცნობას. გასაიდუმლოებული თვით მისი სახელწოდებაა – უფლისციხე. ვინაა ეს უფალი? ღვთაება თუ მეფე, ან იქნებ სიცხადის მიღმა, წარმოდგენაში ღვთაებად ქცეული მეფე. მითოლოგიურ ღვთაებას ციხე არ სჭირდება, მისთვის ტაძარიც საკმარისია. ძეგლის დაფარულ ბუნებაზე ქართული საისტორიო მწერლობაც მიგვანიშნებს. იგი უფლისციხეს არაერთგზის იხსენიებს, მაგრამ არაფერს გვაუწყებს მისი დაარსების შესახებ და იქნებ იმიტომ, რომ იგი ასე ერთბაშად და ერთიანად არც დაარსებულა, ანუ საქალაქო

სივრცედ არ გააზრებულა. სანამ საისტორიო მწერლობას გადავავლებდეთ თვალს, სადაც ადრეულ უფლისციხეზე მოგვეპოვება ცნობები, მანამდე დიდი ქართველი გეოგრაფოსის ვახუშტი ბატონიშვილის აღწერილობას გავეცნოთ: „აშურიანს ზეით არს უფლისციხე, კუერნაქის გამოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკურის კიდესა, რომელი აღაშენა პირველად უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ჩინგისამდე; აწ არს შემუსრვილი, არამედ შენობა უცხო, კლდისაგან გამოკუეთილი; პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებულნი კლდისაგანვე; გურაბი ჩახერეტით ჩაკაფული მტკურამდ(ე), დიდი, დასავლით აქუს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამოკუეთილნი ქუაბნი მრავალ-დიდნი, არამედ აწ შეუალ არს, აქა არს ბუზნი. გამოსული იხილვების სპა-ლაშკარნი შუბოსანმშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშკრებულნი, ნიშვნენ მისნობად და უწოდებენ უფლისციხეს“[1].

ბატონიშვილის ამ აღწერილობაში უფლისციხის წარმართული სულისკვეთება უთუოდ გამოსჭვივის. გარდა ამისა, როგორც ტექსტიდან ჩანს, მას უფლისციხე უშუალოდ არ მოუხილავს, და, შესაძლოა, არც მის წყაროს. შთაბეჭდილება ისეთია, რომ თითქოს მხოლოდ შორიდან ადევნებენ თვალს ქვაბულებიდან დროდადრო გამოფენილ ლაშქარს. ყველაფერი ეს იდუმალების ბურუსით მოსავს უფლისციხეს XVIII საუკუნისთვისაც კი. ამ დროსაც აქ მისანთა და მოლაშქრეთა რაღაც თემი ფუნქციონირებს და ჩანს მათი იზოლირებული მდგომარეობაც გარე სამყაროსადმი.

ბატონიშვილმა რომ დასავლეთით „ქარაფი მაღალი“ შენიშნა „და მას შინა გამოკუეთილნი ქუაბნი მრავალ-დიდნი“, ამჟამად მთლიანად ჩამოშლილია, ამ რიგის მხოლოდ ორი გამოქვაბული შეგვრჩა: ერთი – „ღვთისმშობლის ეკლესიის“, ხოლო მეორე „მიუვალი გამოქვაბულის“ სახელით. გეოგრაფოსი წერს, რომ ისინი „აწ შეუვალ არს“-ო, მაგრამ, თუ კლდის სტრუქტურას დავუკვირდებით, მივხვდებით, რომ ეს მხარე, ანუ დასავლეთის ქარაფი, თავიდანვე მიუვალი ან ძნელად მისაღწევი უნდა ყოფილიყო (ტაბ. III_1), და კიდევ ერთი, სწორედ ამ მხარის აღწერისას, თითქოსდა სხვათაშორის, გვამცნობს ბატონიშვილი; „აქა არს ბუზნი“ – მოულოდნელი შენიშვნაა. რას უნდა გამოეწვია გამოქვაბულებში ბუზების დაბუდება?

[1] ქც. IV, ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსი. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973. გვ. 366.

უფრო ადრეული წყარო კი — ანტიოქიის საეკლესიო მსოფლიო კრების ძეგლის წერის ქართული თარგმანის (რომელიც ალბათ XVI საუკუნეში შესრულდა) მინაწერი — შემდეგს გვაუწყებს: „ესეცა გუესმა ქვეყანასა სომხითისასა და ქართლისასა რომელნიმე სურბ სარქისს მსახურებენ და რომელნიმე მაცდურთა მათ სახლისა ანგელოსთა უწოდებენ და მსახურებენ სახელ კერპთა და რომელნი უჩინოთა ჰმსახურებენ სადაცა სახლად, გინა გარე ველთა, ანუ სადაც კლდის პირთა, ანუ ხეთა და რომელნიმე უფლისციხელთა ჰმსახურებენ და რომელნიმე ბორანიას ეშმაკთა თაყუანს სცემენ კერპთა რამეთუ ეშმაკნი არიან[2]. ეს ცნობა, რომელიც მრავალმხრივ ანალიზს ექვემდებარება თავისთავად, უფლისციხეში პირდაპირ და დაუფარავად მიუთითებს მძლავრ წარმართულ ორგანიზაციაზე.

უფლისციხე ადრეული საისტორიო წყაროების მიხედვით ძველი ქართული ქალაქის კასპის კუთვნილია, ანუ „უფლისციხე კასპისაი". სამწუხაროდ, არ ვიცით, სადაა ძველი კასპი, მაგრამ ამ ორი პუნქტის ერთიანობა რაღაც სისტემას ქმნის და ასეთი სისტემები არაერთია ჩამოთვლილი „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიერ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლეგენდარულ ლაშქრობასთან დაკავშირებით. მდინარე მტკვრის გაყოლებით იგი ოთხ ქალაქს ასახელებს: „სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაჯე, და ციხენი მათნი; ციხჱ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხჱ კასპისა, ურბნისისა და ოძრაჯისაჲ".[3] თუ ტექსტს ისე მივიღებთ, ვარაუდების გარეშე, გამოვა, რომ ამ ოთხ ქალაქს მხოლოდ ორი ციხე ჰქონია, რაც, რა თქმა უნდა, ყოველგვარ აზრსაა მოკლებული. „სარკინე ქალაქი" მიგვანიშნებს იმას, რომ უნდა წავიკითხოთ კასპი ქალაქი და ა.შ. ანალოგიურად „უფლისციხჱ კასპისა" მინიშნებაა შემდეგი პუნქტებისთვისაც: „უფლისციხჱ ურბნისისა", „უფლისციხჱ ოძრაჯისა". ე.ი. კასპს, ურბნისსა და ოძრხეს თავ-თავიანთი უფლისციხეები აქვთ, ხოლო სარკინეს რატომღაც ციხედიდი.

რა უნდა ვიგულისხმოთ ამ შემთხვევაში ციხეში? „უფლისციხე კასპისა"-ში? მკვლევარები გულისხმობენ ხშირად, რომ უფლისციხე ის სიმაგრეა, რომელიც იცავს კასპს, მაგრამ თვით კასპს, რომელიც საკმაოდ მოშორებული უნდა ყოფილიყო უფლისციხისაგან, ნამდვილად ექ-

[2] ფრაგმენტი მინაწერიდან ანტიოქიის საეკლესიო მსოფლიო კრების ძეგლის წერის ქართულ თარგმანზე, იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველების წარმოშობა. თხზულებანი. ტ.I თბ., 1979. გვ. 128.

[3] მოქცევაი ქართლისაი. შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ, გიუნაშვილმა. თბ., 1979, გვ. 320.

ნებოდა თავისი საკუთარი, ქალაქის მზღუდავი კედლები და აკროპოლისიც, რომელიც დაცვის ზონას გააკონტროლებდა. სხვაგვარი ანტიკური ხანის ქალაქი უბრალოდ წარმოუდგენელია. მაშ უფლისციხეს რაღა ფუნქცია უნდა ჰქონოდა კასპთან მიმართებაში? — გავიხსენოთ კვლავ — „უფლისციხე კასპისა". ერთი კი ცხადია, რომ უფლისციხე ვერანაირ დამცავად ან ფორპოსტად ვერ გამოდგება ქალაქისათვის, სადაც არ უნდა მოვახდინოთ კასპის ლოკალიზაცია, თუნდაც იგი სადმე უფლისციხის სიახლოვესაც რომ წარმოვიდგინოთ, რადგან ეს უკანასკნელი არ მდებარეობს არც გზათა და არც მდინარეთა შესაყართან, იგი არ წარმოადგენს დომინანტს გარემოში, მისგან თვალთახედვის არე საკმაოდ შეზღუდულია და, გარდა ამისა, კვერნაქის ქედის მრავალი წერტილიდან მისი მთელი ფართობი ხელისგულივით მოჩანს. შთაბეჭდილება ისეთი იქმნება, რომ თითქოს მისთვის საგანგებოდ იზოლირებული ადგილი შეირჩა და, ამავე დროს, მიუვალიც. რაც შეეხება იმას, რომ კვერნაქის ქედიდან მისი ტერიტორია კარგად მოჩანს, ეს უნდა ვიფიქროთ, საზრუნავს არ წარმოადგენდა მისი არსებობის პირველ პერიოდში. აქ ჯერ მხოლოდ პირველი პერიოდი ვახსენე უფლისციხის „სიცოცხლისა". მან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, როგორც ჩანს, არაერთხელ იცვალა ფუნქცია და, ბუნებრივია, სახეც.

ახ.წ. I საუკუნეში მეფე არსუკი შესულა უფლისციხეში. მან „კასპი შეიპყრა და უფლისციხჱ განაგო"[4]. არსუკი მცხეთელი „მეფეა" და იპყრობს კასპელი „მეფის" სატახტოს[5]. ამ ცნობაში საინტერესო ისაა, რომ კვლავ ერთად გვხვდება კასპი და უფლისციხე, როგორც ერთიანი სისტემა და გარდა ამისა, უფლისციხე მხოლოდ „განაგო" არსუკმა. თუ უფლისციხე სიმაგრეა, რომელიც კასპს იცავს, მაშინ სწორედ ის უნდა დაეპყრო უპირველესად. „განაგო" მრავალნაირად შეიძლება ავხსნათ.[6] ჩემი აზრით, ამ დროს მისი თავდაპირველი ფუნქცია იცვლება. ქართლის ცხოვრებისეული ცნობა, „არშაკმა (არსუკმა) ჰმატა სიმაგრესა უფლისციხისასა"[7] — ამის დამადასტურებლად მესახება. ის კი, მართლაც რომ „ჰმატა" უფლისციხის გამოქვაბულთა მზღუდავ კედელს ახალი სიმაგრე, არქეოლოგიურად ნამდვილად დასტურდება.

[4] მოქცევაი ქართლისაი. გვ. 321.

[5] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII, გვ. 336-337.

[6] იხ. Г.А. Меликишвили. К истории древней грузии. Тб., 1959. с.43; აგრეთვე ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII გვ. 336.

[7] ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქც. I. გვ. 33.

ერთი საყურადღებო ცნობაც და ამავე დროს კვლავ ბურუსით მოცული; იგივე „მოქცევაჲ“ გვაუწყებს, რომ მეფე მირიანი თხოთის მთაზე ავიდა ნადირობის დროს შორიდან კასპისა და უფლისციხის სამზერად[8]. უფლისციხე აქ კასპთან ერთად ცერემონიალურ კონტექსტშია მოხსენიებული. იგი გარკვეულ რიტუალს უკავშირდება. მათ მეფე მოიხილავს, როგორც რაღაც ჩვენთვის უცნობ სიწმინდეებს. იქნებ ეს ორი პუნქტი მისი წინაპრების კულტს განასახიერებდა.

კლდოვანი არქიტექტურის ძეგლები თავიანთი განთავსებების მიხედვით ძირითადად სამ კატეგორიად იყოფა: 1) კლდოვან ქარაფებზე სპონტანურად, ჯგუფურად ან ტერასულად გამოკვეთილი ქვაბულები, 2) გრძივ რიგად გამოკვეთილი ქვაბულები, რომლებიც თან გასდევენ ოროგრაფიულ სისტემებს, ანუ ქედებს, და 3) ერთიანი კლდოვანი მასივები, რომლებიც ყოველმხრივ, კომპაქტურად განთავსებული ქვაბულებითაა ათვისებული. ამ მესამე კატეგორიას განეკუთვნება უფლისციხე. იგი თითქოს გაგრძელება და ბოლო პუნქტია კლდოვანი ხუროთმოძღვრების იმ ძეგლებისა, იმ დიდი ჯაჭვისა, რომლებსაც ასე მრავლად ვხვდებით ეტრურიაში, იუდეაში, მიდიასა და ირანში და, რაც მთავარია, მთელს ანატოლიაში (ფრიგია, კარია, ლიკია, პაფლაგონია, კაპადოკია). უფლისციხეში, ამ კლდოვანი კულტურის ბრწყინვალე ძეგლში მრავალი, კლდის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ნიშანი იყრის თავს და ეს სავსებით ბუნებრივია. საქართველო გეოგრაფიულად ერთის მხრივ ანატოლიისა და მეორე მხრივ მიდიის ზეგანის გაგრძელებაა, გარდა ამისა, იგი კულტურათა თავმოყრის, მათი გადაკვეთების დიდი გზაჯვარედინიცაა.

ბუნებრივია, რომ კლდოვან არქიტექტურას თავისი დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდეს და ეს უპირველესად ისაა, რომ აქ ვერ განვსაზღვრავთ გამოკვეთილ სტრუქტურასა და არქიტექტონიკას, რადგან, არსებითად, მათ კონსტრუქცია არც გააჩნიათ[9]. აქ ძირითადი წინა მხრის გარდა, არც ფასადები გვაქვს; სამაგიეროდ, კლდოვანი ძეგლი სრულად ასახავს შიდა სივრცეს – ესაა უწვრილესი კონსტრუქციული დეტალების კლდეში კვეთილობანი, კონსტრუქციის იმიტაციები. ანუ ესაა კონსტრუქციული მოტივები, რომელთაც თითქოსდა დეკორატიული მიზნის გარდა სხვა ფუნქცია არცა აქვთ. მაგრამ იყვნენ თუ არა ისინი გამიზნული ხილვისათვის? უფლისციხის ქვაბულები, რა თქმა უნდა,

[8] მოქცევაი ქართლისაი. გვ. 342.

[9] იხ. И.А. Бартенев. Форма и конструкция в архитектуре. Л. 1968. с. 27.

არის „ნიშანი“ საცხოვრისისა. დავუშვათ, რომ ამდაგვარ ქვაბულებს მართლაც საცხოვრისებად ქმნიდნენ, მაშინ მათ შემკობას კონსტრუქციული დეტალებით აზრი არ უნდა ჰქონოდა. მას მორთავდნენ სამკაულით, დეკორატიული მოტივებით, ვთქვათ ვარდულებითა და ა.შ. ისღა გვრჩება ვიფიქროთ, რომ „კონსტრუქცია“ „მიანიჭეს“ კლდეს, მუდმივ „სამყაროს“, როგორც მუდმივ საცხოვრისს, საცხოვრისის მუდმივ და უხილველ მოდელს და ასეთი რამ შეიძლება შექმნილიყო მხოლოდ მიცვალებულთათვის, მათი საუკუნო განსასვენებლისათვის.

ამდენად კლდოვან ნაგებობებში (და მათ შორის უფლისციხეშიც) არქიტექტონიკაზე საუბარი არ გვიხდება, რადგან აქ კონსტრუქცია არ მონაწილეობს. სამაგიეროდ გვაქვს მოდელები, რაც არანაკლებ საყურადღებო მოვლენაა. თუ ჩავთვლით, რომ არქიტექტურა ესაა მაკროკოსმოსიდან, დიდი, ყოვლისმომცველი სივრციდან ადამიანის მიერ გამოცალკევებული სივრცე, როგორც დიდი სამყაროს მცირე მოდელი, მაშინ კლდოვანი არქიტექტურა სწორედ ამ მოდელის ასახვაა და თანაც მდგრადი, რომელიც დღემდე დგას თავისი კლდოვანი კედლებითა და ჭერით და გვაძლევს წარმოდგენას იმ რეალურ არქიტექტურაზე, რომელიც არქეოლოგიურად შესაძლოა ვერასოდეს ვერ დავადასტუროთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში უფლისციხის თავდაპირველი ფუნქციის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ასევე არაერთგვაროვანია მოსაზრებები მისი შექმნის დროზეც. ჯერ კიდევ I საუკუნეში მეფე არსუკმა უცვალა უფლისციხეს ფუნქციაც და სახეც, და შემდგომ მთელი შუასაუკუნეების მანძილზე უფლისციხე ხან სამხედრო ბანაკია (მზამზარეული, კლდეში გამოკვეთილი, ყაზარმებად ქცეული ქვაბულები), ხან საცხოვრისები (ასევე მზამზარეული კლდეში გამოკვეთილი სივრცეები), და ხანაც სულაც საქონლის ფარეხები. თავდაპირველი მისი ფუნქცია, მართალია, შეიცვალა, მაგრამ რაღაც ქვეყნიდან იზოლირებული თემი, „წარმართული“ თემი იქ მაინც ცხოვრობს XVIII საუკუნეშიც კი. მე–IX საუკუნიდან უფლისციხის აქტიური როლი ფეოდალური საქართველოს ცხოვრებაში კარგად ჩანს საისტორიო წყაროს მიხედვით. ამ დროს იგი ნამდვილი ქალაქია, ანუ სამხედრო და პოლიტიკურ იდეათა გადანაწილების ცენტრი.[10] ამ დროს „წარმართულ“ თემთან არსებობს რაიმე კომპრომისი სამხედრო ხელისუფლებიდან, თუ „წარმართები“

[10] ქც. I, მატიანე ქართლისა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ.I თბ., 1955. გვ.255 და შდ. გვ.262-267, გვ. 272-276, გვ. 302-305 და სხვ.

ტოვებენ დროებით უფლისციხეს, ახლა ძალზე ძნელი გასარკვევია. ფაქტი კი ისაა, რომ ესოდენ ხანგრძლივმა ფუნქციონირებამ უფლისციხეს თავდაპირველი იერი თითქმის მთლიანად შეუცვალა. შეიცვალა ცალკეულ ქვაბულთა იერსახეც და, ბუნებრივია, ჭირს თავდაპირველი, კლდეში ნაკვეთი დეტალების გამოყოფა საერთო მასივიდან. ერთმანეთის გვერდითაა ქმნილებები და ქმედებანი ელინური, ელინისტური, რომაული პერიოდისა, ადრეშუასაუკუნეებისა და XIX საუკუნისაც კი. მათი განცალკევება ერთმანეთისაგან ურთულესი პრობლემაა, მაგრამ — არსებითი უფლისციხის თავდაპირველი ფუნქციის შესაცნობად.

რაც შეეხება რომაელთა ბატონობის პერიოდს, იგი აქ ერთობ თვალშისაცემია; ესაა მიზეზი იმისა, რომ მკვლევართა ნაწილი უფლისციხის წარმოშობას სწორედ ამ პერიოდიდან ვარაუდობს, მაგრამ ახლა უკვე სრული სიცხადითაა გამიჯნული ერთმანეთისაგან წინარექრისტიანული ხანის ეს ორი პერიოდი — ელინურ-ელინისტური და ჩვ.წ.ა. პირველი საუკუნე. როდის შეიძლებოდა დაწყებულიყო რომაული არქიტექტურული ფორმების მასიური ასახვა უფლისციხეზე, მისი თავდაპირველი სახის ცვლილებები? ალბათ არსუკის დროს, როცა მან „შეიპყრა კასპი და განაგო უფლისციხე". მართალია, რომაული მხატვრული სახეები ჯერ კიდევ რომაელს არ ნიშნავს, ადგილობრივი მმართველები ბაძავდნენ და აგებდნენ რომაულ სისტემებს, და შეიძლებოდა ასეც გვეფიქრა, რომ არსუკი ბაძავს მათ, მაგრამ აქ რამდენიმე მომენტი ყურადღებას იქცევს. უფლისციხის თავდაპირველი სახის შეცვლა რადიკალურად მიმდინარეობს, ანუ ისპობა ის კრძალვა, რაც მირიანსაც კი თან ახლავს. ცდილობენ მთლიანად გააქრონ უფლისციხის იერსახე, თუმც ისიც კარგად ჩანს, რომ ამ მიზანს ბოლომდე ვერ მიაღწიეს. მიატოვეს უფლისციხე და დაუმთავრებელიც ბევრი რამ დატოვეს. წყაროებით რომაელთა ყოფნა საქართველოში ამ პერიოდში არ ჩანს, მაგრამ რომ არა ისინი, არსუკი სიწმინდეებს ესოდენ თამამად ვერ შეეხებოდა და გარდა ამისა, ამაზე ცხადად მეტყველებს ე.წ. რვაკუთხაკესონებიანი კამარა, კლდოვანი კომპლექსის დომინანტური ძეგლი (სურ. 3). აქ ორი ეტაპი მის კლდოვან ფასადზე ძალიან კარგად ჩანს; გამოქვაბულს რომაელთა ბატონობის ხანაში მთლიანად დაუკარგეს სივრცობრიობა და სატრიუმფო თაღის მოდელად აქციეს[11]. ასეთი ქმედება მხოლოდ რომაული შენაერთის აქ დგომის აღმნიშვნელი შეიძლება ყოფილიყო, და არა

[11] ამ ნაგებობის სატრიუმფო დანიშნულების შესახებ პირველად ეარაუდი გამოთქვა პ. ზაქარაიამ. იხ. П.П. Закарая. Архитектура античных городов Грузии. А.Н. 37. М., 1990. с.18



სურ. 3

მარტო ეს. რომაელთა აქ ყოფნის კვალის სხვა მომენტებზე ძეგლთა აღწერილობისას ვიმსჯელებთ. ერთი კი ცხადია, ხანმოკლე რომაულმა პერიოდმა შუასაუკუნეებს მეტ-ნაკლებად მოუმზადა საფუძველი იმისათვის, რომ უცერემონიოდ მოპყრობოდნენ უძველეს საკულტო ადგილებს. და მაინც, მას რაღაც, საიდუმლოებით მოცული თემი იცავს. იგი აქ მისნობს და სალაშქროდაც კი არის გამზადებული თავად ვახუშტი ბატონიშვილის დროსაც.

უფლისციხის მეცნიერული პუბლიკაციისა და შესწავლის პირველი ცდა ეკუთვნის შვეიცარულ მოგზაურს, ხიძველეთა მკვლევარსა და გეოლოგს, ნევშატელის აკადემიის პროფესორს დიუბუა დე მონპერეს. მან პირველმა შექმნა უფლისციხის გენერალური გეგმა (სურ. 4) და ქვაბულთა აღწერილობანიც ანაზომებითურთ და ჩანახატებით საკმაოდ მკაცრ მეცნიერულ მეთოდს დაუქვემდებარა[12]. მან პირველად დაუკავშირა ის ქვაბულები, რომლებიც რომაული გემოვნების გამოხატულებაა,

[12] Fr. Dubois de Montpereux. Voyage autour du Caucase…III Paris., 1839; Voyage … Atlas. Serie d'archeologie… Paris., 1843, pl. I-IV



სურ. 4

მეფე არსუკის მოღვაწეობას. მისი ატლასი, რომელიც ქვაბულთა ფასდაუდებელ, გრაფიკულ ასახულობას უყრის თავს, როგორც წყარო, ძეგლის თავდაპირველი სახის დასადგენად, სამწუხაროდ, მკვლევართა მიერ ჯერ არ განხილულა. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ დიუბუადან დღემდე, ანუ 1830-იანი წლებიდან ბევრი რამ შეიცვალა უფლისციხეში. თუ ძეგლის სახეცვლილებაზე ამ მონაკვეთით ე.ი. XIX საუკუნის 30 წლებიდან დღემდე ვიმსჯელებთ, უფლისციხის სახეს ჩვენამდე სანახევროდაც კი არ მოუღწევია.

დიუბუადან დღემდე მრავალმა ქართველმა მეცნიერმა გაიხადა ძეგლი თავისი კვლევის საგნად და ცადა ჩასწვდომოდა მის არსს. არც უცხოელი მკვლევარნი და მოგზაურნი დარჩენილან მის მიმართ გულგრილნი და მათაც ბევრი რამ შესძინეს უფლისციხის კვლევას. მარტო არასრული სიაც კი უფლისციხით დაინტერესებული მოღვაწეებისა თვალნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ აღელვებს საზოგადოებას უფლისციხის საიდუმლოების გარკვევის პრობლემა. ამ ნუსხიდან ზოგიერთ მკვლევარს დავასახელებ: პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, გრიგოლ გაგარინი, მურავიოვ-აპოსტოლი, მარი ბროსე, დიმიტრი მელვინეთუხუცესისშვილი, გრაფინია უვაროვა, კ.ფ. ლემან-ჰაუპტი, გიორგი ჩუბინაშვილი, ს. ბეზსონოვი, შალვა ამირანაშვილი, ირაკლი ციციშვილი, ნიკოლოზ სევეროვი, ვახტანგ ბერიძე, კონსტანტინე მელითაური, ნიკო ჩუბინაშვილი, დავით ხახუტაიშვილი, თინათინ ქარუმიძე, გიორგი ლეჟავა, რუბენ აგაბაბიანი,

სურ. 5

ლონგინოზ სუმბაძე, პარმენ ზაქარაია, იულონ გაგოშიძე, დიმიტრი ჯანელიძე, თამაზ სანიკიძე, კახა ხიმშიაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ანდრია აფაქიძე, ვახტანგ ცინცაძე, დავით მინდორაშვილი, ლალი ახალაია, ნაზი ხუნდაძე, ბესარიონ ნიკოლაიშვილი და მრ. სხვ. ამ მკვლევართა და მოგზაურთა მოღვაწეობამ სოლიდური ბაზა შექმნა უფლისციხის გასააზრებლად და ფუნდამენტურად შესასწავლად. მართალია, მკვლევართა მოსაზრებანი მის მიმართ ზოგჯერ რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ეს სავსებით გასაგებია, თვით ძეგლის ურთულესი ბუნების გამო.

უპირველესად უფლისციხის გენერალური გეგმა განვიხილოთ და შევაჯეროთ იგი დიუბუას გეგმას. ორიენტაციისათვის გენერალურ გეგმაზე 20 მეტრიანი კვადრატების ბადეა დაფენილი (იხ. სურ. 5, უფლისციხის გენერალური გეგმა და მისი განაკვეთები, სურ. 13 და ტაბ. XIX).

როგორც აღვნიშნეთ, სამკუთხა კლდოვანი ბორცვი, რომელიც მთლიანად 3,2 ჰექტარს მოიცავს, საკმაოდ ზუსტადაა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართული. მდინარე მტკვრის ერთ-ერთი ტოტი სამხრეთ-დასავლეთიდან და სამხრეთიდან უშუალოდ საზღვრავდა ამ მხარეს. ეს ასე აქვს თავის გეგმაზე დატანილი დიუბუასაც (სურ. 4). მართალია, XX საუკუნის დასაწყისში მტკვარს უცვალეს თავისი ტრადიციული კალაპოტი, მაგრამ ამჟამად იგი დინების ბუნებრივობას თანდათანობით იბრუნებს.

ჩრდილოეთიდან, თითქმის სწორხაზოვნად, ქვაბულთა ერთობლიობა კლდის დანარჩენი მასივისაგან 8 მეტრის სიღრმისა და 6 მეტრის სიგანის ღარით ისაზღვრება. დასავლეთის კიდეს, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილს, ღრმა ქარაფი საზღვრავს, რომელიც ვერტიკალურად ეშვება ძირს 50 მეტრის სიმაღლიდან. აღმოსავლეთის კიდეს გრძივი 7-8 მეტრის სიღრმის ღარი აკონკრეტებს. მის საზღვარს გრძივი, ორ ნაწილად გაყოფილი მოედანი მიუყვება. იგი ქვაბულთა გარეთაა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ისიც ერთიან სისტემაშია განსახილველი. იგი კლდოვანი სტადიონის შთაბეჭდილებას ტოვებს და ეს, ალბათ, ის ერთადერთი ადგილია, სადაც ბატონიშვილი ვახუშტის თქმით „გამოსული იხილვების სპა-ლაშქარნი, შუბოსანმშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშკრებულნი". სტადიონი დაუსრულებელია, სანიველირო სამუშაოები ბოლომდე არაა მიყვანილი. ამას გარდა იგი ბორდიურსაც ითვალისწინებდა დასავლეთის მხრიდან და სართა ღრმულებიც ჩანს კიდეს გაყოლილი (სურ. 6). მე ამ ქმედებას რომაელთა აქ დგომას ვუკავშირებ. სამკუთხა ბორცვის საზღვრები, ცხადია, ყველგან არაა მკვეთრი და იგი

ადამიანის მიერ სხვადასხვა დროს გაძლიერებულია სასიმაგრო ნაგებობებითა თუ ხელოვნური ღარებით. შერჩეულია მოხერხებული ადგილებიც კარიბჭეთათვის; ძირითადად ოთხი კარიბჭე გამოიყოფა ჩრდილო-დასავლეთისა, ჩრდილო-აღმოსავლეთისა, სამხრეთისა და აღმოსავლეთისა. განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ბოლო ორი კარიბჭე იპყრობს: სამხრეთისა, ჩემის აზრით, უძველესი (ძვ. წ.ა. IV საუკუნისა), და აღმოსავლეთისა, საპარადო და ტრიუმფალური, ახ. წ.ა. I საუკუნისა. ეს კლდოვანი კარიბჭეები თავიანთ თანადროულ სასიმაგრო ნაგებობებთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. უპირველესად სამხრეთის კარიბჭე უნდა აღვწეროთ, მისკენ მიმავალი კლდოვანი გზით. გზა მასივის სამხრეთ-დასავლეთი კიდედან იღებს სათავეს და ნამდვილი კლდოვანი მაგისტრალია 1– 1,5 მეტრის სიგანისა (სურ. 7, ტაბ. LIII_1). მისი ცენტრალური არე ამოღარულია, შექმნილია წყლის სადინარი (ტაბ. LIV_2), რომელიც ქვის ფილებით ყოფილა გადახურული. ფილებით გადახურულმა ცალკეულმა მონაკვეთებმა ჩვენი საუკუნის შუა წლებამდეც მოაღწია[13]. შუა გზაზე E18 კვადრატში მაგისტრალი კლდის მასივში ჩაკვეთილ უზარმაზარ ჭას აწყდება, რომლის ზედაპირის დიამეტრი 3,9 მეტრია და 12 მეტრის სიღრმემდე ეშვება (სურ. 8). წყალსადინარი, როგორც ჩანს, არხით გადადიოდა მის ზედაპირზე, რომელიც ამავე დროს ხიდიც უნდა ყოფილიყო მოსიარულეთათვის. მსგავსი ჭები საქართველოს სხვა ძველ ქალაქებსაც ჰქონდა, მაგ. ვანს[14], რომელიც წყლითაც ამარაგებდა გარნიზონსა თუ მოსახლეობას და ამავე დროს საკულტო მნიშვნელობასაც იძენდა. ასეთივე ჭები დასტურდება ლიკიის კლდოვან ნეკროპოლებში: ამიკანდაში, ლიმირაში, მირაში[15]. აქაც სწორედ უზარმაზარი მოცულობის ჭებს უერთდება კლდოვანი ბილიკები წყალსადინარებითურთ. G19 კვადრატში კლდოვანი გზა მკვეთრად იცვლის მიმართულებას ჩრდილოეთისაკენ და ორმოციოდე მეტრის შემდგომ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართება, მაგრამ ამჯერად უკვე კარიბჭის გავლით. ეს კარიბჭე აღწერას ნამდვილად იმსახურებს. ესაა გრძივი კლდოვანი ნაგებობა სიგრძივად ორად განკვეთილი და ორსავე მხარეს 5-5 კვადრატული ოთახით (ტაბ. LVIII). ოთახები ჩაქცეულია. ე.ი. მათ კლდოვანი ჭერი აღარა აქვთ. ამ ნაგებობებს თავიდანვე მი-

---

13 დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე – ქალაქი კლდეში. თბ., 1988, გვ. 18.

14 იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, ვანი „ოქრომრავალი" კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი. Mainz, 1996. გვ. 26. სურ, 11 (გ. ყიფიანის ანაზომი) ტაბ. 80,1.

15 Jurg. Borchardt. Myra. Eine lykische Metropole in antiker und byzantinischer Zeit, Berlin., 1975. გვ. 48.

ექცა მკვლევართა ყურადღება. მათ სავაჭრო უბანი, დუქნები დარქვა[16] და, ძირითადად, ასეთი აზრიც დამკვიდრდა მათი ფუნქციის შესახებ,[17] მაგრამ ეს ნაგებობა უძველესი აღმოსავლური თავდაცვითი სისტემების ერთერთი ელემენტის, კაზემატებიანი (კაზემატი – სასიმაგრო ნაგებობებში შექმნილი სათავსო) კარიბჭის ანალოგიაა, მსგავსი ძველირანული, გაცილებით უფრო ადრეული ნიმუშებისა (მხედველობაში მაქვს კაზემატებიანი კარიბჭეები ჩვენი ნიმუშის მსგავსად გზით ორ სექციად გაყოფილი ნაზორსა და გეზერში)[18]. მისი ტიპოლოგია რა იცვლება საუკუნეთა მანძილზე და ეს სისტემები, ორად გაყოფილი „უჯრედთა რიგი“ მცირეაზიიდანაც მრავლადაა ცნობილი (ძვ.წ. V-IV საუკუნეები) – სურა, ბელეინი[19] (სურ. 46$_{20-23}$) და სხვ. აღწერილი კლდოვანი გზის პირველი მონაკეთი, ჩრდილოეთისკენ



სურ. 6



სურ. 7

გარდატეხამდე დარწმუნებული ვარ, რომ გვირაბში იყო გაყვანილ-ამოკაფული და გარედან, სამხრეთიდან და სამხრეთ დასავლეთიდან იგი არ ჩანდა. კლდის კედლებს ზოგიერთ მონაკვეთში შემორჩენილი აქვთ „კამარულობა“, „თაღოვანება“ სასიარულო დონიდან 3 მეტრის სიმაღლეზე[20].

აღწერილი კაზემატებიანი კარიბჭე სწორკუთხოვან მიმართებაშია ელინისტურ სასიმაგრო კედლებთან, ან უფრო სწორად საკედლე ბუდეებთან. ეს კედლები და შესაბამისად კარიბჭეც რომაელთა ბატონობის ხანაში გაუქმებული ჩანს და მის პარალელურად გრანდიოზული, სწორხაზოვანი კარიბჭის გამართვა ჩაუფიქრებიათ. ესაა 12-14 მეტრის სიგანის კლდეკარი, 50 მეტრის სიგრძისა და საწყისი წერტილიდან 10 მეტრით ამაღლებული (ტაბ. LIII$_2$), მაგრამ მისი გამოკაფვა ბოლომდე ვერ მიუყვანიათ, იგი დაუსრულებელია, თუმცა კვადრატული კოშკი კურტინითურთ (კურტინა – კოშკებს შორის მოქცეული სასიმაგრო კედელი), რომელსაც კარიბჭე უნდა დაეცვა მის ჩრდილოეთით აუგიათ. ესაა დიდი, ყვითელი კირქვის ქვათლილებით ნაგები კოშკის ბოკოლი, რომელზეც ალიზის აგურთა წყობაცაა შემორჩენილი (ალიზის ზომები 0,50x0,50x0,15 მეტრი). კოშკი აქ იმ ელინური საფორტიფიკაციო ნორმის მიხედვითაა აშენებული, რაც ითვალისწინებს კარიბჭის სწორედ მარჯვენა მხრიდან ფლანკირებას, ანუ კარიბჭეში შემომსვლელის ფარით დაუცველი მხრიდან კონტროლს[21] (ტაბ. LV$_1$, სურ. 10, 11, 12). სწორედ ეს კოშკი და მისი მიმდებარე კურტინა (ტაბ. LVI$_1$)

---

16 Fr. Dubois de Montpereux. Voyage…III p. 193-194.

17 ამისაგან განსხვავებით თ. სანიკიძეს ქვაბულთა ეს რიგები „სადარაჯო სენაკებად“ მიაჩნია. იხ. თ. სანიკიძე, უფლისციხე. თბ., 1987, გვ. 19.

18 W. Kleiss. Kastenmauern in der frühen iranischen Architektur. Mélanges Jean Perrot. FRC. Paris, 1990 p. 165-172. pl. 3.

19 Jurg. Borchardt. Myra. გვ.76; გვ. 90.

20 ნ. ჩუბინაშვილმა ფრთხილად გამოთქვა ეს აზრი. მასაც მოეჩვენა, რომ ეს გზა თავდაპირველად თავგადახსნილი არ უნდა ყოფილიყო. იხ. Н. Чубинашвили. Уплисцихе. с. 16.

21 იხ. Витрувий, Десять книг об архитектуре. Пер. Ф.А. Петровского. М. 1936. I, V.2.



სურ. 8

აუქმებს ამ ადგილას მის წინამორბედ ელინისტურ სასიმაგრო ზოლს, რომელიც, როგორც აღვნიშნე, კაზემატებიანი კარიბჭისაკენ მიემართება და რომლის ფუძეც კლდეში საფეხურისებურად ნაკვეთ ბუდეებს წარმოადგენდა. საერთოდ, უფლისციხის ეს მონაკვეთი CH14, CH15 კვადრატები თვალნათელ სტრატიგრაფიულ სურათს გვაძლევს. ამ მონაკვეთზე სასიმაგრო სისტემათა სამშენებლო პერიოდებს კარგად ედევნება თვალი. ელინისტური სასიმაგრო ზოლი თითქმის მთელს სიგრძეზე დასტურდება აღმოსავლეთითა და ასევე ჩრდილოეთით. ეს კონკრეტული მონაკვეთი, კი კლდოვანი ხევითაა გაპობილი, რომელიც სათავეს F11 კვადრატში იღებს (ტაბ. LXI). ამ ხევს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. ნიაღვრების დასაწრეტად სასიმაგრო ზოლში ღარია შექმნილი, ხოლო



სურ. 9

ხევის ჩაღრმავება სადინარის დონემდე თიხატკეპნილით იყო შევსებული. ეს ისედაც ჩანს კედელზე დაკვირვებით. ქვედა რიგები, რომლებიც სახილველად გამიზნული არ იყო, თითქმის დაუმუშავებელი ქვებითაა ნაგები (ტაბ. LVI_3, სურ 11). ეს რომაული ხანის (ამაში ეჭვის შეტანა ძნელია, რადგან კვადრებს შორის, ანუ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ნაკერებში კირხსნარის თხელი ფენა დასტურდება) კოშკი და კურტინა ადრეშუასაუკუნეებში აუმაღლებიათ აგურის წყობით და გარე მხარეს კონტრფორსებიც კი შეუქმნიათ. გვიანშუასაუკუნეებში კიდევ უფრო აუმაღლებიათ სასიმაგრო ზოლი და გარე მხარე „ნახევარ-



სურ. 10



სურ. 11

წრიული" კოშკებით აღუჭურვიათ (სურ. 10, 12). ე.ი. ამ მცირე მონაკვეთზე სულ ცოტა 4 სამშენებლო პერიოდი ჩანს (ტაბ. LV_2). 1) ადრეელინისტური კედლების კვალი, რომელიც ამჟამად კლდეში ნაკვეთი ბუდეების სახით შემოგვრჩა. 2) რომაული პერიოდის კოშკი და კურტინა და მასში გამართული სადინარი. 3) ადრეშუასაუკუნეების აგურის წყობა და 4) გვიანშუასაუკუნეების კედელი, ნაგები შერეული წყობით და „ცისფერწრიული" კოშკები. ადრეელინისტური სასიმაგრო ზოლებიდან ბუდეების გარდა მცირე ფრაგმენტიც შემოგვრჩა წყობისა, რომელიც, როგორც ჩანს, კოშკის საფუძველს წარმოადგენს (K5-ე კვში) და როგორც ჩანს იგიც თავის დროზე მარჯვნიდან იცავდა კიდევ ერთ კარიბჭეს[22] (ტაბ. LVII). კოშკით უნდა ყოფილიყო დაცული ჩრდილო-დასავლეთის კარიც D5-ე კვადრატში. ახლა ძნელია საუბარი, მაგრამ ელინისტური კედლები, როგორც ჩანს, ალბათ, მთლიანად უვლიდა ციხეს უფლისციხეს, აკონტროლებდა როგორც გარე, ასევე შიდა მხარეს, მაგრამ დასავლეთის ქარაფი, როგორც აღვნიშნეთ, ჩამოშლილია, ბუდეების კვალიც განადგურებულია, თუმც ერთგვარი არაპირდაპირი მიუთითებს იმისა, რომ კედლით დასავლეთის მხარეც იზღუდებოდა, მაგალ. ესაა A5 კვადრატში ინტენსიური, მძლავრი, ელინისტური ღარიანი და ბრტყელი კრამიტის ნატეხებისაგან წარმოშობილი ყრილი. თუ არა განადგურებული და ჩაქცეული სასიმაგრო ზოლი, სხვა ვერაფერით ავხსნით აქ კრამიტების არსებობას.

დიუბუადან დღემდე უფლისციხემ არა თუ იცვალა თავისი სახე, არამედ ზოგიერთი ქვაბული მთლიანად განადგურდა. ასეთი მასიური

[22] ეს ფრაგმენტი (გ. ყიფიანის ანაზომი) გამოქვეყნებულია. – იხ. თ. სანიკიძე, ლ. ახალაია, ბ. სიკოლაიშვილი, ნ. ხუნდაძე. უფლისციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული ექსპედიციის 1986-88 წლების საველე მუშაობის ანგარიში. საქ. ხელოვნების მუზეუმის XII სამეცნიერო სესია (ანგარიშები) თბ., 1989. გვ. 18, ტაბ.VI.

რღვევა და განადგურება ძეგლებისა უნდა უკავშირდებოდეს მიმდებარე სოფლებში, განსაკუთრებით ქვახვრელში, ახალი მოსახლეობის გაჩენას, და მათ მიერ ძეგლის საძოვრებად, საცხოვრისებად და საქონლის სადგომებად გამოყენებას (სურ. 14). განადგურებულ ქვაბულებს ცალკეც შევეხებით წიგნში, აქ მხოლოდ ზოგადად, დიუბუადან დღემდე განადგურებულ და სახეცვლილ ძეგლებს ჩამოვთვლით და აღვნიშნავთ:

კომპლექსის ცენტრალურ არეში ოთხი კვადრატის გადაკვეთაზე (D12, D13, E12, E13) დიუბუა სულ ცოტა ორ ქვაბულს აღნიშნავს. ამჟამად ისინი აღარაა, მათ ადგილზე მოედანია შექმნილი და უკანასკნელ დრომდე იქ საცხოვრისი იყო გამართული, თუმც შემორჩა ფრიად საინტერესო კლდეში ნაკვეთი დეტალები იატაკის დონეზე (იხ. ქვემოთ).



სურ. 12

D10 კვადრატში ე.წ. „კლდოვან ბაზილიკაში“ დიუბუა ჯვრულ კამარებს აღნიშნავს ჭერზე. ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში მისი ფრაგმენტები ჯერ კიდევ იკითხებოდა. ამჟამად მთლიანადაა ისინი გამქრალი კლდის დაშლისა და გამოქარვის გამო.

სახეცვლილია უფლისციხის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კლდოვანი ნაგებობაც F12, G12 კვადრატებში. კერძოდ, ერთმანეთის მსგავსი ორი ახალი ოთახია შექმნილი მის განივ მკლავებში დასავლეთითა და აღმოსავლეთით.

B11 კვადრატში არსებულ ქვაბულში ჯვრული გეგმაა შექმნილი თავდაპირველი სწორკუთხა კამერების მაგიერ.



სურ. 13

B10-ე კვადრატში არსებულ ნაგებობაში კი ჭერზე, სადაც ვარსკვლავა კამარის ცენტრში ექვსკუთხა ვარსკვლავი იყო გამოკვეთილი (იხ ქვემოთ) გადათლილია და მრ. სხვ.

დიუბუა ყველაფერს ვერ ხედავს უფლისციხეზე, რადგან, როგორც ჩანს, ბევრი რამ მის დროს მიწით, ანუ ჩამოქცეული და ქვიშად ქცეული კლდის ნაშალით იყო დაფარული. გარდა ამისა, არაკლდოვან ნაგებობებს იგი თითქმის არ აღნიშნავს გეგმაზე. წინარექრისტიანულ საფორტიფიკაციო სისტემების ნაშთებს იგი ვერ დაინახავდა, ხოლო სულ უკანასკნელი პერიოდის ქმედებებს (სახლებსა და ბოსლებს) იგი ძეგლად არც მიიჩნევდა.

უფლისციხე, მისი კლდოვანი ტერიტორია, სამ ტერასად ანუ უბნად ნაწევრდება[23]. ქვედა ანუ სამხრეთისა, ცენტრალურ და ზედა, ანუ ჩრდილოეთისა. დანაწევრება რელიეფითაა გაპირობებული, მაგრამ სხვადასხვა დროის ქმედებებითაცაა დაკონკრეტებული, თუმც მაინც ეს დაყოფა პირობითია და შემოღებულია ლიტერატურაში ძირითადად თხრობის გასაადვილებლად. ქვაბულებით ყველაზე მეტად დატვირთული კი ცენტრალური ტერასაა(ტაბ. LX, LXII).

[23] თ. სანიკიძე, თ. ქარუმიძე. უფლისციხე. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (შემდეგში „აღწერილობა“) თბ., 1990. გვ. 90-91.

გამოქვაბულნი

როგორც უკვე აღვნიშნე, დასავლეთის ქარაფიდან მხოლოდ ორიოდე გამოქვაბული შემოგვრჩა. ერთ-ერთ მათგანს ღვთისმშობლის ეკლესია ეწოდება[24]. (გენერალურ გეგმაზე №1). ძველი ქვაბული ეკლესიადაა გადაკეთებული, ალბათ გვიანშუასაუკუნეებში. იგი A7 კვადრატშია განთავსებული და კლდოვანი მასივის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთის მხარეს მდებარეობს (ტაბ. I, II_1). ეკლესიად ამ ქვაბულის გარდაქმნას მისი ორიენტაციაც უწყობდა ხელს და გარდა ამისა ისიც, რომ კლდეში მასთან მისასვლელი ბილიკის გაკაფვაც ხერხდებოდა. წინა დარბაზი ამჟამად მხოლოდ იატაკის დონეზე შემორჩა. ცენტრალური კი მთლიანადაა გადარჩენილი და მის აღმოსავლეთ ნიშაში აბსიდაა შექმნილი საკმაოდ უხეში კვეთით. დარბაზის რამდენიმე დეტალი თავდაპირველი სახით შემოგვრჩა, რაც საკმარისია იმისათვის, რომ ქვაბულის საწყისი ფუნქციის შესახებ მოსაზრება გამოითქვას. ეს დეტალი უპირველესად კარის წინ გამოზიდული პილონებია და დარბაზის სივრცეში მათ შესაბამისად იატაკის სწორკუთხა ჩაღრმავება. აგრეთვე კარის ღობის ხასიათი – მისი შიდა, სივრცისაკენ გაფართოება და ასეთივე ტეხილი სიმაღლეში ანუ „არქიტრავზე". ეს სისტემაა კარისა, რომელიც სამარხ კამერათათვის შეიქმნა, როგორც კლდოვანი ასევე არაკლდოვანი ნაგებობებისათვის. კარის ამდაგვარი კონსტრუქცია ემსახურებოდა ღრმულში, პილონებსა და არქიტრავის ჭრილში ფილის სამუდამოდ ჩამაგრებას, კამერის ამოქოლვას. ანალოგიური კარის ჭრილია დადასტურებული კიროსის სამარხში[25], ლიკიურ მონოლითურ[26] და კლდოვან სამარხებში[27] (სურ. $46_{18,19}$) და მრ. სხვ. ასე, რომ ამ ნაგებობამ შემოგვინახა თავისი თავდაპირველი ფუნქციის დამადასტურებელი ნიშნები – იგი კლდოვანი სამარხი კამერა იყო. მისმა ორიენტაციამ კი გვიანფეოდალურ ხანაში კამერას ახალი მნიშვნელობა მიანიჭა – ეკლესიისა. მისი ძირითადი სივრცე, რომელიც თავდაპირველად სამარხი ყოფილა, სიგანეშია მიმართული (3,5x3.0 მეტრი) და ზუსტად 3 მეტრის სიმაღლისაა. ჩრდილოეთის კედელში საკმაოდ ღრმა 40 სანტიმეტრის თაღოვანი ნიშია გამოკვეთილი. აბსიდა პოდიუმზეა გამართული, რომლის თითქმის ცენტრში ერთი საფეხურია გამოკვეთილი. აბსიდის კუთხეები პილასტრებითაა აღჭურვილი, რომლებიც მარტივი თაროსებრი ბაზისებითა და კაპიტელებითაა გაფორმებული და შექმნილია მათზე დაყრდნობილი სატრიუმფო თაღის იმიტაცია. დარბაზთან შედარებით აბსიდა 65 სანტიმეტრითაა ამაღლებული. ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ სამარხეული ნიშა – სარეცელია, გარდაქმნილი აბსიდად, რომლის აღმოსავლეთი კედლიდან მასიური საკურთხეველია გამოზიდული, ასევე კლდეში ნაკვეთი. როგორც აბსიდის, ასევე დარბაზის ჭერი კოლოფა კამარას მოგვაგონებს. ადრეული და გვიანდელი ანუ ეკლიისდროინდელი კლდეზე კვეთილობის ნიმუშები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. გვიანდელი კვეთის უხეში კვალი იკითხება პილასტრებისა და აბსიდის კედლებზეც. დარბაზის მოედანი, რომელიც წინა, განადგურებული ქვაბულის ნაშთია, მოსახლეობამ ფიცრულით გადახურა.



სურ. 14

[24] შ. ნათაძე. ღვთისმშობლის ეკლესია, „აღწერილობა" გვ. 89 და იქვე თ. ქარუმიძე. დასავლეთის ეკლესია. გვ. 95-96. ამ კრებულში ეს ძეგლი ორი სხვადასხვა ავტორის მიერაა განხილული, როგორც სხვადასხვა ნაგებობა – გამომცემელთა შეცდომა.

[25] W. Kleis. Madar-e Suleiman. Das Grab des Kyros als Islamisches Heiligtum. AMI. b.12. 1979. p. 281. Abb.1. M. Бенуа. Персидская архитектура эпохи Ахеменидов, ИАИО. М., 1935. ილუსტრაცია 47-ე გვერდზე.

[26] K. Kjeldsen, G. Zahle. Lykische Gräber. AA. 1975 H.3 სურ. 6; G.Zahle. Lykische Felsgräber mit Reliefs aus dem 4 Jh. v. Chr. JDI, B.94. 1979. სურ..10.

[27] H.Crawford, Jr. Greenewalt. Cardis, Archeological Research in 1984, VII. KST. Ankara., 20-24 Mayis. 1985. სურ. 9.

სურ. 15

ქვაბული №2 – „მიუვალი“ გამოქვაბული[28]. ეს ქვაბულიც (C13 კვადრატში) დასავლეთის ქარაფის კუთვნილია (სურ. 15, ტაბ. III_1, IV). მასში მოხვედრა ალპინისტური საშუალებებითაა შესაძლებელი. ქვაბული სულ ორი სათავსისგან შედგება – წინა, ცილინდრულკამარიანი დარბაზისა და დაბალ, გეგმაში სწორკუთხა კამერისაგან. განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ იგი იპყრობს. უპირველესად ის უნდა აღინიშნოს, რომ კლდოვანი ზედაპირების დამუშავება აქ უზადოა. ჭერზე კოჭოვანი გადახურვის იმიტაციაა შექმნილი. ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით ამოკვეთილია „მზიდი კოჭი“, რომელიც თითქმის ორ თანაბარ ნაწილად ყოფს ჭერის ფართობს. გრძივად კი იგი ნაწევრდება ორივე მხრიდან 7-7 „კოჭით“. გადახურვის ამდაგვარ კონსტრუქციათა ანასახები ტიპიურია კლდოვანი სამარხებისათვის და მას ძვ.წ. VI საუკუნიდან მაინც ვხვდებით ეტრუსკულ სამყაროში[29] და ცოტა მოგვიანე-

[28] იხ. დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე I. გვ. 60-62, გ. აბრამიშვილი, ე. ვაჩეიშვილი. უფლისციხის „მიუვალი“ კომპლექსი. ძმ. №3. 1964. გვ.28-34; თ. ქარუმიძე. „აღწერილობა“ გვ. 101-102.

[29] იხ. Ax. Boëthius., Etruscan and Early Roman Architecture, Bangay, Suffolk., 1978. გვ. 86, 87. ილ, 83.

სურ. 16

ბით მცირეაზიაშიც[30]. ყურადღებას იპყროს აღმოსავლეთ კედლის მთელს სიგრძეზე გამოკვეთილი ბორდიურიანი „ტახტი“. მისი სიმაღლე 40 სანტიმეტრია, ხოლო ბორდიურით ანუ ზურგიანად 65 სანტიმეტრი, სიგანე, კი 1 მეტრი. ეს მართლაც ტახტია, ანუ მიცვალებულის სარეცელი და კლდოვან სამარხთა ერთ-ერთი ატრიბუტი. ამასთანავე, მათი კარის საპირისპიროდ გრძელი მხრით გამოკვეთა ახასიათებს პაფლაგონიურ ძვ.წ. V-IV საუკუნეების კლდოვან სამარხებს[31]. ვფიქრობ, რომ წინა დარბაზის თაღოვანება რომაულ პერიოდს უნდა დაუკავშირდეს, შეიძლება იმ დროს იგი მთლად მიუვალი არ ყოფილიყო, თუმცა უკანა დარბაზს, საკუთრივ სამარხ კამერას არავითარი ცვლილება არ განუცდია და ამიტომაც აქ მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალას, რაც არ უნდა მცირე რაოდენობისა და ფრაგმენტულიც უნდა იყოს ის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამ კერამიკული ფრაგმენტების ანალიზის შედეგად დაიბადა აზრი ქვაბულის რამდენამდე უფრო ადრეული (ძვ.წ. V საუკუნე), პერიოდით დათარიღებისა[32]. მანამდე სა-

[30] იხ. H. von Gall. Die paphlagonischen Felsgräber, Tübingen., 1966. გვ. 112, სურ. 28.

[31] იხ. მაგ. სამარხი კლდოვანი კამერები სარეცლებით ყარაყოიუნდეში, ჰამბარკაიაში და მრ. სხვ. – H. von Gall. დასახ. ნაშრ. სურ. 9,12 და სხვ.

[32] იხ. დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე I, გვ. 60-62.

მეცნიერო ლიტერატურაში ზოგადად რომაული ხანა იყო მიჩნეული ქვაბულთა თავდაპირველ პერიოდად და ეს ტენდენცია დღესაც ძალიან მყარია.

ქვაბული №3 E15 კვადრატში[33]. გამოქვაბული ზემოთ აღწერილი ნაგებობის ანალოგიურად წინა კამაროვან დარბაზს შეიცავდა, რომელიც ახლა ჩამოქცეულია, და კვადრატულ კამერას (ტაბ. II_2, ტაბ. V_3). ამ ნაგებობამ ძლიერი ცვლილებები განიცადა, იგი, ალბათ, დიდი კლდოვანი კომპლექსის ნაწილია და ჯვრული გეგმარება ახასიათებდა. ჩამოქცეულია მისი დასავლეთის კუთხე და ნაწილობრივ სამხრეთ-აღმოსავლეთის ოთახი. ჭერი კი მხოლოდ კვადრატულ კამერას შერჩა და ჩანს ისიც, რომ თავდაპირველი ნიშნები ცხოვრების ხანგრძლივმა პერიოდმა აქ მთლიანად გააქრო. „ეზოსა“ და ორივე ოთახის იატაკი თითქმის მთლიანადაა დატვირთული კლდეშივე ნაკვეთი გვიანდელი წრიული, სწორკუთხა და უფორმო ორმოებითა და ღრმულებით, ზოგი მათგანი თონეა, ზოგიც საწური, ხარო და ა.შ. კელდები უსწორმასწორო ნიშებითა და შეღრმავებებითაა სახეცვლილი. კამერის ზომებია 3,80X3 მეტრზე, ხოლო სიმაღლე 2,20 მეტრია.

ქვაბული №4, 5, 6 და 7 D13-E15 კვადრატებში. ქვაბულები სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმართულ ერთიან რიგსა ქმნის (სურ. 16). №4 ქვაბული სწორკუთხა მოყვანილობისაა, ხოლო №5 და №6 ქვაბულები ერთნაირი გეგმით ხასიათდება – წინა, სიგანეში მიმართული დარბაზი და მათ უკან სწორკუთხა კამერები (ტაბ. VII, IX_1). №7 ქვაბული განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და ცალკე აღვწერთ. ცალკე აღწერას №6 ქვაბულიც იმსახურებს, ძირითადად მისი წინა დარბაზის ჭერის გამო. ქვაბული №6,[34] როგორც აღვნიშნეთ, წინა დარბაზისა და კამერისაგან შედგება (ტაბ. VII, $XI_{1,3}$). ნაგებობას სამხრეთის კედელი აღარ აქვს. წინა დარბაზთან შედარებით, კამერის იატაკი 22 სანტიმეტრითაა ამაღლებული (მისი ზომებია 5,20x5,90 მეტრი, სიმაღლე 2,40 მეტრი, ხოლო წინა დარბაზისა 7,60x3,70 მეტრი, სიმაღლე 3,80 მეტრი). ორივე სათავსის იატაკი და კედლები ძლიერაა სახეცვლილი სხვადასხვა დროის ქმედებებით, სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ორმოებით. კამერის ჩრდილოეთ კედელთან ოთხკუთხა 90 სანტიმეტრის სიღრმის ღრმულია ამოკვეთილი. სხვადასხვა ზომის ნიშებითაა დანაწევრებული კედლებიც. მაგ. წინა დარბაზის დასავლეთის კედელზე სამკუთხა მოყვანილობის ნიშებია ამოკვეთილი. ამავე კედელშია გაჭრილი კარიც, რომელიც №7 ნაგებობაში გადის. ეს ქმედებანი გვიანდელია და ვერაფრით ვერ დაუკავშირდება ძეგლის თავდაპირველ პერიოდს. კლდის ადრეული კვეთის კვალი, თუნდაც ჭერზე, თვალსაჩინოდ მიჯნავს თავისაგან უხეშ და მრუდე გვიანდელ ნამოქმედარებს. ცხადია, რომ ნაგებობა ხანგრძლივად ფუნქციონირებდა შუასაუკუნეებში საცხოვრისად. კამერაში, შიდა მხრიდან, უშუალოდ კარის გასწვრივ 20 სანტიმეტრიანი სწორკუთხა ჩაღრმავებაა, იგი ძალიან გავს ასეთსავე ღრმულს №1, ზემოთ აღწერილი ქვაბულიდან, რაც სამარხეული ნაგებობების სტრუქტურას უკავშირდება. ყურადღებას კი ეს ქვაბული წინა დარბაზის ჭერით იქცევს. ჭერის ჰორიზონტალური სიბრტყე 65 სანტიმეტრიანი შუალედებითაა დანაწევრებული შეწყვილებული მორების ქანდაკებებით (ტაბ. XI_3, სურ. 17). მათი საერთო სიგანე 35 სანტიმეტრია. გადმოცემულია ბრტყელი სახურავის მორული კონსტრუქცია, ანუ ხის არქიტექტურული თემატიკა. ჭერის დასავლეთის და აღმოსავლეთის საზღვრებში თითო მორის გამოსახულება გვაქვს და მთლიანად ჭერის პერიმეტრს საზღვრავს 28 სანტიმეტრის სიმაღლის სამსაფეხურიანი სარტყელი. მორების გამოსახვა კლდოვან სამარხებში, ჭერზე, მათი პარალელური წყობით სახურავის მოდელის წარმოქმნას ჯერ კიდევ ძვ.წ. VII-VI საუკუნეების მიდიურ სამყაროში ვხვდებით (სურდა, კიზკაპანის სამარხი[35]), იგივე სურათი გვაქვს ლიკიურ მინოლითურ სამარხებშიც[36], ხოლო პაფლაგონიაში, სალარყოის („დირეკლიკაია“) კლდოვანი სამარხის ჭერზე ჩვენი შემთხვევის სრულიად ანალოგიური სურათია ასახული[37], იმ განსხვავებით, რომ ჭერის ცენტრალური არე თავხეთია გამოყოფილი, ხოლო სიბრტყეებზე შეწყვილებული მორებია განთავსებული. ეს პაფლაგონიური კლდოვანი სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის II ნახევრით თარიღდება და სრული საფუძველი გვაქვს ანალოგიის მიხედვით ჩვენი ქვაბულიც ასევე დავათარიღოთ.

---

33 იხ. თ. ქარუმიძე, „აღწერილობა“ გვ. 106-107, ქვაბული გამოქვეყნებულია „ქარაფისპირა სახლის“ სახელწოდებით.

34 იხ. თ. ქარუმიძე. შეწყვილებულკოჭებიანი დარბაზი, „აღწერილობა“ გვ. 108

35 И.Ф. Бородина. Архитектура Мидии. ВИА. I. М., 1970. გვ. 294, სურ. 5.

36 K. Kjeldsen, J. Zahle. Lykische Gräber. AA. H.3. 1975. სურ. 6.

37 H. v. Gall. დასახ. ნაშრ. გვ. 57-61, სურ. 5.



სურ. 17

ქვაბული №7[38] *D13 D14 კვადრატებში,* „რვაკუთხაკესონებიანი დარბაზი". უფლისციხის არც ერთ სხვა ნაგებობას არ მიუქცევია მკვლევართა იმგვარი ყურადღება, როგორც ამ ქვაბულმა. მის დათარიღებაში შედარებითი ერთსულოვნებაა ლიტერატურაში და ზოგადად გვიანანტიკური ხანაა შემოთავაზებული. აზრთა სხვაობა ფუნქციის გარშემოა. მას მკვლევართა ნაწილი თეატრად მიიჩნევს[39], ნაწილი საცხოვრისად[40], სხვები კი ტაძრად[41]. ეს ქვაბული შორიდანვე იქცევს მნახველთა ყურადღებას. იგი თითქმის ყოველი მხრიდან ჩანს და ერთგვარი დომინანტია უფლისციხის საერთო ხედში (ტაბ. III_2, სურ. 16).

ნაგებობა (ტაბ. VII, IX, X) შედგება ღია კამაროვანი დარბაზისაგან (5,65x6,50 მეტრი, სიმაღლე 8,45 მეტრი) და მის უკან გამოკვეთილი სწორკუთხა კამერისაგან (3,25x4,40 მეტრი, სიმაღლე 3 მეტრი). კამერა დარბაზის იატაკთან შედარებით 1,20 მეტრით მაღლაა გამართული. მის დონემდე ასაღწევად სამი საფეხური კლდოვან კედელში, უშუალოდ ღიობის სივრცეშია გაჭრილი. კამერის ჭერიც კამარულია და წინა დარბაზის ანალოგიურად ასევე ცილინდრული, მაგრამ მისი მრუდი დარბაზის მრუდის საპირისპიროდაა მიმართული (ტაბ. XI_2). კამერაში აღმოსავლეთით სარეცლის კვალიცაა შემორჩენილი. ამავე მხრიდანაა უხეშად გარღვეული კედელი, რომლითაც მოგვიანებით მეზობელ ნაგებობას დაუკავშირდნენ. ერთი შეხედვით აქ გეგმარების ტრადიციული სქემა გვაქვს, თუ გვერდით სათავსოებს დასავლეთისას და აღმოსავლეთისას თავდაპირველ სივრცეებად მივიჩნევთ, მაგრამ ისინი ისე ძლიერაა დაზიანებული გვიანდელი ქმედებებით, რომ ადრეული კვალის დადგენა ძალიან ძნელია. კამარული დარბაზიდან დასავლეთის და აღმოსავლეთის სათავსებში გამავალი კარებები ცრუ ლუნეტებითაა გაფორმებული. სამხრეთის მხრიდან ქვაბული წარმოადგენს ფრონტონიანი ნაგებობის მოდელს, ფრონტონის სივრცეში შეჭრილი თაღოვანი ღიობით (ტაბ. VIII_3). აქ ფრონტონის არასრული ანასახია მოცემული. პროფილირებული კარნიზები მას მხოლოდ დახრილ სირბტყეებზე მიუყვება და მათ ჰორიზონტალური საზღვარი არა აქვთ. ფრონტონის სიბრტყეს ზურგიდან სწორკუთხა მასივი ებჯინება, ანუ კომპოზიცია ჩაწერილი ყოფილა სწორკუთხედში. ნაგებობას წინ წრის მეოთხედის ფორმის კლდოვანი მოედანი აქვს, რომელსაც სამხრეთიდან ორსაფეხურიანი ხარისხედი შემოუყვება. სწორედ ამ საფეხურებმა დაბადა აზრი, რომ ამ ნაგებობის სახით აქ კლდოვან თეატრთან გვაქვს საქმე, რაც სრულიად უსაფუძვლოა. წინა მოედანი ორქესტრადაა მიჩნეული, მაგრამ ამ ფორმის ორქესტრას არ იცნობს არც ბერძნული და არც რომაული თეატრი. კამაროვანი დარბაზი სკენედაა მიჩნეული, მაგრამ იგი მეტისმეტად ღრმაა საამისოდ და თანაც ისინი გრძივ ღერძს არ უნდა ექვემდებარებოდეს, ამავე დროს შეუსაბამობაა თეატრონისაკენ მიმართული ფრონტონიანი სკენე. ამასთანავე, მთელი რიგი ნორმებისა, რომელთაც სათეატრო ნაგებობანი ითვალისწინებს, აქ არ გვაქვს /მაგ. სკენეს სიგრძე ორჯერ უნდა აჭარბებდეს ორქესტრისას[42] და მრ. სხვ.

---

38 იხ. ვ. დოლიძე. კესონებიანი დარბაზი. „აღწერილობა" გვ. 99.

39 შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1971, გვ.100, 102; დ. ჯანელიძე. უფლისციხე, (თეატრმცოდნეობითი ძიებანი) „ხელოვნება" 1990, №10, გვ. 33-46.

40 Н. Чубинашвили. Уплисцихе, с.8.

41 თ. სანიკიძე. უფლისციხე. გვ. 31.

42 Витрувий, V, VI, 6, 7. ბერძნული სათეატრო ნაგებობების შესახებ უზარმაზარი სპეციალური ლიტერატურა არსებობს, იხ. გ. ყიფიანი, უფლისციხის რვაკუთხა უჯრედებიანი კამარული ნაგებობა. „ნარკვევები", VII. თბ. 2002, გვ. 23-28 (იქვე ლიტერატურის ჩამონათვალი). ჯერ კიდევ გ. ჩუბინაშვილმა სავსებით უარყო აქ თეატრის არსებობის შესაძლებლობა. იხ. გ. ჩუბინაშვილი. რეცენზია – შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I. AG. 3. თბ., 1950, გვ. 255.

სურ. 18

ამ ნაგებობის სამშენებლო პერიოდებზე სამხრეთის ფასადი კარგად მეტყველებს. ჩანს, რომ ცენტრალური თაღოვანი ღიობი, რომელიც ფრონტონის სიბრტყეში იჭრება, თავდაპირველი არაა. თაღი ვერ მოიცავს მთლიანად თავდაპირველ სწორხაზოვნებას. რკალის ფუძეებთან იკითხება თავდაპირველი სიბრტყე, ძირითადი სიბრტყიდან შეზიდული ზედაპირის ნარჩენები (ტაბ. $VIII_{1,2}$) და ეს უკეთ ჩანს დიუბუას ჩანახატზე (ტაბ. VIII_4), რომაულ პერიოდში ღიობის სწორკუთხა კონტურები ამაღლდა და თაღოვნად იქცა. ამასთანავე „კესონებითაც" შეიმკო. ფასადის დახრილი კალთები კი კარნიზითურთ, ალბათ, თავდაპირველი წარმოშობისაა; რომაული გემოვნება გამოჰყოფდა ჰორიზონტალურადაც ფრონტონს და თაღს თავსართსაც შემოაყოლებდა ტრადიციულად.

რაც შეეხება კამაროვანი ჭერის დეკორს, აქ იგი მიღებულია რვაკუთხა და კვადრატულ-შუალედური „კასეტების" კომბინაციით. (ტაბ. IX_2, X, სურ. 18) პოპულარობა ამ სქემამ რომაელთა ბატონების პერიოდში შეიძინა, ისე, კი დაისესხა ელინისტური ხანიდან. მკვლევარები შესადარებლად უთითებდნენ მაქსცენციუსისა და კონსტანტინეს ბაზილიკას, კარაკალას თერმების თეპიდარიუმს[43]. ორივე შემთხვევაში რვაკუთხედთა დგომა ჰორიზონტალურია უფლისციხის დიაგონალური დგომისაგან განსხვავებით. ეს სისტემა დეკორატიულობისათვის უფროა შექმნილი, ვიდრე კონსტრუქციისათვის[44]. ჩამოთვლილი მაგალითების გარდა ამ სისტემას ვხვდებით პომპეიში ფორუმის თერმებში[45], რომში Domus Augustana-ში[46] და სხვ. იგივე სქემა ელინისტურ ნაგებობებშიც გვხვდება. მაგ. კედლის მოხატულობა პრიენეს ერთ-ერთი სახლში[47] და სწორედ დიაგონალურად მდგარი რვაკუთხედების რიგით, ისევე როგორც ალექსანდრიაში კამაროვან ჭერზე ე.წ. ანფუშის ნეკროპოლისში (გვიანელინისტური პერიოდი)[48]. უფლისციხეში აღწერილი კესონების შექმნის პერიოდად და საერთოდ არსებული ქვაბულის ღია კამაროვან ნაგებობად ქცევა, ჩემი აზრით, სავარაუდოდ, ახ.წ. I საუკუნეში უნდა მომხდარიყო.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ის ნაგებობაა, რომელიც ქმნის უფლისციხის ხედს და თავისთავად იბადება აზრი, რომ რომაელებმა აქ წარმოსახეს სატრიუმფო თაღის მოდელი ელინისტური სამარხის გადაკეთების შედეგად. შორიდანვე მიანიშნებდა იგი, ალბათ, მათ აქ დაფუძნებას.

ქვაბული №8 C13 კვადრატში. ქვაბული სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენაა მიმართული და №7 ქვაბულთან შედარებით მისი იატაკი 4 მეტრით მაღლაა გამართული. მის წინა ეზოსაც, როგორც ჩანს, ხარისხედებიანი ბორდიური შემოუყვებოდა. მისი წინა დარბაზის კამაროვნად ქცევაც, ალბათ, რომაულ ხანაში გადაუწყვეტიათ. ამჟამად იგი მთლიანად ჩამოქცეულია და ნაგებობიდან მხოლოდ გეგმაში სწორკუთხა, ოღონდ სხვადასხვა დროს სახეშეცვლილი კამეარაღა დაგვრჩა (4,5x3,4 მეტრი, სიმაღლე 3,1 მეტრი), ირგვლივი ჰოდიუმით (სარეცლებით) (ტაბ. $V_{1,2}$, VI_{2}).

ქვაბული №9 D13, E13 კვადრატი.[49] აღმოსავლეთისაკენ მიმართული ქვაბულია (ტაბ. $XII_{1,2}$, XIII, XIX_3), საკმაოდ რთული გეგმის მქონე. აქაც ძალიან ძნელია თავდაპირველი ნიშნების გამოყოფა. იგი ძლიერ

---

43 შდრ. და იხ. А. В. Кузнецов. Своды и их декор. М., 1938. გვ.55; J. Durm. Die Baukunst der Etrusker und Römer.Stuttgart, 1905, s. 257. Fig, 276, 278

44 А.В. Кузнецов. Своды... გვ. 56

45 J. Durm. Die Baukunst der Etrusker und Römer. ფერადი ილუსტრაცია 418 გვერდის შემდგომ.

46 J. Durm. დასახ. ნაშრ. სურ.578.

47 Th. Wiegand, H. Schrader. Priene. Berlin., 1904. სურ. 128.

48 К. Михаловский. Александрия. Варшава., 1970. სურ. 15.

49 თ. ქარუმიძე. „დიდეზოიანი სახლი". „აღწერილობა" გვ. 96.

სახეცვლილია და ძირითადი გადაკეთებანი, მისი წინა დარბაზის კამარულად გადაქცევის მცდელობა, ასევე რომაულ პერიოდს უნდა დავუკავშიროთ. შუასაუკუნეებში კი მისი ამაღლებული კამარული სივრცე ორ სართულად გაუყვიათ. სართულშუა გადახურვის კოჭების კვალი დარბაზის ორსავე კედელზე ჩანს[50]. ასეთი მაგალითები ხშირია და უფლისციხის სხვა ნაგებობებშიც გვხვდება. ნაგებობა დასავლეთ და აღმოსავლეთ ღერძზე სულ ცოტა სამ დარბაზს მაინც შეიცავდა, ხოლო წინა დარბაზიდან მას მკლავებიც უნდა ჰქონოდა განვითარებული ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეებში, რომლებიც ამჟამად დეფორმირებულია და ფორმაშეცვლილი. ყველაზე უკეთ უკიდურესი დასავლეთი დარბაზი შემორჩა, მაგრამ მისი იატაკიცა და კედლებიც სხვადასხვა პერიოდის ქმედებებითაა დამახინჯებული. კედლები სხვადასხვა ზომისა და სიღრმის ნიშებითაა დანაწევრებული, იატაკი კი ორმოებითაა მოფენილი. ყურადღებას აქაც ჭერის მორთულობა იმსახურებს. მისი ფართობი სამხრეთ-ჩრდილოეთ მიმართულების ცენტრალური „კოჭით“ ორად იყოფა და მასზე 6-6 განივი „კოჭი“ ეფინება (ტაბ. XIII$_3$). ჭერის პერიმეტრს საფეხურებიანი სარტყელი უვლის. ჭერის ეს სახეობა ტიპიური ჩანს აქ და მის პარალელებს ძირითადად კვლავ პაფლაგონიურ ძეგლებზე ვხვდებით[51]. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჭერი თანდათანობით ნადგურდება, კოჭთა მკვეთრი გეომეტრიული ფორმები ქრება, რადგან მთლიანად კლდოვანი მასივის ეს მონაკვეთი დიდი რაოდენობის მარილების შემცველია. ზედაპირიდან ნალექები მარილების დარეცხვას ახდენს კლდოვან გარსზე და წარმოიშვება ერთგვარი მარილოვანი ქერქი, რომელიც თანდათანობით წყდება კვეთილ ზედაპირს.

ქვაბული №10 და 11 ძირითადად G12 კვადრატი.[52] ეს ნაგებობანი უფლისციხის სხვა ქვაბულებთან შედარებით გვიან მოხვდა სამეცნიერო მიმოქცევაში. ნაგებობათა „შიდა ეზოების“ იატაკს 4-5 მატრის სიმაღლის კლდის ნაშალი ფენა ფარავდა, რომელიც 1970-იან წლებში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გაწმინდა და გაასუფთავა გვიანდელი დანაშრევებისაგან. კომპლექსი, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, დიუბუას აუზომია, მაგრამ იგი მის დიდ ნაწილს ვერ ხედავდა სწორედ ჩამოქცეული და დაშლილი კლდის მასივის გამო. ორივე ნაგებობას (№10 და №11) აერთიანებს ერთი წინა ეზო სამხრეთისაკენ გახსნილი, თუმც ადგილზე ამის დანახვა ჭირს, რადგან იგი ორადაა გაყოფილი უხეშად ნაგები გვიანდელი კედლით. ეზოს დასავლეთ მხარეს ერთი მცირე ზომის კამერაა გამოკვეთილი, ხოლო აღმოსავლეთ მხარეს ორი. დასავლეთ კამერა თითქოსდა უსახოა, მაგრამ მაინც რამდენიმე ნიშანი იპყრობს ყურადღებას; მისი კარის ღიობი პროფილირებული ყოფილა, არშიები შემორჩენილია ზემოთა და მარცხენა მხარეს და, გარდა ამისა, კარის წირთხლების ორსავე მხარეს, ცენტრალურ არეებში — ვერტიკალური ღარები დაუყვება. იგი თავისთავად გვაგონებს პორტკულისთათვის (ვერტიკალურად მოძრავი კარი-ტიხარი) ამოკვეთილ ღარს, მაგრამ მათი მოძრაობისათვის ზედა სივრცეცაა საჭირო. ამდენად ეს ღარები მუდმივი კარის ღარებში ანუ ბუდეებში ქვის ფილის ჩასმას ემსახურებოდა და ამდენად ეს სწორედ ისაა, რაც თავდაპირველი პერიოდიდან, მისი სამარხ კამერად ფუნქციონირებიდან შემოგვრჩა. არც რომაულ ხანაში და არც შუასაუკუნეებში კარის ღიობის ამოქოლვის საჭიროება არ უნდა დამდგარიყო. აღმოსავლეთ მხარის კამერები კი იმდენადაა სახეცვლილი, რომ აქ თავდაპირველს ვეღარაფერს წავიკითხავთ. ესოდენ დიდი განსხვავების მიზეზი მათ დაცულობაში ცხადი გახდება, თუ დიუბუას გეგმას დავხედავთ. დასავლეთ კამერა მის გეგმაზე არაა, იგი მიწითაა დაფარული, ხოლო აღმოსავლეთ კამერებს დიდი სიზუსტით ასახავს. იგი მის დროსაც ფუნქციონიერბდა, ალბათ, როგორც მუდმივი, თუ დროებითი სადგომი. ამიტომაც მისი იატაკი უფორმო ორმოებითაა დასახიჩრებული, ხოლო კედლები უსისტემოდ გარღვეული.

№10 ნაგებობის „შიდა ეზო“ სწორკუთხედია (10,36x12 მეტრი). მის დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებს ორ-ორ საფეხურიანი ხარისხედი მიუყვება. როგორც ჩანს, ასეთივე ხარისხით იყო აღჭურვილი მისი ჩრდილოეთ მხარეც. ამჟამად მისი მხოლოდ ერთი საფეხური იკითხება და, გარდა ამისა, ცენტრალურ არეში ქვედა საფეხურის ნარჩენი, რომელიც, როგორც ჩანს, დაამოკლეს და პოდიუმზე ასასვლელ კიბეს მიუსადაგეს. ეს ქვედა საფეხური რამდენადმე უცნაურად გამოიყურება და არაორგანულ შთაბეჭდილებას ტოვებს. მის თავდაპირველობაში ეჭვის შეტანა ნამდვილად შეიძლება. საფეხურები კი, რომლებითაც პოდიუმზე ავდივართ, არცთუ მთლად ცენტრშია გამოჭრილი. საფეხურები თავიდანვე რომ განზრახული ყოფილიყო, იგი, რა თქმა უნდა, პოდიუმის წინ, კლდეშივე გამოიკვეთებოდა. საფეხურების მე-7 ხარისხში სწორკუთხა ბუდეა ჩაკვეთილი, შესაძლოა, აქ საკურთხეველი აღმართეს. პოდიუმით შევდივართ ფართე თაღოვან სათავსოში, რომელიც ქვაბულის გამანაწილებელი ბირთვია, ჯვრული გეგმარების ცენტრი. ჭერი ამ დარბაზს კამარული აქვს, მაგრამ იგი ვერაა ბოლომდე მიყვანი-

[50] К.Н.Мелитаури. Крепости дофеодальной и феодальной Грузии I. გვ. 21-28, სურ. 7-8.

[51] მაგ. სამარხი კამერა ორდაპისარიდან (საკალე), H. v. Gall. დასახ. ნაშრ. სურ. 28.

[52] თ. სანიკიძე. „მაყვლიანი“. „აღწერილობა“ გვ. 101.

ლი. მისი უსწორო რკალი თვალშისაცემია. მას ჩრდილოეთით კვადრატულკასეტებიანი (სურ. 19) კამერა მოსდევს (4,20x3,20 მეტრი, სიმაღლე 4,20 მეტრი), მას კი, თავის მხრივ, პატარა და ყრუ კამერა ებმის. მისკენ გაჭრილი საფეხურები გვიანდელი ქმედებების ნათელი ნიმუშია. ცენტრიდან ქვაბული დასავლეთითა და აღმოსავლეთითაც ვითარდება, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს მკლავები თავდაპირველად გაცილებით მოკლე იყო, იგი დიუბუას შემდგომ გაფართოვდა ორივე მიმართულებით. ორი ძირითადი სამშენებლო პერიოდი აქ ნათლად იკვეთება; მეორე ანუ რომაული პერიოდი ნაგებობის ფუნქციის შეცვლას ითვალისწინებდა, ამ დროს სამხრეთიდან გაიხსნა ქვაბულის ცენტრი და კამარული ჭერის იმიტაციაც შეიქმნა, „შიდა ეზოდან“ პოდიუმზე ასასვლელი საპარადო საფეხურებიც გაიჭრა და კიდევ ერთი: როგორც დასავლეთ ასევე აღმოსავლეთ განტოტების ჭერზე დაწყებულია და ვერგასრულებული კესონების ამოკვეთა. ისინი რომბულებია (სურ. 20) და მთლიანად თავსდება რომაელთა რეპერტუარში. ასეთი ფორმის უჯრედები მხოლოდ დეკორატიული ხასიათისაა, განსხვავებით ჩრდილოეთის კამერის კვადრატულ-კასეტებიანი ჭერისაგან. მისი

სურ. 19

ზუსტი ანალოგიები ცნობილია როგორც ეტრუსკულ,[53] ასევე მცირეაზიულ კლდოვან სამარხებში[54], ძირითადად ძვ.წ. IV საუკუნის ძეგლებში. ჩვენი კვადრატულ-კასეტებიანი ჭერი ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია მსგავს ძეგლებს შორის, როგორც დახვეწილი კვეთით, ასევე ფორმის სისრულით.

რაც შეეხება ხარისხედს „შიდა ეზოში“, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ხშირად გვხვდება როგორც პაფლაგონიურ ასევე მიდიურ სამარხებშიც და სწორედ სამარხ კამერათა წინა სივრცეებში[55]. ამასთანავე მცირეაზიაში გვხვდება ისეთი კლდოვანი სამარხებიც, სადაც კამერები პოდიუმთა დონეზეა გამართული[56]. საწყისი პერიოდის თარიღი ამ ნაგებობისათვის ძნელი დასადგენია. ჭერის მიხედვით შეგვიძლია მხოლოდ მისი შექმნის დროდ ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი მივიჩნიოთ.

ქვაბული №11. შედარებით მარტივ სქემასაა დამორჩილებული – გრძივ ღერძზე ერთმანეთს სამი სივრცობრივი უჯრედი ებმის: „ღია

სურ. 20

53 St. Steingrüber. Die Tomba bei Festoni in Tarquinia und die Deckenmalereien der Jüngeren etruskischen Kammergräber. AA. 1988. H.4. გვ. 226, სურ. 10.

54 H. v. Gall. დასახ. ნაშრ. სურ.24.

55 H. v. Gall. დასახ. ნაშრ. გვ. 93ბ სურ. 15; მისივე Zu den „medischen“ Felsgräbern in Nordwestiran und Iraqi Kurdistan. AA. 1966. H.1. სურ.3.

56 H. v. Gall. Die paphlagonischen... სურ. 22.

ეზო“, გრძივი ტალანი და კამერა. „ეზოს“ დასავლეთი კედლის ტეხილობა ახლა ძნელი დასადგენია, თუ რა პერიოდისაა, მაგრამ ამ ნაგებობასაც რომ არაერთი ცვლილება განუცდია საუკუნეთა მანძილზე, სავსებით ცხადია. მისი თაღოვნად გადაქცევის მცდელობა აქაც აშკარაა. ამ ნაგებობათა ანუ შეწყვილებულ ქვაბულთა ფასადიც საკმაოდ მდიდრულად უნდა ყოფილიყო მორთული. კლდოვან პილასტრთა კვალი წინა,

სურ. 21

ანუ სამხრეთის ორივე ნაგებობის მომცველ კედელზე კარგად იკითხება. ეს დეტალი, და გარდა ამისა „შიდა ეზოთა“ კედლების ზედა ნაწილში კლდოვანი ქანების რამდენადმე ცენტრისკენ გადმოხრილობა, მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ „შიდა ეზოები“ ორივე ნაგებობისა თავდაპირველად მთლიანი ქვაბული იყო. გავიხსენოთ ისიც, რომ ეზოები სწორედ კლდის ნაშალით იყო დაფარული.

ორიოდე სიტყვით ისიც უნდა აღვნიშნოთ, თუ რა ფუნქცია შეიძლებოდა მინიჭებოდა მათ რომაელთა ბატონობის ხანაში, რა მიზანს ისახავდა მათი ფორმათცვლილებები. შესაძლოა, აქ ტაძრის გამართვა იყო გათვალისწინებული. შეწყვილებული ქვაბულები ერთმანეთის პარალელურად მიმართულნი და მათი დიდი სივრცე, ამის საშუალებას იძლეოდა; ეს სქემა (შეწყვილებულნი), მთლიანად რომაელთა ტრადიციებში თავსდება, გავიხსენოთ თუნდაც გადეს სამლოცველო დურა ევროპოსში[57] და მრ. სხვ., რომელსაც თავისთავად უძველესი საწყისები აქვს.

[57] H. Th. Bossert. Altsyrien. Tübingen. 1951. კატ. 335



სურ. 22

ქვაბული №12 „ორბურჯიანი დარბაზი“, „თამარის დარბაზი“[58] *და სხვ. C12, D12 კვადრატები.* ამ ნაგებობას გულგრილი არავინ დაუტოვებია ვისაც, კი უფლისციხე მოუხილავს. იგი მართლაც გამოირჩევა სხვა ქვაბულებისაგან თავისი შთამბეჭდავი მოცულობითა და ცალკეული დეტალებით. ურთულესი საკითხებია მისი თავდაპირველი სახის წარმოდგენა, მისი ფუნქცია და თარიღის დადგენა. გვიანდელმა ქმედებებმა კომპლექსის შესწავლის გზებზე დიდი სირთულეები შექმნა. მკვლევართა შორის აზრთა არსებით სხვადასხვაობაა, როგორც შექმნის თარიღის, ასევე მისი დანიშნულების გამოც. მასში ხედავენ მისაღებ დარბაზს[59], სასახლეს[60], ან ტაძარს[61]. ამჟამად ქვაბული წარმოადგენს დიდ დარბაზს (9,50x9,35 მეტრი, სიმაღლე 5,69 მეტრი) სამი

[58] თ. ქარუმიძე. ორსვეტიანი დარბაზის (მთავარი ტაძრის) კომპლექსი. „აღწერილობა“ გვ. 103-105

[59] Dubois de Montpéreux. Voyage... T. III. გვ. 199-203.

[60] Д. Хахутаишвили, Город, высеченный в скалах. Тб., 1965 გვ. 29-31;Н. Чубинашвили. Уплисцихе, გვ. 9.

[61] Т. Карумидзе, Уплисцихе (Архитектура и строительные периоды цитадели). ТД СПИПАИ 1970. Тб., 1971; თ. სანიკიძე. უფლისციხე. გვ.33-34. К.В. Химшиашвили. Зодчество Уплисцихе античного периода,авт. дисс. на соиск. уч. ст. КИН. Ереван., 1988. გვ.13; Ю.М. Гагошидзе. Дохристианские храми Грузин IV МСГИ Тб., 1983. გვ. 5.

მხრიდან დამატებითი სათავსებით და აღჭურვილს წინა ეზოთი (ტაბ. XX, XXI_1, XXVI_1), მაგრამ წინა ეზოც, რომ თავის დროზე ქვაბული იყო, ეს სრულიად აშკარაა (სურ. 24, 25). მისი კლდოვანი კედლები ამჟამად რიყის ქვის წყობისათვის ცოკოლადაა გამოყენებული, მაგრამ ისინი რომ სიმაღლეში გრძელდებოდნენ და კლდოვანი კედლები რომ დეკორატიულ ელემენტებსაც შეიცავდა, ეს ჩანს პილასტრთა ნარჩენებით და გარდა ამისა „ეზოს" ჩრდილოეთის კარის პილონები ვერტიკალური ღარებითაა აღჭურვილი „სამუდამო კარისათვის" (ტაბ. $XXVI_{2,3,6,7}$).



სურ. 23

დარბაზის ცენტრალურ არეში ორი კლდოვანი ბურჯის კვალია შერჩენილი, ხოლო ჭერზე, მათ შესაბამისად, კაპიტელთა კვადრატულ აბაკუსთა (აბაკუსი – კაპიტელთა ანუ სვეტისთავთა დამაგვირგვინებელი სიბრტყე, ფილა) ნარჩენები სამხრეთ-ჩრდილოეთ ღერძზე და ისინი დარბაზს ორ არათანაბარ ნაწილად ანაწევრებენ. ბურჯთა ფრაგმენტები იატაკის დონიდან ახლა მხოლოდ 20-30 სანტიმეტრზეა ამოზიდული (სურ. 21), გრ. გაგარინის ნახატზე კი ისინი ადამიანის სიმაღლისანი მაინც არიან (ტაბ. XXIV_1) და, ამასთანავე, რვაკუთხა ძაბრისებურ ბაზისებს შეიცავენ. საკმაო სიმაღლისანი ჩანან ისინი, თუმც უკვე ფორმადაკარგულნი 1950 წელს გადაღებულ ფოტოზეც (ტაბ. XXIV_2). დარ-

ბაზის აღმოსავლეთი კედელი ჩამოშლილია და მისი ფრაგმენტები „ეზოშია" დაცვენილი. ჩანს მათზე ისიც, რომ კედელი დეკორატიულობას მოკლებული არ ყოფილა – სამ-საფეხურიანი თაროსებური სარტყლები აჩარჩოებდა მას. კარი აქაც ისევეა გამართული, როგორც წინა დარბაზში („ეზოში") აღვწერეთ, ანუ ვერტიკალური ღარებით, მათში ქვის ფილის სამუდამოდ ჩასამაგრებლად (ტაბ. $XXVI_{4,5}$). ეს კედელი კარის ორსავე მხარეს შიდა მხრიდან ნიშებითაც ყოფილა დანაწევრებული. ნიშებით ყოფილა აღჭურვილი ყველა კედელი, რომლებიც მოგვიანებით გაურღვევიათ და სარკმლებად უქცევიათ. მათი თავდაპირველი სახის აღდგენა ახლა ძალიან ძნელია, თუმცა ჩრდილოეთის კედელი რაღაც წარმოდგენას მაინც იძლევა. აქ სამი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი სხვადასხვა ზომის (ტაბ. XXIII). თავდაპირველი ნიშნები ყველაზე უკეთ დასავლეთის სარკმელმა შემოინახა, იგი თაღოვანი ყრუ ტიმპანითაა შემკული და რამდენადმე სცილდება ორივე მხრიდან სარკმლის ღიობის საზღვრებს. აქ ყურადღებას რამდენიმე დეტალი იპყრობს: აქაც და ბოლო აღმოსავლეთის სარკმელზეც ჩანს, რომ ისინი თავდაპირველად მხოლოდ ნიშებს წარმოადგენდნენ. ჩანს და იკვეთება ნიშათა სიღრმეც და ის ნამოქმედარიც, რომელიც კედლის ბოლომდე გარღვევას ითვალისწინებდა. ეს სამუშაო უხეშადაა ჩატარებული და დიდად განსხვავდება ნიშის კედლების დახვეწილი კვეთისაგან. ოდესღაც ნიშებში თაროებიც გაუმართავთ. ჰორიზონტალური ჭრილებითაა აღჭურვილი დასავლეთის სარკმლის ორივე მხარე (სურ. 22, ტაბ. XXII). ე.ი. თაროები აქ გაიმართა მაშინ, როცა შელრმავება ჯერ კიდევ ნიშა იყო და არა ღიობი. მის ძირში კედლის მასივიდან გამოზიდული საფეხურებია გამოკვეთილი და უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ხარისხედის ნაშთია თავდაპირველი პერიოდიდან შემორჩენილი (ტაბ. XXV_1, XXII). ეს სარკმელი ჩრდილოეთ სათავსოს უკავშირდება, უსწორო მოყვანილობისას და ყველა ნიშნით გვიან გამოკაფულს. სწორედ ამ ჩრდილოეთისა და სამხრეთის გვერდითმა სათავსებმა წარმოშვა ის აზრი, რომ აქ თითქოს ირანული ცეცხლის ტაძრის ერთ-ერთ სახეობასთან გვაქვს საქმე[62]. დარბაზში ყველაზე რთული გასარკვევი დასავლეთის კედელია. იგი დანაწევრებულია სარკმლებითა და თაღოვანი ღიობებით (ტაბ. XXII, XXV_5, სურ. 21, 22). ცენტრალური ღიობით დასავლეთის სათავსოს ვუკავშირდებით პოდიუმის სივრცეში ჩაკაფული საფეხურებით (ტაბ. XXV_4). თაღთა იმპოსტებს მარტივი, სამსაფეხურიანი თაროსებრი პროფილები

[62] Ю.М. Гагошидзе. Дохристианские храми... გვ. 5

აქვთ. ისინი გამოკვეთილია არა კედლის წინაპირზე, არამედ ღიობთა სივრცეში. ეს მოწმობაა იმისა, რომ თაღები არათავდაპირველი ქმედებაა. მოხდა კედლის სიბრტყის შემდგომი დამუშავება, რაც წინა მხრიდან კაპიტელების გამოკვეთის შესაძლებლობას, რა თქმა უნდა, აღარ იძლეოდა. არსებულ ნიშებში შექმნეს თაღები (ტაბ. XXV_3) და ამიტომაცაა ღიობი ცენტრალურ ღერძს აცილებული. რაც შეეხება უკიდურეს კუთხის სარკმელს, „ბარბაროსულ" ნამოქმედარს, იგი ერთ-ერთ ბოლო ქმედებად უნდა მივიჩნიოთ, როგორც უსუსური ცდა თაღედის რიტმის გაგრძელებისა. არც თაღის რკალი და არც კვეთის მანერა არ შეესაბამება დიდი თაღების სტილს.

სურ. 24

ამ დარბაზშიც ჭერი იქცევს ყურადღებას, რომელსაც სამსაფეხურიანი სარტყელი აჩარჩოებს და რომლის ფართობსაც სამხრეთ-ჩრდილოეთ მიმართულებით „მზიდი" „კოჭი" ორ არათანაბარ ნაწილად ყოფს (ტაბ. XXI_2, სურ. 23), იმის შესაბამისად, როგორც იატაკზე დარბაზის ფართობს ბურჯები ანაწევრებს. სწორედ ამ კოჭზეა შერჩენილი კაპიტელთა ფრაგმენტები. ჭერის ორი მხარე, კი დასავლეთისა და აღმოსავლეთისა „მზიდ კოჭებზე დაფენილი" 11-11 – პატარა კოჭით ნაწევრდება. ჩრდილო-დასავლეთ არეში 1 მეტრის დიამეტრის კომპლივიუმია (კომპლივიუმი – ღიობი ჭერში, უმეტესად მის ცენტრალურ არეში) ამოკვეთილი (ტაბ. XXII, XXIII, XXV_2), რომლის ზედა ნაწილი ქვიშაქვის კვადრებითაა მოპირკეთებული. აქ კითხვა თავისთავად იბადება; ჭერი ეჭვსგარეშეა, რომ თავდაპირველი ქმედებაა, მაგრამ მისი თანადროულია, თუ არა კომპლივიუმი? ვფიქრობ, რომ იგი რომაულ ხანაშია

შექმნილი. აქ აღსანიშნავია ჭერისა და იატაკის ურთიერთკავშირი, მათი „კონსტრუქციული" ლოგიკა და ამიტომ ძნელი წარმოსადგენია ალოგიკურობა „გადახურვასა" და ღიობს შორის. ამასთანავე გაწყვეტილი „კოჭები" სხვადასხვა სიგრძისა დარჩა. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ჭერის არსებულ სტრუქტურაზე, როგორც მოცემულობაზე, მოინიშნა წრე და მის შესაბამისად დამოკლდა „კოჭები".

სურ. 25

უნდა დავუბრუნდეთ ჩრდილოეთ კედლის დასავლეთი სარკმლის წინ, კედლის მასივიდან გამოზიდულ საფეხურებს. მისი შესაბამისი ღიობი თავდაპირველ ეტაპზე მხოლოდ ნიშა იყო, ალბათ, რომაულ ხანაში იგი თაღოვანი ტიმპანით „დამშვენდა" და მასში თაროებიც გაიმართა. ასეთივე ცვლილება განიცადა, ალბათ, სხვა ნიშებმაც. საფეხურებიც, ცხადია, ამ ნიშებში გამართულ თაროებთან მისვლას აადვილებდა და თუ ეს ასეა, მაშინ ისინი მთელ ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებს მიუყვებოდნენ. ისინი შუასაუკუნეებში უნდა განადგურებულიყვნენ ფართობის გაზრდის მიზნით, მაგრამ გრძივი საფეხურების ერთი მონაკვეთი მაინც შემორჩა, რადგან მისი შესაბამისი ნიშა ღიობად იქცა, გვერდით სათავსთან დამაკავშირებელ კარად.

წინა დარბაზის აღწერილობისას არაფერი გვითქვამს მის ცენტრში, იატაკში ამოკვეთილ წრიულ ტაფობზე, რომელიც სარიტუალო დანიშნულებისადაა მიჩნეული (იმ მკვლევართა მიერ, რომლებიც ნაგებობას ტაძრად საზღვრავენ), მაგრამ აქ არავითარი კვალი არც „წმინდა ცეცხლისა" და არც სარიტუალო სითხის მოქმედებისა არ ჩანს და, ამას გარდა, მისი იდეალურად შემოსაზღვრული წრე, მკაცრად ცილინდრული ჩაღრმავება მას არქიტექტურულ დეტალს ამსგავსებს (ტაბ. XXIV_3). იმდენად, თუ ქვაბული მართლაც კლდოვანი მასივით იხურებოდა, იგი,

ალბათ, იმპლუვიუმია (იმპლუვიუმი – კომპლივიუმის საპირისპირო ჩაღრმავება, აუზი), კომპლივიუმის შესატყვისი დეტალი[63].

ამ ნაგებობის მიმართაც იმ აზრისა ვარ, რომ ეს სამარხეული ნაგებობაა. სამუდამოდ დახშული კარებები, როგორც გარე დარბაზისა (მოგვიანო „ეზო"), ასევე ძირითადი დარბაზისა, ამაზე მიგვანიშნებს. თვით ჭერის მორთულობაც ამ თემატიკიდანაა ნასესხები და, გარდა ამისა, საფეხურები ჩრდილოეთის კედლის ერთ მცირე მონაკვეთში, როგორც გრძივი პოდიუმის ნაშთი ნამდვილად ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს. სულ სხვა საკითხია, რა ფუნქცია მიანიჭეს მას რომაულ პერიოდში, აქ თაროები მიგვანიშნებს იმას, რომ რაღაც საბიბლიოთეკო ნაგებობის მსგავსია შექმნილი, რაღაც საცავის ანალოგიური ფუნქციის მქონე სივრცე, რასაც მისი ორიენტაციაც უწყობდა ხელს – მისი აღმოსავლეთისაკენ მიმართება[64]. რაც შეეხება კომპლივიუმებს (ფაქტობრივს დარბაზში და ნავარაუდევს წინა დარბაზში), ეს სწორედ რომაული ბიბლიოთეკებისათვისაა დამახასიათებელი[65]. ნაგებობის თარიღი (თავდაპირველი პერიოდისა) კვლავ ჭერის მიხედვით უნდა განისაზღვროს და თანაც ზოგადად, სხვა ხელმოსაჭიდი აქ არაფერი გაგვაჩნია. პარალელების მიხედვით კი იგი ძვ.წ. IV საუკუნეა.

ქვაბული №13 – E10, F10, E11, F11 კვადრატები[66] (ტაბ. XXVII, XXVIII). აქ უნდა აღვწეროთ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ერთ რიგში გამოკვეთილი და სამხრეთისაკენ მიმართული ქვაბულები. ოთხივე ცალკეული ნაგებობაა და, როგორც ჩანს, ისინი ორი სივრცობლივი ერთეულისაგან შედგებოდნენ – წინა დარბაზისა და კამერისაგან. დასავლეთის ქვაბულის „ფასადი", ანუ მისი სამხრეთის მხარე, აქაც კამარულ სტრუქტურადაა ქცეული და შუასაუკუნეებში სართულშუა გადახურვით ორ სართულად დაუნაწევრებიათ.

ყველა ეს ქვაბული საცხოვრისად გამოყენებისას ძლიერ სახეცვლილა თონეებით, სამეურნეო ორმოებითა და თახჩებით, მაგრამ თავდაპირველ დეტალებსაც ინარჩუნებს. კერძოდ, სარეცლებს, მიცვალებულთა დასასვენებელ ნიშებს.

[63] იხ. გ. ყიფიანი. უფლისციხის „ორსვეტიანი დარბაზის" ხუროთმოძღვრული კომპლექსი. თბ., 1990. გვ. 6-7

[64] Витрувий. VI, IV,I

[65] იხ. B. Götze, Antike Bibliotheken. JDI.B.62. 1937. გვ.240, სურ 11.

[66] თ. ქარუმიძე. გრძელი ნაგებობა. აღწერილობა. გვ. 94-95.

ქვაბული №14 – F10, G10 კვადრატები[67] (ტაბ. XXIX). გრძივ ღერძს დაქვემდებარებული ეს ნაგებობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაა მიმართული და სიგანეში თანდათანობით შევიწროვებული სამი სათავსისაგან შედგებოდა. ბოლო ოთახს კამარული ჭერი აქვს, რომელშიც ერდოცაა გაჭრილი. იგი გეგმაში კვადრატულია და ამავე დროს მისი ზედა ნაწილი საფეხურისებურადაა ჩაჭრილი, რათა მას სარქველი მოერგოს[68] (სურ. 16, 17). ეს ნაგებობაც რომ სამარხი იყო თავდაპირველად, ამაზე მისი კარის ჭრილი მეტყველებს: ღიობის სიგანის კვალად ქვის ფილის ბუდე – ტრადიციული დეტალი კლდოვან და არამარტო კლდოვან სამარხთათვის.

ქვაბული №15,16,17. D8, E8, E9 კვადრატები. სამხრეთისაკენ მიმართულ ქვაბულთა რიგია (ტაბ. XXXIII$_1$). №15 ჯვრულ გეგმას დამორჩილებული ნაგებობაა (ტაბ. XXX), დანარჩენი ორი კი, ერთმანეთის პარალელურნი და გეგმით იდენტურნი გრძივ ღერძზე არიან მიმართულნი (ტაბ. XXXI$_1$). №15[69] უფლისციხის ქვაბულებიდან ერთ-ერთი ყველაზე რთული ნაგებობაა თავისი გეგმით და ყველაზე მეტად სახეცვლილიც. გრძივი ღერძის გარდა იგი განივადაცაა განვითარებული. სამხრეთ-ჩრდილოეთ ღერძზე ტრადიციულად სამი კლდოვანი სივრცე ებმოდა ერთმანეთს, ორი დარბაზი და კიდურა ყრუ კამერა. წინა დარბაზიდან გეგმა განვითარებულია თითქმის კვადრატული, დასავლეთისა და აღმოსავლეთის სათავსებით, ასევე შუა დარბაზიდანაც, ოღონდ დასავლეთით გეგმაში მას მრგვალი კამერა ებმის, ხოლო აღმოსავლეთით გრძივი და ვიწრო ოთახი. ნაგებობის წინა დარბაზი აღარ არსებობს, მაგრამ მისი საზღვრები მაინც იკითხება იატაკზე (9x4,5 მეტრი, სიმაღლე 7,50 მეტრი). „საფასადე" მხრიდან კარგად ჩანს დარბაზის „გადახურვის" კლდოვანი პლასტი, რომელიც საგანგებოდ ჩამოშლილსა ჰგავს (ტაბ. XXXIII). დარბაზი შეიძლება კლდოვან ბურჯებსაც შეიცავდა თავდაპირველად და თითქოს ჩანს კიდეც მათი კვალი მის ცენტრალურ არეში. ნაგებობის მთელი ტერიტორია და მისი მიმდებარე ფართობი სხვადასხვა დანიშნულების ორმოებითაა დასახიჩრებული, ისევე როგორც თითქმის ყველგან უფლისციხეში. წინა დარბაზის განივ განტოტებებზე, ანუ დასავლეთისა და აღმოსავლეთის კამერათა ჭერზე,

[67] თ. ქარუმიძე. ერდოიანი სახლი. აღწერილობა. გვ. 97.

[68] ანალოგიური ერდოთი აღჭურვილი ფრიგიული კლდოვანი სამარხების შესახებ იხ. H. Gonnet. The Cemetery and Rock-Cut Tombs at Beyköy in Phrygia. British Institute of Archaeology at Ankara. Ankara., 1994. გვ. 75-77.სურ. 82.

[69] თ. ქარუმიძე დიდი ნაგებობა. აღწერილობა. გვ. 96-97.

კოჭოვანი გადახურვის იმიტაციის ფრაგმენტებია შემორჩენილი – ექვსი „კოჭით“ დანაწევრებული ჭერი ირგვლივი სამსაფეხურიანი სარტყლით.



სურ. 26

მისი მიმდებარე №16[70] ნაგებობა, როგორც აღინიშნა შედარებით მარტივი სქემისაა, წინა ოთახი მხოლოდ გეგმის დონეზე იკითხება, მას კვადრატული კამერა მოსდევს (5x5 მეტრი, სიმაღლე 3,30 მეტრი). ყურადღებას იმსახურებს კვადრატული კამერის კედლებისა და ჭერის უზადო დამუშავება (ტაბ. XXXI_1, XXXII_1).

№17 ქვაბული[71] კომპლექსის ბოლო აღმოსავლეთის ნაგებობაა და №16 სქემას იმეორებს (ტაბ. XXXI_1, XXXII_2), იმ განსხვავებით, რომ მისი კედლები და ჭერი საკმაოდ რთულადაა დამუშავებული და ირგვლივ პოდიუმსაც შეიცავდა ანუ სარეცლებს (ტაბ. $XXXI_{2,3}$). პოდიუმების ჩამომტვრევა და ჩამოშლა ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში მოხდა უკონტროლობის გამო, მაგრამ მისი ფრაგმენტები დაცულია, აიკრიფა მოგვიანებით ქვაბულის სიახლოვეს (სურ 26). როგორც ჩანს, ეს ნაგებობაც გრძივ ღერძზე განთავსებულ სამ სივრცეს შეიცავდა; ამჟამად

[70] თ. ქარუმიძე. სადა ოთახი. აღწერილობა. გვ. 105.

[71] თ. ქარუმიძე. წითელი ოთახის კომპლექსი აღწერილობა. გვ. 108-109.

მხოლოდ ბოლო კამერაა შემორჩენილი „წითელი ოთახის“ სახელწოდებით, იმის გამო, რომ მისი კედლები წითელი საღებავით შეულებიათ ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში გაურკვეველი მიზნით. წინა დარბაზებში, რომელთა ასევე თაღოვნად ქცევა უცდიათ რომაულ ხანაში, გადახურვის კლდოვანი ფენები აღარ შემორჩა, მაგრამ ქვედა სტრუქტურაში გრძივად გაყოლილი ხარისხები კიდევ იკითხება. კამერის სამი კედელი (გარდა სამხრეთისა) დანაწევრებულია ორ-ორი პილასტრით და ისინი კედლის მასივიდან მხოლოდ 5 სანტიმეტრითაა გამოზიდული. მათი ფუძეები სარეცლებიდან იღებს სათავეს, როგორც ბაზისიდან (ტაბ. XXXI_3). ჩრდილოეთ-დასავლეთი და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი კუთხეები „შევსებულია“ შეწყვილებული პილასტრებით (სურ. 27). ყველა პილასტრი კაპიტელით ბოლოვდება და ქიმატიონის (ქიმატიონი – ნებისმიერი მოხაზულობის არქიტექტურული თარგი, მკვეთრი გარდატეხების გარეშე) პროფილის მქონე ტანისა და თაროსებური აბაკუსისაგან შედგება. ამასთანავე, ისინი ჭერის შემომსაზღვრელ ხუთსაფეხურიან სარტყელშიც იჭრებიან. ხუთსაფეხურიანი სარტყელიც ერთგვარი მოულოდნელობაა, რადგან აქ, უფლისციხეში, სამსაფეხურიანი სარტყლები გვხვდება ძირითადად. ჭერის ფართობს, შუაზე დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ყოფს „კოჭი“ რომელზეც „გადებულია“ სამი განივი „კოჭი“ (ტაბ. XXXI_2). ყველა მათგანს თითო-თითო თაროსებური სარტყელი დაჰყვება გვერდებზე, რაც რეალური სურათის ასახვაა და ბერძნული სამშენებლო მემკვიდრეობიდან იღებს სათავეს. აქ ჭერს ძნელია კესონებიანი გადახურვის კატეგორია მივანიჭოთ, იმდენად დიდია ურთიერთგადამკვეთ კოჭებს შორის შუალედები. თვალში ის გვეცემა უპირველესად, რომ ჭერის „კონსტრუქციული ლოგიკა“ შეუსაბამობაშია კედლების დანაწევრებისაგან. ისინი ცალ-ცალკე თემას ასახავენ და კიდევ ერთი, პილასტრთა კვეთის მანერა საკმაოდ უხეშია და დიდად განსხვავდება ჭერის დამუშავების ფაქიზი სტილისაგან. ამიტომაც ვუშვებ აზრს, რომ კედლის პილასტრები რომაული პერიოდის კუთვნილებაა, ჭერისაგან განსხვავებით, რაც ელინისტური ხანისად შეიძლება ჩაითვალოს ანალოგთა მიხედვით. ეს სამარხი კამერაა, ოღონდ ტრიკლინიუმის სახისა – სამ კედელს შემოყოლებული სასუფევლებით, მიცვალებულთა ტახტებით[72]. კამერის ზომებია 5x4,60

[72] კილიკიური ტრიკლინიუმების მსგავს სამარხთა შესახებ იხ. K.M. Boehmer. Arcosolgräber im Nord-Irak. AA. 1976, H. 3. გვ.419, და იქვე მითითებული ლიტერატურა.



სურ. 27

მეტრი, სიმაღლე 3,20 მეტრი. ჩრდილოეთის კედელზე ნიშის თავზე ადამიანის ხელის მტევანია (მარცხენა) ამოკაწრული – ე.ი. სიბრტყეზე დადებული მტევანი შემოხაზულია და შემდეგ კონტური გამკვეთრებული. ამ ქმედებას თავდაპირველ პერიოდთან არაფერი არ უნდა ჰქონდეს საერთო და იგი შეიძლება ამ კამერის საცხოვრისად ათვისების დროინდელი იყოს. კამერის აღმოსავლეთ მხარეც შეიცავს ნიშას, საკმაოდ დიდს (2,2x1,2 მეტრი). მისი კარის ორსავე მხარეს წირთხლებზე ამოკვეთილია ვერტიკალური ღარები. რას წარმოადგენდა ეს ნიშა? უთუოდ სანაწილეს, რომლის ღიობი „სამუდამოდ" იკეტებოდა. კამერის იატაკი ისევე, როგორც თითქმის ყველგან, დაზიანებულა სხვადასხვა დანიშნულების წრიული და უფორმო სამეურნეო ღრმულებით.

ქვაბული №18 კვადრატები C9 და D9. „მაღალტახტიანი ოთახი[73] (ტაბ. $XXXIII_{3,4}$). ნაგებობა დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე ორ ოთახს შეიცავდა. წინა დარბაზის გეგმა კარგად იკითხება ქვედა სტრუქტურის დონეზე (ტაბ. XXXVI_1) ჭერი საგანგებოდ ჩაქცეულსა გაქვს, შესაძლოა იმიტომ, რომ „გადახურვის" თხელი პლასტი მისი თაღოვანების საშუალებას არ იძლეოდა. მის კედლებს ერთსაფეხურიანი მერხი გასდევდა და აქ პილასტრთა კვალიცაა შემორჩენილი. დასავლეთის კამერაში შესასვლელი კარი თაღოვანია და ცრუტიმპანით შემკული (ტაბ. XXXIV_1). წინა დარბაზის სამხრეთ კედელში ექვსი პატარა ნიშაა ორ რიგად ამოკაფული (ტაბ. XXXV_1).

დასავლეთის კამერა 3,42 მ-ის სიმაღლისაა (ეს მისი თავდაპირველი სიმაღლე არაა, შუასაუკუნეებში კამერის იატაკი საგრძნობლადაა დადაბლებული). გეგმა კი კვადრატულია (4,50x4,50 მეტრი). ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებიდან გამოზიდულია მთელს სიგრძეზე გაჭიმული მაღალი „ტახტები", რომელთა კიდეები შემკულია დახრილ-სიბრტყიანი თაროთი (ტაბ. XXXIV_2, $XXXV_{1,2}$, $XXXVI_{1,2}$). უზადოდ ნაკვეთია ჭერი, სადაც თანაბარი, ურთიერთგადამკვეთი „კოჭებით" სწორკუთხაკასეტებიანი ჭერის სურათი იქმნება (სურ. 28). ასეთი სურათი ჭერისა ძალიან ხშირია ეტრუსკულ სამარხ ნაგებობებში[74].



სურ. 28

ეს კამერაც სამარხია მეტ-ნაკლებად (და ყველაზე მეტად) თავდაპირველი სახით შემორჩენილი (ყოველგვარი ცვლილებების გარეშე მოღწეული სასუფევლები – სარეცლები) (სურ. $46_{12,13}$), და აქ ყურადღებას ის იპყრობს, რომ მაინცდამაინც აქ, ცენტრალურ ტერასაზე, რომაელთა აქტიურობის არეში შემოინახა მან თავდაპირველობა, ე.ი. რაღაცით ის მათ მიზნებს შეესაბამებოდა.

ადრევე გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ კამერის მიმდებარე ტერიტორიაზე მის აღმოსავლეთით რომაელთა ბატონობის ხანაში აბანო იყო გამართული[75] და ამის არქეოლოგიური დადასტურებაც არსებობს.

---

[73] თ. ქარუმიძე. მაღალტახტიანი ოთახის კომპლექსი. „აღწერილობა". გვ. 100-101.

[74] მაგ. კლდოვანი სამარხის ჭერი ტარკვინიიდან. იხ. Ax. Boëthius. დასახ. ნაშრ. სურ. 73.

[75] ეს მოსაზრება ქ-მა თ. ქარუმიძემ „აღწერილობაში" ჩამოაყალიბა იხ. თ. ქარუმიძე. „აღწერილობა". გვ. 101.

გათხრების დროს აღმოჩნდა უსისტემო გროვა წყალსადენის თიხის მილებისა, გადამწვარი მრგვალი აგურებისა (კალორიფერთა ნაშთები), ბრტყელი პირაკეცილი კრამიტებისა და სქელი ჰიდრავლიკური (წყალგაუმტარი) ხსრანით შელესილობის ნატეხებისა. ამას გარდა გრძივად სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მკვეთრი ჩაღრმავებებია ქანში, რომლებიც არაფრით გვანან სამეურნეო ორმოებს და ამასთანავე ცეცხლისაგან დაწითლებულია მათი კედლები. ისინი მართლაც შეიძლება საცეცხლეებად მივიჩნიოთ, ხოლო ღრმა ოვალური ჩაღრმავება კლდეში მათ სამხრეთით ძალიან გვაგონებს აბაზანას – ავლეუსს (ტაბ. XXXVI$_1$). და კიდევ ერთი; ეს დაშლილი სტრუქტურა არა მარტო აბანოს გვაგონებს, არამედ უფრო მეტსაც, იგი თერმების (რომაული აბანო, რთული არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც საკუთრივ აბანოს გარდა სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებსაც შეიცავდა) მსგავსი ნაგებობაა. D-9, E-9 კვადრატების არეში მოქცეული სწორკუთხა აუზი 8 მეტრის სიგრძისა, 5 მეტრის სიგანისა და 2 მეტრის სიღრმისა, რომელიც ჩრდილოეთიდან შეღრმავება – უბესაც შეიცავს, იგი მხოლოდ ღია საცურაო აუზი – ნატაციო შეიძლებოდა რომ ყოფილიყო (ტაბ. XXX).

ასეთ შემთხვევაში ზემოთ აღწერილი კამერა სავსებით შესაძლებელია აპოდიტერიუმად (გასახდელად) გააზრებულიყო და „ტახტებიც" შეენარჩუნებინა. მისი თავდაპირველი თარიღი, კვლავ პარალელურ მასალაზე დაყრდნობით ძვ.წ. IV საუკუნით უნდა განვსაზღვროთ.

ქვაბული №19 - კვადრატები C9, C10. „ერთსვეტიანი დარბაზი" [76] (ტაბ. XXXVI, XXXVII, XXXVIII). ამ ნაგებობას მკვლევარები განვითარებული შუასაუკუნეების ქმნილებად მიიჩნევენ[77], თუმცა ვფიქრობ, რომ ამის საფუძველი აქ არაა. ადრეული ქვაბული, შესაძლოა, იმავე პერიოდისა, რომელიც ზემოთ აღვწერეთ, მთლიანად სახეცვლილია XIX საუკუნეში, ამასთანავე მის ინტერიერში არსად ჩანს ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი სახეები და იგი უფრო ხალხურ შემოქმედებას გვაგონებს.

იგი იმავე კლდის მასივშია გამოკვეთილი, რომელშიც №18 ნაგებობაა შექმნილი, მისგან სამხრეთ-დასავლეთითა და მისი იატაკიდან 2,9 მეტრის დონეზე. ქვაბულს წინ ნიველირებული მოედანი აქვს. შესაძლოა, ეს ქვაბულიც შეიცავდა წინა დარბაზს და მოედანი სწორედ მისი

[76] თ. ქარუმიძე. ერთსვეტიანი დარბაზი. აღწერილობა. გვ. 97-99.
[77] Н. Чубинашвили. Уплис-цихе. გვ. 14, ნახ 10.

ნაშთია. „ფასადი" ქვაბულისა საკმაოდ საინტერესოა, კარი კედლის ჩრდილოეთ მხარესაა გაჭრილი, ხოლო მის მარცხნივ ამოკვეთილია სწორკუთხა გრძივი „ნიში", ან უფრო სწორად ბუდე, შესაძლოა, რელიეფისთვის ან ლაპიდარული წარწერისათვის (ტაბ. XXXIV$_1$).

უკვე აღვნიშნე, რომ დარბაზის ინტერიერი, იქ გამოკვეთილი „არქიტექტურულ – სამშენებლო" ნიმუშები, ხალხურ შემოქმედებას ჰგავს და მე მგონი, ის არაქართული მოსახლეობის ქმედებების შედეგია, XVIII საუკუნეში ახლომახლო სოფლებში ჩამოსახლებული სომხური მოსახლეობისა, რომლებიც უფლისციხის მოპირდაპირე ძირძველ ქვახვრელში ხაჩკარებს მართავს[78].

დარბაზის ცენტრალურ არეში კლდისაგან ნაკვეთი, გეგმაში ჯვრის სახის, უსწორო მოყვანილობის ბურჯია აღმართული (ტაბ. XXXVIII$_1$). ოთხივე კედელი შეიცავს პილასტრებს. ბურჯიდან გარდამავალი, კამარათა შემკრავი თაღები იდეაში სწორედ პილასტრებისაკენ უნდა იყვნენ მიმართულნი ოთხივე მხარეს, მაგრამ ბურჯი არც ჩრდილოეთ-სამხრეთის პილასტრთა ღერძზე დგას და არც დასავლეთისა და აღმოსავლეთის პილასტრები უკავშირდება ერთმანეთს. ამიტომაც თაღები ამ ოთხ უჯრედში სხვადასხვა ზომისაა. ჩრდილო-აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის უჯრედებში „კამარები" თითქმის სწორკუთხოვანია, ხოლო ჩრდილო-დასავლეთისაში იგი უფრო აფრას მოგვაგონებს. არც კუთხის პილასტრებია იდენტური, ზოგი 1,50 მეტრის სიმაღლისაა და ზოგიც 2 მეტრისა. მათი კაპიტელები კი არათანაბარი ზომის გვერდებწაკვეთილი თაროებია (ტაბ. XXXVIII$_{2,3}$). ცენტრალური პილასტრები რამდენადმე უფრო რთული კაპიტელებით ბოლოვდება – ლილვი პლუს თარო. დარბაზის სიმაღლე 3,5 მეტრია, შიდა ფართობი კი 6,8x5 მეტრი, შეღრმავებებისა და ნიშების გარეშე. შიდა მხრიდან კარის ღიობი მრუდე არქივოლტითაცაა (თაღის პროფილირებული თავსართი) მორთული. ამ ქვაბულის თავდაპირველი სახის წარმოდგენა ძალიან ძნელია. დიუბუას გეგმაზე ქვაბულის მდებარეობა ზუსტადაა განსაზღვრული, მაგრამ მისი გეგმა ამჟამინდელ სიტუაციას არ ასახავს. უნდა ვიფიქროთ, რომ ქვაბულის იერის ძირეული შეცვლა სწორედ მის შემდეგ მოხდა. იქ აღნიშნულია ბურჯით ოთხად დანაწევრებული დარბაზი და მის გვერდით დასავლეთით კიდევ ერთი გრძივი, ჩრდილოეთი-

[78] თ. დვალი. ქვახვრელი. „აღწერილობა". გვ. 113-114; აქ სომხური მოსახლეობის არსებობაზე გიულდენშტედტიც მიანიშნებს. იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში ტ.I გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1962, გვ. 273

საკენ მიმართული ქვაბული დრომოსითა (სამარხისაკენ მიმავალი ვიწრო მაგისტრალი, გზა) და ნიშით. დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნიში (ტაბ. XXXVIII_4) ძალიან ძნელია რომელიმე სხვა პერიოდს მივაკუთვნოთ, თუ არა გვიანფეოდალურ ხანას (საფეხურები, „ფესტონები" მის ზედა ნაწილში). ამასთანავე მსგავსი სახეების არსებობა ქართულ არქიტექტურაში ჩემთვის უცნობია, სამაგიეროდ, საკმაოდ ხშირია ისინი სომხურ ხალხურ ხუროთმოძღვრებაში, განსაკუთრებით მცირე ძეგლებზე (მაგ. წყაროების გაფორმება და სხვა მსგავსი რამ)[79].

ქვაბული №20 კვადრატები B-9, C-980. სამხრეთიდან კლდეში გაჭრილი საფეხურებით უნდა შემოვუაროთ ზემოთ აღწერილ ქვაბულს, ავიდეთ კლდოვან მოედანზე №19 ნაგებობის მოედნიდან 8 მეტრის სიმაღლეზე (ტაბ. XXXV_2) და კიდევ ერთი საინტერესო ძეგლი უნდა მოვიხილოთ. იგი კუბის მოყვანილობის კლდოვან მასივშია გამოკვეთილი და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართულ გრძივ ღერძზე განთავსებულ სამ სივრცობრივ ერთეულს შეიცავდა (ტაბ. XXXIX, XL, XLI). ლიტერატურაში მის აღმნიშვნელად „კოხტა სახლი" დამკვიდრდა.

ნაგებობის წინა დარბაზი აღარ არსებობს, მისი მხოლოდ გეგმა იკითხება, ნაწილობრივ შემორჩა მისი დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლის ფრაგმენტები. (შუა ოთახი – 6,40x3,25 მეტრი, სიმაღლე 2,9 მეტრი, ბოლო ჩრდილოეთის კამერა – 3,90x3,70 მეტრი, სიმაღლე 2,2 მეტრი).

შიდა დარბაზის წინა მხარე ჩამოშლილია, მაგრამ კარის „არქიტრავზე" იკითხება კარის თავდაპირველი ჭრილიცა და წირთხლების კვალიც.

ნაგებობას, ძირითადად შუა დარბაზს საწყისი ფორმები შენარჩუნებული აქვს, მაგრამ სახეცვლილი მაინც ძლიერადაა. თონეს ვერც ამ ნაგებობის იატაკი გადაურჩა, ამ დარბაზის ყველა კედელი დამახინჯებულია გვიანდელი ქმედებებით (ტაბ. XLI_2). ძირითადი მახასიათებელი ამ დარბაზისა კვლავ ჭერია, მასზე კოჭოვანი გადახურვის სურათია მოცემული. 8 „კოჭი" ჭერის ფართობს შვიდ თანაბარ ნაწილად ანაწევრებს (ტაბ. XL_2). ყველა მათგანს გვერდებზე თითო თაროსებური სარტყელი

[79] შდრ.С.Г. Матевосян. Народная архитектура Гюимри XVIII-XIX веков. Ереван., 1985. სურ. 11; აგრეთვე О.Х. Халпахчьян. Архитектура родников крымских Армян. АН. 37. 1990. სურ. 2,3.

[80] თ. ქარუმიძე. „კოხტა სახლი". აღწერილობა გვ. 99-100. აქ გამოქვეყნებული გეგმა სარკისებურადაა შებრუნებული (230) და ცოტათი აბნევს მკითხველს.

მიჰყვება. გარდა ეტრუსკულ და პაფლაგონიურ კლდოვან სამარხთა ჭერებისა[81], შეიძლება უფრო ახლო პარალელიც მოვიხმოთ, ელინისტური აპულეადან სამარხი კამერის ჭერი[82]. თარიღი მხოლოდ ზოგადად შეგვიძლია ელინისტური ხანით განვსაზღვროთ.

ქვაბულები №21 და 22. კვადრატები B10,C10, B11,C11. №21 ქვაბული ამჟამად განადგურების პირასაა. გაირღვა კედელი დასავლეთის მხრიდან, ადრევე ჩამოიქცა უკიდურესი სამხრეთის ოთახი და ჩამოიშალა ცენტრალური სათავსოს, რომელიც სულ უკანასკნელ პერიოდში ეკლესიად უქცევიათ, „ვარსკვლავა კამარიანი" ჭერი (ტაბ. $VI_{3,4}$). ამ სათავსოში ჯერ კიდევ იკითხება კუთხის იმპოსტებიანი პილასტრი. ქვაბულები გრძივ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართულ ღერძზე განთავსებული სამი სათავსისაგან შედგებოდა და, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთ მათგანზე ვარსკვლავა კამარისათავის დამახასიათებელი სხივანა მოტივი იყო ამოკვეთილი. ეს ის ქვაბულია, რომელიც დიუბუასაც აქვს ჩახატული და ჭერზე მას სხივების ცენტრში ექვსქიმიანი ვარსკვლავი აქვს აღნიშნული, მისი კლასიკური სახე (მოგუნ დავიდი, დავითის ფარი) – ორი ურთიერთგადამკვეთი ტოლგვერდა სამკუთხედი[83]. მე არ ვიცი, რა მოვლენას უნდა უკავშირდებოდეს ეს; მარტივ სესხებას დეკორატიული მოტივისას, თუ რომელიმე ებრაულმა თემმა საცხოვრისად აითვისა მოგვიანებით ქვაბული, თუ ამავე თემს რაღაც ტერიტორია ეთმობოდა აქ თავიანთი სამარხებისათავის. არა მგონია, ამ ეტაპზე ამაზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეიძლებოდეს. ცენტრალური დარბაზი, როგორც აღინიშნა, ეკლესიად გადაუკეთებიათ და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან აფსიდაც შეუქმნიათ, ღრმა და სარკმლით აღჭურვილი. შესაძლოა სწორედ მაშინ მოისპო ვარსკვლავიც კამარის ცენტრში. დიუბუას გეგმაზე აბსიდა ნამდვილად არ ჩანს.

ასევე განადგურების პირსაა მის ქვემოდ გამოკვეთილი №22-ე ქვაბული, ჯვრული გეგმარებისა (ტაბ. XLIII), ეკლესიად ქცეული და აბსიდითა და ღრმა ბემით (ბემა – ფართობი საკურთხევლის აბსიდასა და ეკლესიის ძირითად სივრცეს შორის) აღჭურვილი. მისი ცენტრალური ბირთვი და სამხრეთის მკლავი აქაც ვარსკვლავა კამარებითაა შემკული (სურ. 29), ალბათ, №21 დარბაზის მიბაძვით. ყოველ შემთხვევაში კვეთის მანერა და სტილი უხეშია და სინატიფეს მთლიანად მოკლებული.

[81] იხ. Ax. . Boëthius. დასახ. ნაშრ. სურ.83 და სხვ; H.v. Gall. დასახ. ნაშრ. სურ. 28 და სხვ.

[82] H. Lauter. Die Architektur des Hellenismus. Darmstadt., 1986. გვ.220. ტაბ. 28, в

[83] იხ. Fr. Dubois de Montpereux. Atlas. série d árcheologie…

სურ. 29

უნდა ვიფიქროთ, რომ ნაგებობამ ჯვრული გეგმარება ასევე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ან XX საუკუნის პირველ ნახევარში მიიღო. დიუბუას გეგმაზე ნაგებობა სამი სწორკუთხა სათავსოსაგან შედგენილი ქვაბულია. მის სამხრეთ კამაროვან ბირთვს აღმოსავლეთიდან გრძივი, ამჟამად თავგადახსნილი დრომოსი უერთდება. კომპლექსის მოხილვა ახლა ფრიად სახიფათოა, ქვაბული ღრმა და განიერი ნაპრალებითაა დასერილი, რომლებიც ყოველ წუთს შეიძლება მოწყდნენ; ისედაც დასავლეთის ქარაფის მხრიდან უკვე არაერთი ღია ნაპრალი გაჩნდა.

ქვაბულები 23 და 24. E7, F7 და F8 კვადრატებში.

ეს ქვაბულები უფლისციხის ზედა ტერასის კუთვნილია (ტაბ. XLIV_3, XLV). ისინი ძლიერაა დაზიანებული და, ფაქტობრივად, მათი მხოლოდ გეგმები იკითხება. №23 ნაგებობის წინა დარბაზი №24 ქვაბულის კამერის თავზეა ნაწილობრივ გამართული. №24 ანუ ქვედა ნაგებობის გეგმა უკეთ იკითხება – აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართულ გრძივ ღერძზე ერთმანეთს სამი სათავსო ებმის. პირველი, ანუ უკიდურესი აღმოსავლეთის სათავსო აღარ არსებობს. ამავე სქემას იყო ალბათ დაქვემდებარებული მის ზემოთ გამართული №23-ე ქვაბული.

ქვაბულები №25-26 კვადრატები F7, G7. ფაქტობრივად, ორივე ქვაბული ერთიანი კომპლექსის ცალკეული ნაწილებია (ტაბ. XLVI_{1-3}). მისი გეგმა მთლიანად ტიპიური ნიმუშია ე.წ. კლდოვანი შეწყვილებული სამარხისა და, როგორც ჩანს, მათ ორ-ორ კამერიან ქვაბულებს ერთი წინა ეზო აერთიანებდა, ან სულაც წინა დარბაზი, რომლის ჩრდილოეთ კედელში კიდევ ერთი, სწორკუთხა ქვაბულია გამოკვეთილი. ამ ქვაბულებში ყურადღებას უთუოდ იქცევს შედარებით უკეთ შემორჩენილი კედლები, კამერათა მკაცრი სწორკუთხა მოყვანილობანი. სამწუხაროდ, არც №25-ე და არც №26-ე კამერის ჭერი აღარ შემორჩა.

ქვაბული №27. G9 კვადრატში. ძლიერ დაზიანებული ქვაბულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართული (ტაბ. $XLVI_{4,5}$) და, როგორც ჩანს, იგი ხანგრძლივად ფუნქციონირებდა საჭონლის ფარეხად. მისი აღმოსავლეთის მხარე და საერთოდ საზღვარი აღარ იკითხება. გეგმა კი ტრადიციული ჩანს – ორი დარბაზი და კამერა. წინა დარბაზის დასავლეთ კედელთან გვიანდელი 2 მეტრის სიღრმის წრიული რეზერვუარია ჩაკვეთილი. კლდოვანი სახურავი მხოლოდ კამერასა აქვს შენარჩუნებული, მაგრამ ჩანს ისიც, რომ მისი მიმდებარე შუა დარბაზი წინასაგან „მუდმივად“ იყო დახშული. კარის ღიობის ზღურბლზე განივი სწორკუთხა ღრმულია და მისი შესაბამისი ჭრილები პილონებზე, რაც უყოყმანოდ მიგვანიშნებს მის ფუნქციას (სამარხი); კარში ჩამგრებული ყოფილა ქვის ფილა.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ქვაბულები, რომლებიც ძირითადად დაწყვილებულ ჯგუფებს ქმნის და გარკვეულ ინტერესს აღძრავს (ტაბ. $XLIV_{1,2}$, XLVII_{1-9}). ასეთი წყვილის ერთ-ერთი ქვაბული გეგმაში წრიული ან ოვალური ფორმისაა. ასეთნი საკმაოდაა დაფიქსირებული უფლისციხეში: №№28-29(F7); 30-31 (B9); 32 (E12); 33-34 (F14- F15); 35-36 (F16); 37 (F18) კვადრატში. შეიძლება ოვალური ქვაბულები №32 ან №37 (ტაბ. XLVIII_1) ეულად მოგვეჩვენოს, და ეს ასეცაა, რადგან მათი მეწყვილე, სწორკუთხა ქვაბულები განადგურებულია. მათი კვალი იატაკზე იკითხება მხოლოდ. რას შეიძლება ქმნიდეს და რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ასეთი წყვილები. თვით წრიული ოვალური ქვაბულები თავიანთი გარეგნული იერით ძალიან წააგავს კლდოვან სამარხთა გარკვეულ სახეს – ფრიგიულ „არკოსოლიუმებსაც“[84] (თაღოვანი სამარხი ნიშები) და ვოტივურ ნიშებსაც[85], მაგრამ ისინი აბსოლუტური სიზუსტით იმეორებენ ზოროასტრულ კლდოვან სამარხთა „თანხლებ“ ქვაბულთა სახეს, სამარხისათვის აუცილებელ საკეცხლე წერტებს, მიცვალებულთა კულტისადმი მიძღვნილ საკეცხლეებს (სურ. $46_{14,15}$), კამერა-აშტოდანებს[86], მინიატურულ კლდოვან ცეცხლის სამლოცველოებს, რომლებიც აუცილებლად სამარხ კამერათა სიახლოვეს უნდა იყოს.

---

84 შდრ. G. und A. Körte. Gordion. Ergebnise der Ausgrabung im Jahre 1900. Excurs I, Die phrygischen Felsdenkmäler. JDI. Ergänzungsheft V. Berlin. 1904. გვ.223-224.

85 R. Naumann. Das Heiligtum der Meter Steunene bei Aezani. IM. B. 17. 1967. გვ. 218-247. სურ.4.

86 იხ. D. Huff. Zum Problem zoroastrischer Grabanlagen in Fars. AMI.B. 21 Berlin 1988. სურ.5.

№38 ნაგებობა, *C10-D10, C11-D11* კვადრატები. „კლდოვანი ბაზილიკა“[87]. იგი უფლისციხის ერთ-ერთი ცენტრალური ნაგებობაა (ტაბ. XLIX, L, LI), ოთხბურჯიანი ქვაბული, რომლის ფუნქციონირების ორი ეტაპი, წინარექრისტიანული და ქრისტიანული მკვეთრად გამოიყოფა მის შედგენილობაში და მკვლევარნი ასეც თვლიან, რომ წარმართული სამლოცველოს სივრცეს მოგვიანებით ქრისტიანული ეკლესია დაეფუძნა[88]. ამჟამად ნაგებობა ჩრდილოეთის პასტოფორიის გარდა მთლიანად თავგადახსნილია. ნაგებობის აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძი საგრძნობლადაა ჩრდილოეთისაკენ გადახრილი. ძირითადი ფართობი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ რამდენადმე წაგრძელებული სწორკუთხედია (14x16,70 მეტრი), რომელსაც ოთხი კლდოვანი ბურჯი სამ ნავად ანაწევრებდა. ახლა მხოლოდ მათი ფუძეებია შემორჩენილი და, ჩანს, რომ გეგმაში სწორკუთხა ბურჯისთვის უცდიათ ჯვრული ფორმა მიეცათ და ერთ-ერთ მათგანზე გაუსრულებიათ კიდევაც (ტაბ. LI_2). ჩრდილოეთის კედელი მთლიანად კლდოვანია (სიმაღლე 7 მეტრი) და პილასტრებითა და ნალისებური თაღებითაა დანაწევრებული (ტაბ. XLIX_2). ბურჯთა შესაბამისად, პილასტრებს ნახევრადჯვრული ფორმები აქვთ მინიჭებული. ერთ-ერთ მათგანზე იმპოსტის კვალიც იკითხება – ორმაგი ლილვი (ტაბ. LI_1). უკანასკნელ დრომდე კლდოვანი ჯვრული „კამარის“ ნაშთიც იყო შერჩენილი პილასტრთა შორის. ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთის კუთხე და სამხრეთის მხარე სხვადასხვა პერიოდთათვის დამახასიათებელი წყობებითაა ნაგები. მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი კედლისაგან სამხრეთ-დასავლეთის კუთხის წყობა. კვადრების რიგი აქ ფსევდოისოდომური ხასიათისაა (ფსევდო-ისოდომური – როცა კედელში მონაწილეობს მაღალი და შედარებით დაბალი ქვათლილებით გასრულებული რიგები, განსხვავებით ისოდომური წყობისაგან, სადაც რიგები ერთი სიმაღლის ქვათლილებით იქმნება) და ნაკერებს შორის კირხსნარიც დასტურდება (ტაბ. $LI_{3,4}$). უნდა ვიფიქ-

[87] თ. ქარუმიძე, ოთხსვეტიანი დარბაზის კომპლექსი. აღწერილობა, გვ. 103; Н. Чубинашвили, Трехнефная пещерная базилика в древнем Уплисцихе.სმამ. ტ. XXIV №4, 1950. გვ.511.

[88] დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე – ქალაქი კლდეში, თბ., 1989. გვ.38-39; თ. სანიკიძე. უფლისციხე. გვ. 39; К. Химшнашвили. Зодчество... გვ.15; Ю.М. Гагошидзе. Дохристианские храмы Грузии. IV МСГИ. Тб., 1983. გვ.5-6; გ. ყიფიანი, კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბ., 2000, გვ. 52-54, 101-102, ტაბ. LVILVII, ტაბ. LXXXVI_1.

როთ, რომ რომაულ პერიოდში ამ ნაგებობასაც რაღაც ცვლილება განუცდია.

ნაგებობას ორი კარი ჰქონია (ტაბ. LI7) და ქრისტიანულ პერიოდს მისი მდგომარეობა არ შეუცვლია. სამხრეთი კედლის კლდოვანი ცოკოლი 60 სმ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ე.ი. მასზე კედელი ამოაშენეს მას მერე, როცა კლდოვანი სტრუქტურა, რაშიც კართა ღიობები იყო გაჭრილი, განადგურდა და მოგვიანებით ეკლესიამ ისინი უცვლელი დატოვა – აღარ მოახდინა კართა გაუქმება და მათი სხვაგან გადატანა აღარ უცდია. დარბაზის იატაკსაც უნდა შევეხოთ. ჩანს, რომ მოგვიანებით ბურჯებს შორის ფართობი საგანგებოდ გადაუთლიათ (ტაბ. L_2), მაგრამ მისი მთელი ფართობის განახლება არც დაუსახავთ მიზნად, ჩრდილოეთის ნავის იატაკი დარჩა 15 სანტიმეტრით მაღლა დანარჩენ ფართობთან შედარებით. ნაგებობის აღმოსავლეთი მხარე მთლიანად პასტოფორიებს (დამხმარე საკულტო სივრცეები) უპყრია, ცენტრში ღრმაბემიანი საკურთხევლის აბსიდაა შექმნილი სინთრონონით (კედელს შემოყოლილი საფეხურებიანი ხარისხედი). ბემის საზღვრებში ოთხი სწორკუთხა ბუდე იკითხება, რაც კიბორიუმის (მცირე ზომის ნაგებობა ეკლესიათა სივრცეში, რომლებიც „იფარავენ“ ტახტს, საკურთხეველს, ამბიონს, სამარხს და ა. შ.) ფუძეებად შეიძლება მივიჩნიოთ[89]. აბსიდას მკვეთრად გამოხატული ნალისებური მოყვანილობა აქვს. „სადიაკვანეც“ აბსიდიანია და იგი სინთრონონსაც შეიცავდა და საკურთხეველსაც. ნალისებურ- აბსიდიანია ჩრდილოეთის პასტოფორიუმიც – სამკვეთლო, რომლის ჩრდილოეთ კედელში ღრმა ოთხკუთხა ნიშებია ამოკვეთილი და ერთ-ერთ მათგანის ჭერზე სხივანა ვარდულიც იყო გამოსახული. ამ სათავსოს თავზე კიდევ ერთი დაბალი ქვაბულია განთავსებული და იგი ორსართულიანად გამოიყურება ამის გამო (ტაბ. XLIX_3). ნაგებობა – „კლდოვანი ბაზილიკა“ – საწყის ეტაპზე, ჩემი აზრით, ცეცხლის სამლოცველოს წარმოადგენდა[90]. ამჟამინდელი გეგმიდან უყოყმანოდ წინარექრისტიანულია სწორკუთხა დარბაზი და მის ცენტრში აღმართული კლდოვანი ბურჯები. ყურადღებას იმსახურებს კართა ღიობებიც, დარბაზის ცენტრს საგანგებოდ აცილებულნი, როგორც ცელას გარედან უხილველობის პირობა. ცელას გარედან უხილველობა ადრეული ზოროასტრული ტაძრებისათვის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. შეიძლება ცელას ფართობში ანუ ბურჯებს შორის

[89] იხ. თ. ქარუმიძე. აღწერილობა გვ.103.

[90] გ. ყიფიანი. უფლისციხის კლდოვანი ბაზილიკა. პრეპრინტი. თბ., 1990. გვ.1 და შმდ.

მოედანზე იატაკის დადებლება იმით იყო გამოწვეული, რომ მოშალეს რაღაც ჩვენთვის უცნობი წინარექრისტიანული საკულტო დეტალი.

ფრიად საინტერესო ფრაგმენტი შემოგვინახა სამხრეთის კედელმა – მის სტრუქტურაში, შიდა მხრიდან, სადიაკვნეს არეში ჩაშენებულია ცეცხლის საკურთხევლის ზედა ფილა, კვადრატული მოყვანილობისა, ცენტრში საცეცხლე, ძაბრისებური ღრმულით, რომელსაც ახლაც ეტყობა ცეცხლის ზემოქმედების კვალი (ტაბ. $LI_{5,6}$).

რაც შეეხება ბემის სიახლოვეს ამოკაფულ ორმოს (ტაბ. $XLIX_{1,2}$) ეხლა ძალიან ძნელია განისაზღვროს მისი შექმნის დრო. იგი, ალბათ, მაშინ ამოიკაფა, როცა მთელი ეს ტერიტორია სახაბაზოდ აქციეს, მისი კვალი კარგად ჩანს სასულიანი თონეებითა და სხვადასხვა დანიშნულების ორმოებით.

ცხადია, რომ წარმართულ ტაძარს, მის რეალურად არსებულ კლდოვან სტრუქტურას ადრექრისტიანულ ხანაში უშუალოდ დაეფუძნა ეკლესია. აღმოსავლეთით გამოიკვეთა პასტოფორიუმები. მათი წყალობით ნაგებობამ შეიძინა ოდნავი სიგრძივობა და ახალი დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძი. ამ სამუშაოთა გასრულება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ცეცხლის სამლოცველოდან ქრისტიანული ეკლესია მიგვეღო. ე.ი. წინარექრისტიანული ცენტრული გეგმის მქონე ნაგებობიდან ძირითადად პასტოფორიუმების დამატების შედეგად მივიღეთ ბაზილიკა, რომელიც ისევეა ბაზილიკა, როგორც მისი წინამორბედი ოთხბურჯიანი ცეცხლის სამლოცველო.

ვფიქრობ, რომ უფლისციხის ქვაბულთა ძირითადი ნაწილი, რომელიც გარკვეულ ინტერესს აღძრავს, აღვწერეთ და ზოგიერთი მოვიხსენიეთ, მაგრამ მათი რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, ნაწილი ჩამოიშალა, გამოიქარა და დიდი ნაწილი კი საგანგებოდ მოსპეს სამშენებლო მოედნების შესაქმნელად, საცხოვრისისა თუ ფარეხის ასაგებად. მიუხედავად იმისა, რომ კლდოვანი მოცულობანი აღარ შეგვრჩა, შეგვრჩა, სამაგიეროდ საინტერესო კონსტრუქციული კლდეშივე ნაკვეთი დეტალები. განადგურებულ ქვაბულთა აღრიცხვა და გააზრება უფრო სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის, ამ მართლაც, რომ საიდუმლოებით მოცულ კლდის ქალაქზე. განადგურებული ქვაბულები[91] უფლისციხეზე გაცილებით მეტია, ვიდრე არგანადგურებული, მაგრამ აქ მხოლოდ ისეთებს აღვნიშნავ, რომლებიც ჯერ კიდევ რაღაც ინფორმაციას გვაწვდიან.

[91] იხ. გ. ყიფიანი. უფლისციხის განადგურებული ქვაბულები. ნარკვევები. V. თბ., 1999. გვ. 7-18.



სურ. 30

ქვაბული (39) I18 კვადრატში. ქვაბულიდან აღარაფერი შემორჩა კარის ღიობისა და ზღურბლის გარდა. ამასთანავე, ქვაბული მასივის გარეთ იყო გამართული და, ალბათ, იერარქიულად არც ეკუთვნოდა ძირითად კომპლექსს. იგი ჩრდილოეთისაკენ ყოფილა მიმართული (სურ. 30). კარის პილონებს შორის სწორკუთხა გრძივი ბუდეა ამოკვეთილი, ისეთივე, როგორც არაერთხელ შეგვხვედრია სხვა ქვაბულთა აღწერისას – კარის დასაგმანავად განკუთვნილი. კარს მოჩარჩოებანიც უნდა ჰქონოდა. ჩარჩოს ვერტიკალური ნაწილების წრიული ბუდეებიცაა შემორჩენილი პილონთა წინ.

ქვაბული (40), E12-E13 კვადრატები. ამ ქვაბულის ადგილზე ახლა ნიველირებული მოედანია (ტაბ. LII), დანაწევრებული ორმოებითა და ღრმულებით. განსაკუთრებით მრავლადაა აქ სარების ჩასარჭობი ბუდეები, რომელთა რიგები გვიანდელ საცხოვრისთა ფართობებს საზღვრავს[92]. ამ ადგილას რომ ქვაბული იყო, ეს სრულიად ცხადადაა აღნიშნული დიუბუას გეგმაზე – კვადრატული კამერა. ამ კამერის კვალი კი იატაკზეა შერჩენილი, სწორედ იქ, სადაც, გეგმის მიხედვით კარის ღიობი იგულისხმება, ესაა კლდეში ნაკვეთი სისტემა – კონსტრუქციული ელემენტი – განივი ღარით გადაკვეთილი ერთმანეთის პარალელური ორი ღარი (ტაბ. LII_1). ამ კვეთას არავითარი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს მეურნეობასთან და შესაბამისად საცხოვრისებთან. რას შეიძლება მოასწავებდეს ეს სისტემა კარის ღიობის სივრცეში. მსგავსი ამონაკვეთი ცნობილია აქემენიდური ხანის კოშკურა ნაგებობაში, ე.წ. ზოროასტრის კოშკში, ნაყშ-ი

[92] ეს კლდოვანი ბაქანი აღწერილობაში დახასიათებულია, როგორც „ქუჩისპირა ბაქანი“ იხ. თ. ქარუმიძე. აღწერილობა. გვ. 107-108.

რუსტამში[93]. ეს კოშკი და მისი იდენტური კიდევ ერთი ნაგებობა ირანში სამარხეულ კოშკებადაა მიჩნეული (თუმცა მათი ფუნქციის სხვაგვარი ახსნაც არსებობს), და ეს აზრი სწორედ მათი კამერის კარის სივრცეში შექმნილმა ღარებმა განსაზღვრა. ადრევე გამოითქვა აზრი, რომ იგი ემსახურებოდა კამერაში მძიმე სარკოფაგის შეცურებას ღარებში ჩასმული საგორავების მეშვეობით და, ამასთანავე, განივი ღარი კი ამის შემდგომ – კარის ამოქოლვას[94].

ქვაბული (41) – E12-F12 კვადრატები. ეს ქვაბული შუაზე გაუხლეჩია ნაპრალს (სურ. 31, 32). იგი სპეციალისტთა დასკვნით სულ ცოტა ამ 2000 წლის წინათ უნდა მომხდარიყო[95]. ამ გრძივი, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართული ქვაბულის იატაკზე კი ნაპრალის ორსავე მხარეს საცხოვრისები იყო გამართული. ნაპრალის სივრცეც შევსებული ყოფილა კლდის ნაშალით. ნაპრალმა შემოგვინახა ის საინტერესო და ბევრის მომცემი მასალა, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით.

ქვაბული (42) – H11 კვადრატი. ამ ქვაბულიდან აღარაფერი შეგვრჩა ერთი საყურადღებო დეტალის გარდა. კერძოდ, კლდოვანი ქოთნისებური ბაზისისა (სურ. 33). იგი 55 სანტიმეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი და მისი ზედაპირი 50 სანტიმეტრის დიამეტრისაა. ბაზისის გარშემო რელიეფი საგრძნობლადაა სახეცვლილი და ჯერჯერობით ქვაბულის კონტურის დადგენა არ ხერხდება.

ქვაბული (43) – F6 *კვადრატი.* ორსვეტიანი ქვაბულის ნაშთი (სურ. 34). იგი კარის ღიობით, ალბათ, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს უნდა ყოფილიყო მიმართული. ქვაბულის საზღვრები (4,5x2,25 მეტრი), რომელებშიც კლდოვანი სვეტები ყოფილა აღმართული კლდის ზედაპირზე ჩანს, მაგრამ, რამდენნაწილიანი იყო ნაგებობა, ამას ველარასოდეს გავიგებთ. სვეტებს შორის მანძილი 1,82 მეტრია. მათი დიამეტრი 30 სანტიმეტრია. ერთი მათგანი 16 სანტიმეტრის სიმაღლემდეა შემორჩენილი. მეორე კი მხოლოდ 4 სანტიმეტრის სიმაღლემდე.

პერისტილური ეზო, ოთხი კვადრატის გადაკვეთაზე, C9, D9,-C10, D10. ეზო გაუმართავთ იმ კლდოვანი მასივის თავზე (ტაბ. LIV_3) რომელშიც №18 და №19 ქვაბულებია გამოკვეთილი. კლდოვან ბაქანზე –

[93] იხ. Fr. Sarre, E. Herzfeld. Iranische Felsreliefs. Berlin. 1910. გვ. 3-5.

[94] იხ. გ. ყიფიანი. უფლისციხის განადგურებული ქვაბულები. გვ. 14-15. სურ. 1-2.

[95] ეს დასკვნა ამ ნაპრალის მიმართ შეიმუშავა საექსპერტო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს სამთო-გეოლოგიური საზოგადოების წევრები, მისი პრეზიდენტის პროფ. ირაკლი გუჯაბაძის ხელმძღვანელობით.



სურ. 31

მეტ-ნაკლებად ნიველირებულზე 8 მეტრიან კვადრატს შემოსწერს 30 გეგმაში სწორკუთხა 20x25 სანტიმეტრისა და 25-30 სანტიმეტრის სიღრმის ორმო. ღრმულებს შორის შუალედები 60-65 სანტიმეტრია. ძნელია ვიფიქროთ, რომ აქ წნულით მოსაზღვრული კედლები გვქონდა და ისიც, რომ ბოძებს შორის მანძილები რაიმე სხვა მასალით იყო შევსებული. ე.ი. სივრცობრივი ნაგებობის წარმოდგენა აქ ძნელია. ვფიქრობ რომ ეს პერისტილური ეზოს კვალია და აქ იგი მხოლოდ რომაელთა ბატონობის ხანაში შეიძლებოდა გამართულიყო. მისი ანალოგები და თანაც I საუკუნისა სწორედ კლდოვან ძეგლებზე მოგვეპოვება, მაგ. პეტ-



სურ. 32

რაში, სადაც კლდოვან ბაქანზე ანალოგიური პერისტილური ეზო გაუმართავთ[96].

„სამშენებლო მოედანი", I18-K18 კვადრატები. ეს საკმაოდ მოზრდილი მოედანი, რომელსაც სამხრეთიდან ქვაბულის ნაშთი ემიჯნება, მნახველთა ინტერესს აღძრავს, რადგან მისი მთელი ნიველირებული ფართობი სწორხაზოვანი ურთიერთგადამკვეთი „ღარებითაა" დანაწევრებული. ეს, ვფიქრობ, რომ წოლანათა ბუდეებია, იატაკის დასაგები კოჭების კვალი. საგულისხმოა, რომ გაგარინის ჩანახატზე (და, რადგანაც ჩანახატია, ძნელია დამაჯერებლად მოხდეს მისი ლოკალიზაცია), დაახლოებით ამ არეში საკმაოდ დიდი, კრამიტით დახურული სახლია ასახული. თუმც შეიძლება იგი შუასაუკუნეების სასიმაგრო კედლადაც მივიჩნიოთ (ტაბ. III_2).

„მოედანი" DD14-D15, E14-E15 კვადრატებში. ეს მოედანი 3 მეტრის სიღრმეზეა გამართული კლდოვანი ზედაპირიდან ვერტიკალურად

[96] St. Steingruber. Die Tomba bei Festoni in Tarquinia und die Deckenmalereien der Jungeren etruskischen Kammergräber. AA 1984. H.4. სურ. 9. გვ. 605.

ჩაკაფვის გზით. მისი მთელი ფართობი საცხოვრისად ყოფილა ათვისებული. ე.ი. ერთგვარი მიწური მოუწყვიათ. კედლების კვეთა, მეტისმეტად უხეშია, ხოლო მათი სწორხაზოვნება არსად არაა დაცული. ამდენად ეს „მოედანიც" სულ უკანასკნელი პერიოდის ნამოქმედარად შეიძლება მივიჩნიოთ.



სურ. 33

„მოედანი" *C10 კვადრატში*[97]. როგორც ჩანს, ამ მოედანზე არაერთი სახლი მდგარა. მათი გეგმები დიდი სიზუსტითაა ფიქსირებული. გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ საცხოვრისები აქ ქვაბულთა განადგურების შემდეგ გაიმართა, რაშიც ეჭვის შეტანა ძნელია, მათი კვალი ჩანს ბაქნის დასავლეთ კლდოვან კედლებზეც და ყურადღებას მისი ფაქიზი დამუშავებაც იპყრობს. ამ ბაქნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში საწურია ამოკვეთილი, რომელიც გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს, და რახან ახლა სწორედ ამ ტიპის „ნაგებობების" განხილვას ვიწყებთ ე.ი. საწურებისა და საწნახელებისა, პირველად სწორედ მასზე ვისაუბრებთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უფლისციხის საწურები და საწნახელები ყოველთვის იყო მკვლევართა ყურადღების ცენტრში და სპეციალური კვლევის საგანიც გახდა[98]. ისინი ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება მაგრამ,

[97] თ. ქარუმიძე. მოხატულოთახიანი სახლი. აღწერილობა, გვ. 102-103.

[98] დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე I. გვ. 63-66; მისივე, ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართული ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის. სმასმგმ. 1963. №2. გვ. 114, 127; ლ. სუმბაძე. ქართული მარნის ხუროთმოძღვრება. მსე. XVI-XVII. თბ., 1972. გვ. 134.



სურ. 34

მგონია, რომ ყველაზე ადრეულნი მხოლოდ, ახ.წ. I საუკუნეს განეკუთვნება, დიდი ნაწილი მათი, კი შუასაუკუნეებს.

საწური C10 *კვადრატში.* ეს საწური სხვებთან შედარებით „მინიატურული“ ზომისაა, ჩვენამდე თითქმის უცვლელად მოღწეული და ორნაწილიანი. რეზერვუარი ზემოდან სწორკუთხაა და საკმაოდ ღრმაა – 1,1 მეტრი, საწურიც სწორკუთხაა 15 სანტიმეტრის სიღრმისა. ორივე განყოფილება ღარით უკავშირდება ერთმანეთს (სურ. 35).

საწნახელები D13 *კვადრატში.* ეს საწნახელებიც ორი განყოფილებისაგან, საწურისა და რეზერვუარისაგან შედგება (სურ. 36). მისი სიღრმე 50 სანტიმეტრია, ხოლო ზომები 1x1,2 მეტრი. მოცულობა კი 1200 ლიტრს უტოლდება. განყოფილებები ერთმანეთს სადინარით უკავშირდება – კუთხეებით აერთიანებს საწურსა და რეზერვუარს. საწურის აღ-



სურ. 35

მოსავლეთ ცენტრალურ არეში კიდიდან 10-ოდე სანტიმეტრის დაშორებით სწორკუთხა ღრმულია ამოკვეთილი.

მეორე საწნახელი აღწერილისაგან აღმოსავლეთით, 2,60 მ-ის დაშორებითაა ამოკვეთილი, ისიც ორნაწილიანია, მაგრამ მისი რეზერვუარი მხოლოდ 700 ლიტრს იტევდა. სადინარი აქ საწურსა და რეზერვუარს გვერდებით აკავშირებს ერთმანეთთან. საწურის სამხრეთ კიდესთან და კუთხესთან სწორკუთხა ღრმულია ამოჭრილი ტექნიკური აუცილებლობის გამო.

საწნახელები C12 *კვადრატში.* ესენიც წინა შემთხვევის ანალოგიურად დაწყვილებულნი არიან, ერთმანეთის გვერდიგვერდ ამოჭრილნი უფლისციხის დასავლეთ კიდესთან და მხოლოდ ნაწილობრივ შემორჩენილნი ქარაფის რღვევის გამო. დასავლეთისაზე (სურ. 37), ანუ უკეთ შემორჩენილ ნიმუშზე, ორივე განყოფილება გეგმაში კვადრატული უნდა ყოფილიყო (1,10x1,10 მეტრი), მაგრამ წინა ნიმუშებისაგან განსხვავებით 2 მეტრის სიგრძის სადინარით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

საწნახელი G18 *კვადრატში.* საწნახელი აქ ოდესღაც არსებულ ქვაბულში გაუმართავთ, ეს ქვაბული კაზემატებიან კარიბჭეს ებმის სამხრეთის მხრიდან და შეიძლება მისი ფუნქციონალური ერთეული ყოფილიყო – ვთქვათ, ყაზარმა. ამ სათავსოს სამხრეთ კუთხეშია საწნახელი გამართული (სურ. 38). ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს ფართობიც საცხოვრისად ყოფილა შუასაუკუნეებში ათვისებული. რეზერვუარში სულ უკანასკნელ ხანს თონეებიც გაუმართავთ, სადინარი თონის საბერველად უქცევიათ და ა.შ.

საწნახელი ერთ-ერთი ძირითადი სამეურნეო კატეგორიაა და, ბუნებრივია, იგი არაერთი მკვლევარის შესწავლის საგანი გახდა. რაც არ უნდა მარტივი მოგვეჩვენოს მათი შედგენილობა, მათ ტექნიკური სრულყოფის გზა მაინც გაიარეს, ძირითადად დასაწურმა დანადგარებმა. მაგ. ბერკეტიანი პრესი საბერძნეთში ძვ.წ. VI საუკუნეში უკვე ჩანს,



სურ. 36

რომელსაც ზეთისხილის საწნეხად იყენებდნენ[99]. მოგვიანებით ხმარებაში ხრახნიან-ბერკეტიანი პრესი შემოდის – იტალიის ტერიტორიაზე იგი ძვ.წ. I საუკუნის შუა წლებიდან ვრცელდება[100] და დაახლოებით ამავე დროს ბოსფორის ქალაქებშიც ჩნდება[101]. ვერტიკალურღერძიანი ხრახნი საწნახელისაგან საკმაოდ მოშორებითაა ჩარჭობილი, ხოლო საწნახელის სიახლოვეს მასიური ბოძი მაგრდება. მათ შორის გადებულია კოჭი. კოჭის თავი მოძრაობს ზევით და ქვევით ხრახნზე და შესაბამისად კოჭზე მიმაგრებული პრესიც, რომელიც უნდა მოიცავდეს თითქმის საწურის ფართობს და წნეხავდეს ყურძენს. ეს კონსტრუქცია, რომელიც პლინიუსმა აღწერა და ჩვენ მას ვაცნობიერებთ დრახმანის რეკონსტრუქციით, ოდნავადაც არ შეცვლილა დღემდე[102] – ერთი „უმ-

[99] В. Ф. Гайдукевич. Виноделие на Боспоре. МИА. 1958. №85. გვ.353.
[100] XVIII, 317.
[101] И.Н Кругликова. АГСП. გვ. 157.
[102] АГСП. ტაბ. LVIII. 16.

ნიშვნელო“ დეტალია საწნახელებთან დაკავშირებული, რომელიც ყოველთვის ზუსტად მიგვანიშნებს, რა სახის საწურთან გვაქვს საქმე: პრიმიტიულთან, სადაც ხილი ფეხით იწურება (ასე იყო კლასიფიცირებული უფლისციხის საწნახელები), თუ მექანიკურთან. ეს სადინარია, ღარი რომელიც საწურსა და რეზერვუარს აკავშირებს ერთმანეთთან. საქმე ისაა, თუ სადაა ამოკვეთილი ღარი. როცა საწნახელი პრიმიტული მეთოდისათვის (ვთქვათ, ფეხით წურვისათვის) იქმნება, მაშინ ღარი ყოველთვის საწურის ძირზეა გაჭრილი, მაგრამ უფლისციხეში და ყველა იმ საწნახელზე, სადაც ხილი პრესით იწურება, ღარი ზედა კიდეზე იჭრება და სავსებით ლოგიკურია ასეთი რამ. საწურის ძირამდე ჩაღრმავებულ პრესს სითხე ზემოთ ამოჰყავს წნევით. ცხადია, თუ ასეთ საწნახელში ყურძენს ფეხით დავწურავთ, ის ვერაფრით ვერ ააღწევს ღარის დონემდე. უფლისციხის საწნახელებთან, ეჭვგარეშეა, იდგა ხრახნიანი პრესი. მისი ჩასადგმელი ბუდეები უფლისციხის საწნახელთა გარშემო ზუსტად შეესაბამება პლინიუსის ვარიანტს. უფლისციხის საწნახელები აქ ტერიტორიის განახლებისას, მისი ფუნქციის შეცვლის შემდგომ უნდა „დაემონტაჟებინათ“ და ძნელია მათი შექმნა ახ. წ. I საუკუნეზე უფრო ადრეულ პერიოდს დავუკავშიროთ.



სურ. 37

უფლისციხეზე ისეთი საწნახელიც მოიპოვება, ყველა ნიშნით გვიანფეოდალური ხანისა, რომელშიც ყურძენი ფეხით იწურებოდა. იგი უფლისციხისკენ აღმოსავლეთიდან მომავალ მაგისტრალზეა პირდაპირ ჩაკვეთილი, მის ზედა ჩრდილოეთ კიდესთან და კუთხეში. იგი ძირზე შეიცავს სადინარს, რომელიც გეგმაში წრიულ რეზერვუარს უკავშირდება (სურ. 39).

შეწყვილებული წრიული ორმოები F16 და E13 კვადრატებში. ესენიც საწურებია, შეიძლება თანდათანობით დროის სხვადასხვა მონაკვეთში სახეცვლილნი, მაგრამ იგივე ფუნქციის სამეურნეო მოწყობილობები, სადაც დანადგართა ბუდეებიც იკითხება და სადინარებიც, რის მეშვეობითაც შეიძლება გავარკვიოთ, რომელი ჩაღრმავებაა საწური და რომელი რეზერვუარი (სურ. 40).



სურ. 38

ხარები. მხოლოდ რამდენიმეს მივუთითებთ. ეს წრიული ან გეგმაში ოვალური მოყვანილობის ვერტიკალური ქვაბულები უგამონაკლისოდ სამეურნეო ორმოებია, ძირითადად მარცვლეულის საცავები. სულ უკანასკნელ ხანს, როგორც ხანდაზმული წარმომადგენლები მეზობელი სოფლებისა მოგვითხრობენ, მათ სასილოსე სათავსებად იყენებდნენ. ბევრი მათგანი სიღრმისაკენ გაფართოებულია, ზოგს კი მკაცრად ცილინდრული კვეთა ახასიათებს. მათ გადასახურავად საგანგებო ფარებიც ყოფილა შექმნილი. ამას ზედაპირზე მათი მკლავებისათვის ამოკვეთილი ბუდეებით ვხვდებით. ძირითადად, ისინი ოთხმკლავიანებია, რამდენიმე ადგილას კი სხივანა, რვამკლავიანი სარქველის ბუდისათვის გამიზნული კვეთაც დასტურდება (სურ. 41).

თონეები არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ ეს სამეურნეო ღრმულები, რომლებიც გარკვეულ მოწყობილობებს შეიცავდნენ ყველგან, ყველა ქვაბულში გვხვდება. რამდენიმე ასეული სასულეიანი თონეა დადასტურებული უფლისციხეზე. მისი კონსტრუქცია ყველგან ერთგვაროვანია, წრიულ ან კვადრატულ ჩაღრმავებაში, იდგმება საკუთრივ თონე, კერამიკული, ორმხრივ ღია ცილინდრი კიდესთან ნახვრეტით (სურ. 42). კლდეში გაჭრილი საბერველი (ანუ სასულე) სწორედ ამ ნახვრეტს უკავშირდება და ჩაბერვის შედეგად სიმხურვალეც იზრდება. ყველა ეს

თონეები უფლისციხის სიცოცხლის სულ უკანასკნელი პერიოდის, XVIII-XX საუკუნეების ამსახველია.



სურ. 39

გვირაბი, – სათავე F18-კვადრატში, ბოლო F20 კვადრატის ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხესთან (ტაბ. XLVIII). ბატონიშვილ ვახუშტის დახასიათებით – „გჯრაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკურამდე“ – უფლისციხის ყველაზე აქტიურ, ქართულ საისტორიო მწერლობაში კარგად გამოკვეთილ პერიოდს, ფეოდალურ ძალთა გადანაწილების პროცესს უკავშირდება. იგი ნამდვილად შუასაუკუნეების პროდუქტია. მისი სათავე აზიანებს ანტიკური ხანის ქვაბულებს, თავდაპირველი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებაც, ალბათ, ძველ ქვაბულთა მდგომარეობითაა გაპირობებული. 10-ოდე მეტრის შემდგომ, არც თუ მთლად სწორხაზოვნად, მაგრამ მაინც მკვეთრად იგი სამხრეთისაკენ მიემართება. უფლისციხის სამხრეთი, მისი კლდოვანი ქარაფი რომ მტკვრის, ანუ მისი ერთ-ერთი ტოტის „ისტორიული“ საწოლია, ეს მრავალი მონაცემით ჩანს. ჯერ ერთი თვით კლდის მასივზე დაკვირვებით, რომელზეც დინების ნამოქმედარი იკითხება – რბილად გალოკილი ქანები (ტაბ. LXI_2). გარდა ამისა დიუბუას გეგმაზეც ჩანს, რომ ახლანდელი სასოფლო გზის ადგილას მტკვარი მიედინებოდა, რომელშიც სწორედ გვირაბის ბოლო გამოდიოდა. გვირაბი დიდი სიზუსტითაა დატანილი მის გეგმაზე. მისი სიგრძე 36 მეტრია, სიგანე კი 4-3 მეტრი.

როგორც აღვნიშნეთ, უფლისციხის აქტიური სიცოცხლე IX საუკუნიდან განახლდა. თბილისი ამირას უპყრია. ქართლის შუაგული სწორედ უფლისციხით ცნობიერდება და ამას მრავალი მიზეზი აქვს. მართა-

ლია, იგი სტრატეგიული დომინანტი არაა, ადვილადაც შეიძლება მასზე თვალთვალი შორიდან, მაგრამ იგი კლდოვანი ხევებით (ტაბ. LVIII$_1$) შემოსაზღვრული საკმაოდ მიუდგომელი ადგილია, თანაც ცალი მხრიდან მდინარე მტკვრით მოკვეთილი. არ ჰყავს ძირეული მოსახლეობა და არის ტევადი, თუნდაც სამხედრო შენაერთთა დასაბინავებლად. ის ქართლის შუაგული რომაა და ორ დიდ ქალაქს, კასპსა და გორს შორის მდებარეობს, განსაკუთრებული მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო. პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების პროცესმა ახალი მნიშვნელობა შესძინა მას და ამიტომაც მთელი IX-X საუკუნეებში იგი ქართველი და სომეხი მმართველების ურთიერთბრძოლის ასპარეზს ქმნიდა.

საკმაოდ ხანგრძლივი დროით (IX ს-ის 40-იანი წლები) უფლისციხე ტაო-კლარჯეთის მფლობელის ბაგრატ კუროპალატის ხელშია. შემდგომ, კი ეგრის-აფხაზთა მეფეს, კონსტანტინეს წარსტაცა იგი მეფე სუმბატმა, სომეხთა მეფემ.

924 წლიდან უფლისციხე ეგრის-აფხაზთა უფლისწულის კონსტანტინეს რეზიდენციაა და მამის წინააღმდეგ აღმდგარი და მალულად მტკვრის გაღმა გასვლის მოსურნე, აზნაურთა მიერ მიტოვებული, უფლისციხეშივე შეიპყრეს კლდის ნაპრალში შეყუჟული. ერთ დროს უფლისციხე მომავალი დიდი მეფის ბაგრატ III-ის ბანაკიცაა, სწორედ აქ ატყვევებენ მას კახელი დიდებულები. უფლისციხე მოგვიანებითაც დავისა და ბრძოლის ასპარეზია ბაგრატ IV სა და კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ბაღუაშს შორის. ერთიანი დიდი საქართველოს განმტკიცების შემდგომ უფლისციხე, როგორც ქართლის შუაგულში მდებარე სამხედრო ბანაკი, თავის მნიშვნელობას კარგავს. მთელი ეს რთული და დაძაბული ფეოდალური ცხოვრება უფლისციხეში, უპირველესად სიმაგრიდან საიდუმლო გასასვლელს მოითხოვდა, შუასაუკუნეების ციხე-ქალაქთა აუცილებელ ატრიბუტს.

ეკლესია 103 E10, F10 კვადრატებში და მისი მიმდებარე ქვაბულთა ნაშთები (ტაბ. LIX1-3, LX1,4).

ეკლესიას ადგილობრივი მოსახლეობა უფლისწულს უწოდებს. ყველა მკვლევარი აღნიშნავს, რომ იგი აგებულია ქვაბულთა ნაშთებზე[104] და ამაში ადვილია დარწმუნება. ქვაბულთა კედლების ნაშთები და დეტალებიც კი ეკლესიის სტრუქტურაშია ჩართული. ეხლა ძალიან

[103] თ. ქარუმიძე. უფლისციხის ეკლესია. აღწერილობა. გვ. 105-106.

[104] დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე–ქალაქი კლდეში, გვ. 28-29; თ. სანიკიძე. უფლისციხე. გვ.34-35; Н. Чубинашвили. Уплис-цихе. გვ. 18-19.



სურ. 40

ძნელია ეკლესიის წინამორბედ ქვაბულთა გეგმარებითი სქემის დადგენა (მე მგონი, შეუძლებელიც). ეკლესიის ირგვლივ კლდოვან მოედნებზე ქრისტიანული სამარხებია გამართული, სწორკუთხა (2x0,70-0,80 მეტრი. სიღრმე 0,5-0,9 მეტრამდე) ღრმულების სახისანი, ყველა მათგანი დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზეა მიმართული. ეკლესიას დასავლეთიდან ემიჯნება ფართე კლდოვანი მოედანი (9x12 მეტრზე), რომელიც უთუოდ კლდოვანი სივრცობრივი ერთეულის, დარბაზის ნაშთია. მთელს სიგრძეზეა შემორჩენილი მისი აღმოსავლეთი კედელი 1,6 მეტრის სიმაღლემდე და ეკლესიის დასავლეთი მხარე სწორედ მასზეა ამოყვანილი. ქვიშაქვის ფილებითაა გამართული სახელდახელო საფეხურები, კარის დონეზე ასასვლელად. ქვაბულის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტი, 2,4 მეტრის სიმაღლისა, ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში შედის. ეს ფრაგმენტი კლდოვანი ნაგებობისა უზადოდაა გათლილი და თავდაპირველობის ყველა ნიშანს ატარებს. იგი უფრო პილონის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომლის ჩრდილოეთით თითქოსდა უფრო ფართე დარბაზი უნდა არსებულიყო. შემორჩა ეკლესიის წინა „მოედნის“ დასავლეთი კედლის 8 მეტრიანი ფრაგმენტი, აგრეთვე ნარჩენები სამხრეთის კედლისა, რომელიც ასევე ეკლესიის ორგანიზმშია ჩართული. ამავე კედლის ხაზზე კლდოვანი ბურჯის ფრაგ-

მენტიცაა დადასტურებული (სურ. 44), რომელიც შეუთავსებიათ ეკლესიის ორმაგთაღოვანი სამხრეთის კარიბჭის ცენტრალური ბურჯისათვის და „მოუპირკეთებიათ“ აგურის წყობით[105]. თითქოსდა უეჭველობით ჩანს, რომ ეკლესია აქ არსებულ კიდევ ერთ კლდოვან დარბაზზეა უშუალოდ დაფუძნებული. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის ძირში ჩანს კლდოვანი კედელი და მისი ღიობიც ისახება თითქოს 3 მეტრის სიგანისა (ტაბ. LX4). ერთ საინტერესო გამოსახულებას უნდა შევეხოთ; ესაა ჯვრის ჩაკვეთით შესრულებული გამოსახულება კლდეზე, ეკლესიის დასავლეთ ფასადის კლდოვან ცოკოლზე, იგი ძალიან წაგავს ანთროპომორფული ჯვრის ერთ-ერთ სახეობას ე.წ. Crux ansantas და არქაული იერისაა (ტაბ. LX1,2). ამ ტიპის ჯვრებს გარკვეული სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, როგორც სიცოცხლისა და უკვდავების აღმნიშვნელს[106]. იგი აქ თაღოვანი ღრმა ნაჭდევებით გამოყვანილ ჩარჩოშია ჩასმული. ვიზუალურად ისე ჩანს, თითქოს ეს ეკლესიის კარის მოდელია შუაში მაცხოვრით და სწორედ მის თავზეა გამართული ეკლესიის კარი. რას უნდა მოასწავებდეს ეკლესიის აღსავალზევე გამოკვეთილი ეს უკვდავების სამარადისო სიმბოლოს ანასახი, თუ არა მიცვალებულის კულტს.



სურ. 41



სურ.42

ნაგებობა „სამეკლესიანი ბაზილიკაა“ – ახალი კლასიფიკაციით კი, რომელიც უკეთ გადმოგვცემს მის არქიტექტურულ არსს, „დარბაზული ეკლესია გვერდითი მინაშენებით[107] (სურ. 43). მისი სიგრძე 17,8 მეტრია, სიგანე 14 მეტრი. სიმაღლე გარე მასებისა 11,2 მეტრია, ხოლო ცენტრალური ნავისა 9-მეტრი. აბსიდას ირგვლივ ერთსაფეხურიანი კლდოვანი ხარისხი შემოუყვება 30 სანტიმეტრის სიმაღლისა. აბსიდის ცენტრში 75 სანტიმეტრის ქვის საკურთხეველია აღმართული. იატაკიდან 2 მეტრის სიმაღლეზე, აბსიდის გვერდებში, პატარა თაღოვანი ნიშებია შექმნილი და ერთი სარკმელით ნათდება. ბემა ნალისებური სოლეათია ხაზგასმული. ცენტრალური ნავის სამივე კედელი ორ-ორი, მკვეთრად წინ გამოზიდული კედლის ბურჯებითაა დანაწევრებული, რომლებიც 70 სანტიმეტრის სიღრმის ნიშებს ქმნის და 6,7 მეტრის სიმაღლეზე კედლებზე თაღედს წარმოშობს. დასავლეთის სივრცე სიგანე-

[105] თ. ქარუმიძე. უფლისციხის ეკლესია. გვ. 106.

[106] J.C. Cooper. Lexikon Alter Symbole. Lpz., 1986. გვ. 100; E.D. van Buren. Symbols of the Gods in Mesopotamian Art. Roma. 1945. გვ. 108-110.

[107] Н.Чубинашвили. Шашианис Самеба (Композиция зальной церкви, осложненная вспомогательными помещениями). МСГИ IV(СД). გვ. 66-78.

ზე გაჭიმული ტალანია, მისი ზედა სტრუქტურა შეისრული კამარაა და გვიანდელი გადაკეთება-გადაწყობის აშკარა ნიშნებს შეიცავს. სამხრეთიდან მასში კარია გაჭრილი, რომელსაც საფასადე მხრიდან საფეხურები არ აქვს და რელიეფის დონიდან 1,3 მეტრის სიმაღლეზეა გამართული. ტალანი კარით ჩრდილოეთის ნავსაც უკავშირდება, რომელიც უაბსიდოა. იგი აღმოსავლეთიდან ერთი სარკმლით ნათდება და სამხრეთის კედლიდან გამოზიდული მასიური ბურჯით ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა. მის ჩრდილოეთ კედელში კარიცაა გაჭრილი. ეს ორი აღწერილი სივრცე ამჟამად იზოლირებულია ცენტრალური ნავისაგან, მაგრამ ცენტრალური ნავის ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ არეში ამოქოლილი კარის ღიობი შეინიშნება ბემის სიახლოვეს, რითაც იგი ოდესღაც ჩრდილოეთის ნავს უკავშირდებოდა. ასევე ამოუშენებიათ კარი დასავლეთის კედელშიც, ზუსტად საკედლე ბურჯებს შუა რომ ყოფილა გამართული.



სურ. 43

სამხრეთის მინაშენი, ფაქტობრივად, კარიბჭეა, რომელშიც ორმაგთაღოვანი ღიობით შევდივართ. თავის მხრივ, განიერი კარით იგი ცენტრალურ ნავს უკავშირდება. იგი ნალისებური კამარითა და კონქით გადახურული აბსიდით მთავრდება. კარიბჭისათვის თავზე უკანასკნელ ხანს, XIX საუკუნის ბოლოს, გეგმაში კვადრატული და ოთხივე მხრივ თაღებით გახსნილი აგურის სამრეკლოც დაუდგამთ.

ერთი საყურადღებო მოვლენაც უნდა აღვნიშნოთ. ეკლესიის უკიდურესი ქვედა სტრუქტურა ამოკვეთილ კლდეშია ჩასმული ნაწილობრივ და კლდეშივე შესრულებული დეტალებითაა შევსებული. მაგ. კლდეშია ნაკვეთი სინთრონონი აბსიდითურთ და საკურთხევლის ბაზისი (სურ. 44). რა აზრი უნდა ჰქონოდა ასეთ ქმედებებს, თუ ეკლესიის აგება აგურით იყო გამიზნული. გავიხსენოთ, რომ ბემის საფეხურიც კი კლდეშია ნაკვეთი. ამიტომ ვთვლი, რომ ამ ადგილას ეკლესია ზემოთ აღწერილ ოთხბურჯიანი კლდოვანი ბაზილიკის ანალოგიურად ქვაბულში გაი-

მართა და მისი ჩამოშლის შემდგომ არსებული სქემა აგურის კედლებით განსახიერდა. არანაკლები მოწმობაა ამ ვარაუდის გასამყარებლად ჩრდილო და აგურის წყობაში ჩართული სამხრეთის კლდოვანი კედლების ნაშთები.



სურ. 44

ე.ი. ეკლესია, აქ უნდა გამართულიყო კლდოვანი, ზემოთ აღწერილი ოთხბურჯიანი ბაზილიკის განადგურების შემდგომ და შეიძლება მარტო ეს არც იყო მიზეზი. კლდოვანი ბაზილიკა ერთგვარ ცენტრადაა ნაგულისხმევი მთელი კლდოვანი მასივისათვის და ეს ასე იქნებოდა, მაშინ, როცა იგი ცეცხლის სამლოცველოს ფუნქციას ასრულებდა. მაგრამ დასავლეთით დიდი მასივების მოწყვეტისა და განადგურების შემდგომ ნაგებობა კიდურა გახდა. ამიტომაც შეიძლება ახალი ეკლესიის შექმნა, ახალი დომინანტის ძიებასთანაა დაკავშირებული და კარგადაცაა საამისოდ შერჩეული ადგილი, თავიდანვე დომინანტური ქვაბულით მინიშნებული. ადგილი იძლევა საშუალებას, თავი მოუყაროს გზებსა და ბილიკებს და მოედანთან ერთად გაერთიანდეს, როგორც ცენტრი. რამდენიმე არქაული ნიშანი უნდა აღინიშნოს აქ აგურის სტრუქტურაში. ნალისებური ფორმების სიმრავლე, თვით ეკლესიის გეგმარებითი სქემა – ნავების კედლებით დანაწევრება, ინტერიერში კედლის მასივიდან მკვეთრად გამოზიდული ბურჯები. თარიღი მხოლოდ დაახლოებით შეგვიძლია განვსაზღვროთ – VI საუკუნე. სხვა მონაცემებზე დაყრდნობა ცოტათი საფრთხილოა ძეგლის არაერთგზისი გადაკეთების გამო. ამდენად, ვფიქრობ, რომ ამ ადგილზე სამშენებლო მოღვაწეობის საფეხურები ასე გამოიყურება – ძვ. წ.ა. IV-III საუკუნეების ქვაბული – კლდოვანი ეკლესია – აგურის დარბაზული ეკლესია გვერდითი მინაშენებით.

მარანი. კვადრატები F5-F6, G6. იგი უკიდურეს ჩრდილოეთ კიდესთან ყოფილა გამართული და უშუალოდ ემიჯნება ამ მხრიდან უფლისციხის ტერიტორიის მსაზღვრავ ელინისტური ხანის სასიმაგრო კე-

დელს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, კლდეში ნაკვეთი ბუდეების სახითაა შემორჩენილი. ნაწილობრივ კლდეში ფორმირებული კედლებითაა შემოსაზღვრული მარანი, მაგრამ ახლა ძნელი დასადგენია მთლიანად გამოქვაბულში იყო იგი გამართული, თუ არა. ქვევრის ჩასადგამი დასაფიქსირებელი ბუდეებიც კლდეშია კონუსურად ნაკვეთი და სულ 58 ქვევრს ითვალისწინებდა, იგი თავისი სამი სათავსოთი (სურ. 45). ეს ნაგებობა მარან-ბეღელადაც შეიძლება, ვფიქრობ, მივიჩნიოთ. ქვევრები, ალბათ, საზედაშე ღვინოსაც შეიცავდა, წინარექრისტიანული რიტუალის უცილობელ სითხეს და მარცვლეულსაც, ასევე წარმართულ რიტუალში არაერთხელ დადასტურებულს. მისი შექმნის თარიღად ზოგადად ელინისტური ხანა უნდა მივიჩნიოთ. საველე დავთარი გვაუწყებს, რომ აქ ელინისტური ქვევრის ფრაგმენტებისათვის მიუკვლევიათ ერთერთ საქვევრე ბუდეში[108]. რა ფუნქცია შეიძლებოდა ჰქონოდა მარან-ბეღელს მიცვალებულთა ქალაქში, სამარხ ქვაბულთა კომპლექსში? მიცვალებულთა ქალაქი თავისთავად საკულტო მნიშვნელობის ჩანს და კულტს ემსახურება უპირველესად, ამას გარდა უფლისციხეს, როგორც გარკვეულ სიწმინდეს, ელინისტურ ხანაში გარნიზონიც იცავდა მძლავრი სასიმაგრო სისტემით და მასაც ამარაგებდა, ალბათ, ღვინითა და მარცვლეულით. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში დადასტურებული წინარექრისტიანული საკულტო ნაგებობანი მარან-ბეღლებს უცილობლად შეიცავდნენ. საკმარისია, დავასახელოთ ვანი[109], ციხია-გორა[110], მცხეთის ბაგინეთის ექვსაბსიდიანი ტაძარი[111] და სხვ.

ყველა აღწერილი ქვაბულის გეგმა (და არა მარტო გეგმა) წარმოვადგინეთ, მაგრამ კრებით ტაბულაზე მაინც, მგონია, რომ უკეთ გავაცნობიერებთ უფლისციხის კლდის არქიტექტურისათვის დამახასიათებელ გეგმარებით კომპოზიციებს, მითუმეტეს თუ მათ პარალელურ მასალასაც შევუჯერებთ. უფლისციხეზე 6 ძირითადი სქემა ჩანს საფუძვლად ქვაბულთათვის.

1) ესაა ცენტრალური ბირთვიდან, როგორც გამანაწილებლიდან სამმხრივ განტოტებული ქვაბულები. ასეთთა რიგს უპირველესად მიეკუთვნება. მაგ. ქვაბულები №10 ან №15 და სხვ. 2) ქვაბულები სადაც

108 საველე დავთარი №9. უშქ. 1983 წ. №2353.12.VIII, 83. საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. უფლისციხის სამეცნიერო სექტორი.

109 O.Д. Лордкипанидзе. Древная Колхида. Тб., 1979. გვ. 202.

110 გ. ცქიტიშვილი, ბ. შატბერაშვილი და სხვ. კასპისა და გორის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. საკძ – 1973. თბ., 1974. გვ. 43.

111 გ. ყიფიანი. არმაზციხის ექვსაბსიდიანი ტაძარი. საქ. ხელოვნების სახ. მუზეუმის XXI სამეცნიერო სესია. (მთ). თბ., 1998. გვ. 11.



სურ. 45

გრძივ ღერძზე მიმდევრობით სამი, ან ზოგჯერ მხოლოდ ორი ქვაბული ებმის ერთმანეთს. მაგ. ქვაბული №18, 20 და ა.შ. 3) ჯგუფურად, ერთმანეთის გვერდიგვერდ განთავსებული ქვაბულები. მაგ. №5-6 ან №13. 4) შეწყვილებული ქვაბულები, სადაც ძირითადად მეორე ტიპი ერთმანეთის პარალელურად გამოკვეთილი ქვაბულებად გვხვდება. მაგ. ქვაბულები №№16-17 ან №№25-26. 5) სწორკუთხა და გეგმაში წრიულ ქვაბულთა წყვილები მაგ №35-36 და სხვ. 6) ქვაბულთა დარბაზული ტიპები, რომლებიც ბურჯებსაც შეიცავს №12 და №38 (სურ. 46_{1-15}).

ქვაბულის ყველა ტიპი უფლისციხეში თავმოყრილი, გარდა ოთხბურჯიანი ნაგებობისა, გამეორებაა იმ სამარხეული კლდოვანი ძეგლებისა, რომლებსაც ასე მრავლად ვხვდებით ეტრურიასასა და იუდეაში, ალექსანდრიაში, მთელს მცირე აზიაში, არაბეთში, ურარტუში, მიდიასა და ირანში, და თურქესტანშიც კი.

კლდოვან სამარხთა გეგმარებითი სქემები კონსერვატიულობით გამოირჩევა.

უფლისციხის ქვაბულთა ჭერის მორთულობანი ასევე, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ ზემოთ, კლდოვან სამარხთათვისაა დამახასია-

თებელი, აღარაფერს ვამბობთ ცალკეულ კონსტრუქციულ (კართა ჭრილები) და ფუნქციონალურ (სარეცლები) დეტალებზე.

უფლისციხის კლდოვან ნაგებობებში, გადახურვის იმ მრავალ კონსტრუქციულ სქემათა შორის (სურ. 47), რომლებიც აქ დასტურდება, არ აისახა „გვირგვინი" პარალელური ან კუთხური წყობით ნაგები ცრუ გუმბათი, ქართული საცხოვრისების ესოდენ დამახასიათებელი ელემენტი[112] და ეს მაშინ, როცა უფლისციხიდან სულ რაღაც 2-ოდე კილომეტრის დაშორებით სწორედ გვირგვინიანი სახლი, ე.წ. მესხური ტიპისა, მიკვლეულია არქეოლოგთა მიერ[113]. იგი ელინისტური ხანით თარიღდება, ე.ი. ისევე, როგორც დიდი ნაწილი უფლისციხის ქვაბულებისა.

ამ კითხვაზე ერთადერთი პასუხი შეიძლება მხოლოდ რომ მოიძებნოს; უფლისციხის ქვაბულები სულ სხვა, ადგილობრივ წარჩინებულთა ფენისათვის იყო გამიზნული და არა მიწისმომქმედთათვის. დარბაზული სახლები, მიწურნი ან ნახევრადმიწურები ხომ ძირითადად მიწის მეურნეთა საცხოვრისებია.

უნდა შევეხოთ მოკლედ კიდევ ერთხელ უფლისციხის რომაულ პერიოდს და ამ დროის მის ფუნქციას. რა გვაქვს სახეზე ამ პერიოდიდან, დასრულებული თუ დაუსრულებელი? 1) კოშკით ფლანკირებული განიერი კარიბჭე. 2) მისწრაფებათა ანასახები, შეიქმნას ქვაბულთა საპარადო იერი მათი წინა მხრიდან გახსნითა და კამარულად გადაქცევით. 3) თერმების შექმნის ცდა კლდოვან მასივებში ნატაციოთი. 4) ტრიუმფალური თაღის რეპლიკა. 5) შესაძლოა, კომპლექსის აღმოსავლეთით სტადიონიც, ყოველ შემთხვევაში მოედანი. ეს ყველაფერი ერთად თავმოყრილი ძალიან ახლოა კასტელუმად (რომაული სამხედრო ბანაკი) ტერიტორიის ადაპტირების ცდასთან. ფუნქციონალურად რომაულ ქმედებებთანაა დაკავშირებული უფლისციხისაკენ აღმოსავლეთიდან მომავალი, კლდეში ნაკვეთი საპარადო გზა (ბოლომდე ვერ მიყვანილი, დაუსრულებელი), რომელიც ცენტრში არათუ სადინარითაა აღჭურვილი, არამედ სამხრეთიდან კლდოვანი ბორდიურითაც (ტაბ. LIV$_1$). ამას

[112] გვირგვინის ანასახად მიჩნევა კომპლივუმისა ორბურჯიან დარბაზში მე მგონი დამაჯერებლობას მოკლებულია. შდრ. შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1944. გვ. 124-126; აგრეთვე ირ. ციციშვილი. ქართული არქიტექტურის ისტორია. თბ., 1955, გვ. 27.

[113] ნ. ხუნდაძე. ელინისტური ხანის მედაბურის სახლი უფლისციხე-ბამბებიდან. ძმ. №52, თბ., 1979, გვ. 50-53; გ. ყიფიანი, ნ. ამაშუკელი. კოლხური და ფრიგიული სახლები. თბ., 1995, გვ. 12-13; ტაბ. IX-X.



სურ. 46

ემატება „ნაქალაქარის" ტერიტორიაზე ყველა ნიშნით ახ. წ. I საუკუნის საწნახელები და საწურები შიდა მეურნეობისათვის.

მრავალი კითხვა ჩნდება თავისთავად და ერთი კი ძირითადი; თუ ვამტკიცებთ, რომ უფლისციხის თავდაპირველი ფუნქცია ეს კლდოვანი სამარხებია, რომლებითაც თანდათანობით მოხდა ამ სამკუთხა, კვერნაქის ქედიდან ნაშვერი მასივის ათვისება, მაშინ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას – ვინ იმარხებოდა უფლისციხეში და თუ ეს მართლაც სამარხია, რაღა უნდა აქ ცეცხლის სამლოცველოს ან სასიმაგრო ზოლი რაღა საჭიროა, რატომაა მთელი ეს ტერიტორია საკულტო მნიშვნელობისა.

გავიხსენოთ ლეონტი მროველის ერთ ფრიად საყურადღებო ცნობა „და მას ჟამსა დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკვლავთა ხუთთა და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი“[114]. ჯერ ერთი, „მას ჟამსა დაივიწყეს ღმერთი“, ეს რელიგიური დოქტრინის ცვლილებას მოასწავებს. სულ სხვა საკითხია, რა სიზუსტით შეიძლება ამ მოვლენის დათარიღება. გარდა ამისა, წყარო პირდაპირ აზუსტებს კულტს – ეს მიცვალებულის კულტია, ხოლო ამ კონტექსტში ქართლოსის მოხსენიება, კიდევ უფრო აზუსტებს ცნობას, გვიკონკრეტებს დოქტრინას, როგორც დინასტთა კულტს. და მაინც ამ ცნობის ყველაზე ინფორმატიულ ნაწილად მიმაჩნია - „იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკვლავთა ხუთთა“. ამით რელიგიური სისტემა მთლიანად იკვრება. ე.ი. ლეონტი მროველის მიხედვით ძვ.წ. V ს-ში (ეს ცნობა წინ უსწრებს ხაზართა გამოსვლას), გვაქვს ღვთაებრივი წარმოდგენის ოთხი კატეგორია: მზე, მთვარე, ვარსკვლავები და საფლავი, ანუ სამარხი. ამ დოქტრინის გასაღები ავესტაშია, ძველირანულ წმინდა წიგნში. მისი მიხედვით, მიცვალებულის სული აღწევს სამოთხეს სამი შუალედური საფეხურის გავლის შემდეგ: კეთილი ფიქრები, კეთილი სიტყვანი, კეთილი საქმენი და ყოველ საფეხურს შეესაბამება თავისი ადგილი ვარსკვლავებზე, მთვარეზე, და მზეზე და ეს პროცესი სრულდება მეოთხე, ფინალურ საფეხურზე, რაც სულის მოგზაურობის უკანასკნელ წერტილსა და საფეხურს წარმოადგენს – სამოთხე, ანუ უსასრულო სინათლე. რაც მთავარია, ირანში ამ იერარქიის ყოველ საფეხურს ცოცხალი არსებების კატეგორია შეესაბამება. ვარსკვლავებს – მცენარეულობა, მთვარეს – ცხოველები, მზეს – ადამიანი, უსასრულო სინათლეს - უფალი[115]. ეს დოქტრინა ავესტას სიძველისა ნამდვილადაა და ესაა ის, რაც ჩვენ გვაქვს ლეონტი მროველთან. ვარსკვლავები, მთვარე, მზე და ქართლოსის სამარხი, ანუ უფალი, ანუ „მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი“. ანუ გვაქვს ძველაღმოსავლური (გავიხსენოთ წინამორბედი ბაბილონური შვიდი პლანეტის თეორია), დოქტრინისეული მიცვალებულის კულტის არსებობის უტყუარი ფაქტი საქართველოში. ისიც უნდა ვთქვათ, რომ იგივე ლეონტი მროველის მიხედვით, უფლოსი, რომელსაც უფლისციხის დაარსება მიეწერება[116], ქართველთა ერთ-ერთი ეპო-

[114] ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქც I. გვ. 11.

[115] I. Dunchene – Guillemin. Fire in Iran and in Greece. EW(NS), vol. 13.2,3. 1962. გვ. 199-203.

[116] ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქც. I. გვ.10.



სურ. 47

ნიმია და ქართლოსის შთამომავალი. ცხადია, მან აქ ტრადიციულად, რეალურად არსებული პუნქტიდან ეპონიმი წარმოქმნა და ერთ-ერთ მამამთავარს, მისსავე შეთხზულ უფლოსს მიაწერა უფლისციხის დაარსება[117].

ასე, რომ ქართლის ცხოვრებისეული დინასტთა კულტი სრულ შესაბამისობაშია უფლისციხესთან და მის ცეცხლის სამლოცველოსთან, სადაც ცეცხლი დინასტთათვის უნდა ანთებულიყო. ეს მოვლენა ახასიათებდა მთელს აღმოსავლეთსა და არა მარტო მას. გავიხსენოთ თუნდაც სურხ-კოტალის მაგალითი (ირანის აღმოსავლეთი), სადაც ცეცხლის ტაძარში, რომელიც ყველა პრინციპული ელემენტით ზოროასტრულ ცეცხლის ტაძარს იმეორებს, დინასტთა კულტს ეძღვნებო-

[117] ივ. ჯავახიშვილი. ლეონტი მროველი. თხზულებანი. ტ. VIII. თბ., 1977. გვ. 180-181; ნ. ბერძენიშვილი. ქვეყნის ცენტრი – ციხე-ქვეყანა. სის. VIII- თბ., 1975. გვ. 112-113.

და[118]. ისედაც ცეცხლის რიტუალზე დაკვირვების შედეგად დასტურდება, რომ „ცეცხლი მეუფე“ ან „ცეცხლი უფალი“ შექმნილია სხვადასხვა ცეცხლისაგან და სულთა მოძრაობის ყველა იმ კატეგორიას, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისი საკუთარი ცეცხლი შეესაბამება[119].

საკულტო ქალაქს, მიცვალებულთა ქალაქს კი თავისი გარნიზონი, დაცვა, საფორტიფიკაციო ნაგებობანი უცილობლად უნდა ჰქონოდა და ეს მცირე აზიაში დადასტურებულია. ლიკიური სამარხის (კლდოვან მინოლითურ ბლოკში გამოკვეთილი) შიდა კედელზე გვაქვს გამოსახულება მიცვალებულთა ქალაქისა (სურ. 48), ლიკიისათვის დამახასიათებელი სამარხი ნაგებობებით, რომელსაც ირგვლივ მძლავრი სასიმაგრო ზოლი უვლის[120]. ამ სასიმაგრო ზოლს არც იქ და არც უფლისციხეში გარემოზე ბატონობის ფუნქცია არ ექნებოდა, იგი მხოლოდ საკულტო ტერიტორიას იცავდა.

ზემოთ, როცა განადგურებულ ქვაბულებზე ვსაუბრობდით, აღვნიშნეთ, რომ კლდოვან ხევს, რომელიც სათავეს F11 კვადრატში იღებს, კვლავ დავუბრუნდებოდით. აქ კლდოვანი მასივი გახლეჩილია შუაზე და წარმოშობილია ნაპრალი, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართება. მან ასევე შუაზე გახლიჩა დიდი ქვაბული, რომლის იატაკის დონე ნაპრალის ორსავე მხარესაა შემორჩენილი. რომაელების აქ დაფუძნებისას ეს ნაპრალი არსებობდა. წინაღმდეგ შემთხვევაში, მათ მიერ წამოწყებულ სასიმაგრო კედელში ნიაღვრისეული წყლების სადინარი არ შეიქმნებოდა. F12 კვადრატში, ხევის ძირში, მის ფსკერზე 1978-79 წლებში არქეოლოგიური კომპლექსი აღმოჩნდა[121], რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მრავალი ნიშნით: ჯერ-ერთი მისი შედგენილობით, მისი სოციალური ბუნებით, იგი სამარხეული კომპლექსია. ამასთანავე, მისი შემადგენელი ნივთები კონკრეტულ თარიღზე მიგვანიშნებს, და გარდა ამისა კომპლექსი ორ ორთვალა ეტლს შეიცავდა, რაც უიშვიათეს აღმოჩენათა რიცხვს განეკუთვნება[122].

---

118 D. Шлюмберже. Эллинизированный Восток. М., 1985. გვ. 63-64.

119 G. Gropp. Die Funktion des Feuertempels der Zoroastrier. AMJ (NF) B.2 1969. გვ. 160.

120 G. Perrot, Ch. Chipiez. Histoire de L'art dans L'Antiquite. t.v. Paris, 1890. გვ. 252-253; K. Kjeldsen, J.Zahle. Lykische Gräber.სურ. 8.

121 თ. სანიკიძე. უფლისციხე. გვ. 25-28. სურ.11, 12, 14-19.

122 გ. ყიფიანი. აღმოსავლური ეტლები უფლისციხიდან. სშკ. თბ., 2000. გვ. 261-272; G. Lortkipanidse, G. Kipiani. Die Kampfwagen des alten Georgiens. Caucasica. V.3. Tbilisi., 1999. გვ.86-92.



სურ. 48

საქმე ისაა, რომ მკვლევარნი ამ არქეოლოგიურ კომპლექსს, ტაძრებისადმი შეწირულობად მიიჩნევდნენ, საგანძურის ინვენტარად (რადგან ქვაბულებში სწორედ ტაძრებს გულისხმობდნენ) ან სამეფო სახელოსნოში შესაკეთებლად მიტანილ ინვენტარად, რადგან კომპლექსი მეფეთა რეზიდენციადაც მიაჩნდათ. საგანძურიც და სახელოსნოც უწინარეს ყოვლისა ნაგებობას გულისხმობს, ხოლო ხევის ფსკერზე მისი წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ძველად ისეთი სახელოსნოები, სადაც ეტლსაც შეაკეთებდნენ და დაზიანებულ კერამიკასაც ან ოქროს სამკაულს, ერთდროულად, არ არსებობდა. ისედაც უფლისციხე თავის საწყისს ეტაპზე, როგორც სამარხთა ერთიანობა, არასოდეს გააზრებულა. ამ სამარხეული კომპლექსის კატალოგი გამოკვლევითურთ გამოქვეყნებულია[123] და ამიტომ აქ მხოლოდ მოკლედ შევეხებით მის თითოეულ ნივთს ეს აუცილებლად მიმაჩნია, რადგან ეს არქეოლოგიური მასალა ნათლად მიგვანიშნებს უფლისციხის თავდაპირველ ფუნქციაზე. იგი შეიცავდა ქალის ტერაკოტულ ქანდაკებას - „კლდეზე ჩამომჯდარი ქალი“, – ტანაგრას სკოლის ქმნილებას, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება[124] (სურ. 49).

---

123 გ. ყიფიანი. უფლისციხის კლდოვანი სამარხის ინვენტარი (კატალოგი და შენიშვნები) აუ. I. თბ., 2000 გვ. 74-96.

124 თ. სანიკიძე. ტერაკოტა უფლისციხიდან. სხსმსს – IX (მთ) 1987. გვ. 6-7. გ. ყიფიანი. უფლისციხის კლდოვანი სამარხის... გვ. 74-75.

ატიკური შავლაკიანი ფიალების მინაბაძს, სამფეხა ჯამს, ომფალოსიან ფიალას, შავპრიალა დოქს, რომლის ზედაპირი წნეხვით მოდელირებული „წიწვებითაა“ შემკული, შავპრიალა დოქს ირიბი კანელურებით. დოქს მოწითალოს და თითქოს ბიკონუსური ფორმისას, ამფორისკს – სანელსაცხებლეს, რომლის ბევრი ანალოგი ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული, საქართველოში მრავლადაა მიკვლეული და მის წარმომშობ მხარედ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთია მიჩნეული ან ზოგადად მცირე აზია. ამათ გარდა აქვე აღმოჩნდა ფიგურული ჭურჭელი, მწყრის ფორმის რიტონი. იგი წინასწარულად ძვ.წ. IV-III საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს და ფრიგიული წარმოშობისა ჩანს, თიხის სფერული ჟღარუნა, რკინის პიქსიდა, რკინის დანა და შუბისპირი, ბრინჯაოს ზარაკები, თხის წვივების გამოსახულებანი ბრინჯაოსი, მას ზარდახშის ფეხებად მიიჩნევდნენ; მისი მსგავსი ფორმები საქართველოშიცაა მიკვლეული და ამასთანავე მისი ანალოგები, საკმაოდ მრავალრიცხოვანი, ყველა სამარხეულ კომპლექსებთანაა დაკავშირებული და ერთნაირად გავრცელებული ჩანს, როგორც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, ასევე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც. ძვლის „ცილინდრები“, ქამართან, ან სამოსის „ფოჩებთან“ დაკავშირებული, ძვლის კოვზი, ბეჭდის თვალი, ვარსკვლავისა და ვარდულის კომპოზიციით შედგენილი, ორფერა – თეთრისა და ნაცრისფერის მონაცვლეობა – ეგვიპტური ქაშანური;

ლურჯი მინის მძივები, თითისტარისებურნი განივი, თეთრი კლაკნილი ზოლებით (ტაბ. LXIII, LXIV)

ოქროს ნივთები, მილაკები დაღარული (577 ცალი) და სადა (230 ცალი) 8-9 მილიმეტრის სიგრძისა. ბურთულები 41 ცალი, 3 მილიმეტრის დიამეტრისა, რამდენიმე ცალი დაჭყლეტილია და დეფორმირებული და არა ნახევარფაბრიკატი, როგორც ეს მიჩნეული იყო, და ერთერთ არგუმენტად წარმოდგენილი ამ კომპლექსის სახელოსნოდ მიჩნევისათვის[125] (ტაბ. LXV4).

ოქროს ვარდულები, ექვსფურცლიანი 95 ცალი, მოზრდილთა დიამეტრი 10 მილიმეტრია მომცროსი 7 მილიმეტრი (ტაბ. LXV_3).

ოქროს ორი ფირფიტა, მოჩარჩოებულნი ორმაგი სავოლუტე ბაბთითა და ცენტრალურ არეებში შემკულნი ვარდულებითა და პალმეტთა სტილიზებური გამოსახულებებით. ეს ნიმუშები ოქროს წნული ბაბთების – ყელსაბამის დაბოლოებებია (სურ. 50, ტაბ. $LXV_{1,7}$).

[125] იხ. დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე... გვ. 27.

სურ. 49

ოქროს ფირფიტა, ლანცეტური ტიპის პალმეტი (ტაბ. LXV_2).

ოქროს ძაფებისაგან შედგენილი წნულის ფრაგმენტი (ბაფთის ნაშთი) (ტაბ. LXV_6)

ოქროს „ვარდულები“ 19 ცალი 1,3 სმ-ის დიამეტრისა, ცენტრი ამოზიდულია, მის გარშემო რვა ნახვრეტია განთავსებული, ხოლო კიდეს ირგვლივ 15-15 სფერული მარცვალი შემოუყვება – თითქოსდა აღმოსავლური ბორბლის სახეს იმეორებს (ტაბ. LXV3).

წყვილი საყურე, ქვის ბურთულები წვრილი ოქროს ძაფებისაგან შედგენილ ბადეშია ჩასმული (ტაბ. LXV5).



სურ. 50

ეტლები – აქამდე სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული იყო, რომ მიკვლეული იქნა ოთხი ბორბალი და ყველა მათგანი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ზომებით. ამდენად იგი ტაძრისადმი შეწირულობადაც მიიჩნიეს და სახელოსნოში შესაკეთებლად მიტანილ დეტალებადაც[126]. საქმე კი ის გახლავთ, რომ ამ კომპლექსის კუთვნილია არა მარტო ბორბლები, არამედ მთელი რიგი ეტლის ცალკეული დეტალებისა, რომლებიც არასოდეს მოუკვლევიათ თითქოს ისინი საერთოდ არც აღმოჩენილიყვნენ. ეს დეტალებია უპირველესად ბორბლის ფერსოს რკინის სალტეები, როგორც დიდი ეტლისა (სურ. 51), ასევე მცირე ეტლისა ან ეტლის მოდელისა. ლურსმნები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის და განკუთვნილი ბორბლებისათვის. სარჭები, ტრაპეციული დეტალები, რომელთა ადგილი ბორბლის კონსტრუქციაში უეჭველად ფიქსირდება; ღერძი დიდი ეტლისათვის, რკინის მასიური 5 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე ღერო, საგდულები ფარისებური, ბორბლის ღერძის თავებზე დასაფიქსირებელი დეტალები; მანის ფუძეთა გარსაკრავები; სხვადასხვა ზომის რგოლები და ხელნა – რკინის მასიური ღერძი, განივკვეთში რვაკუთხა მოყვანილობისა, იგი ნატეხების სახით შემორჩა და მისი საერთო სიგრძე 2 მეტრამდეა, ერთ მონაკვეთში იგი ზეაზიდულია და შემდეგ კვლავ სწორდება.

[126] თ. სანიკიძე. უფლისციხე. გვ. 25-28, დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე... გვ. 25-27.

დიდი ეტლის რეკონსტრუქციისათვის აქ ყველა დეტალი მოგვეპოვება (ტაბ. LXVI3-7, LXVIII, LXIX, LXX1-3). ბორბალი ე.წ. პროტექტორებიანია, ფერსოზე ზემოდან ჩასმული ქობიანი ლურსმნების ერთობლიობით მიღებული. ბორბლის დიამეტრი 182,8 სანტიმეტრია ანუ 4 სირიული წყრთა, წრეწირის სიგრძე კი 573,99 სანტიმეტრი გამოდის და თითოეული ბორბალი 90 ქობიან ლურსმანს ტვირთულობდა.

სურ. 51

ეს ბორბლები პრაქტიკული დანიშნულებისაა, რაც თავისთავად გამორიცხავს მის მიკუთვნებას შეწირულობისადმი. ძველ სამყაროში (საბერძნეთში ჯერ კიდევ ძვ.წ.ა. VI საუკუნეში) ღვთაებებს სწირავდნენ მხოლოდ მოდელებს.[127]

ეტლები, ორივე მათგანი, როგორც დიდი ასევე მცირე, ნახანძრალია, ისინი დაუწვავთ, რაც თავისთავად საყურადღებო ფაქტია და სავსებით შეესატყვისება დაკრძალვის რიტუალს. ცეცხლში განადგურებული ეტლები, რომლებიც სამარხეული ინვენტარიდანაა ცნობილი, პრაქტიკული დანიშნულებისა იყო პატრონის გარდაცვალებამდე და იწვება მისი დაკრძალვის რიტუალის დროს. უფლისციხის ამ მონაპოვრის მიხედვით შეიძლებოდა ეტლის გრაფიკული რეკონსტრუქციის წარმოსახვა, მაგრამ ასეთად შეიძლება ჩავთვალოდ და მივიღოთ ასურული რელიეფებიდან ნებისმიერი ის ეტლი, რომელთა ბორბლების დიამეტრი ოთხ წყრთას უდრის (უთანაბრდება ცხენის გავას) და პროტექტორებითაა აღჭურვილი (ტაბ. LXX4).

[127] L.H. Jeffery. The Local Scripts of Archaic Greece. Oxford. 1961. გვ. 403, 415.

ჯერ კიდევ არქაულ ხეთურ რიტუალში „მსუბუქი ეტლი“ წარმოგვიდგება როგორც მეფის ხელისუფლების სიმბოლო[128] და, აქედან მოკიდებული, იგი უწყვეტადაა დაკავშირებული მეფის ხელისუფლებასთან. განსაკუთრებით ეს ეხება (რელიეფთა, კედლის მხატვრობის, მოზაიკის მიხედვით), ოთხწყრთიან ბორბლებიან ეტლებს, რომლებზეც თითქოსდა უგამონაკლისოდ მხოლოდ მეფეები დგანან.

რაც შეეხება მცირე ეტლს, ანუ მის ფრაგმენტებს (ტაბ. LXVI1,2, LXVII), აქ არ შეგვიძლია, მიუხედავად იმისა, რომ ხელთ ბორბლის უტყუარი მოწმობა გვაქვს (რკინის, ფერსოს გარსაკრავი), ვისაუბროთ ეტლზე, როგორც პრაქტიკული დანიშნულების მქონე მექანიზმზე. მისი დიამეტრი მხოლოდ 45,7 სანტიმეტრია (1 სირიული წყრთა) და ძნელი წარმოსადგენია მისი პრაქტიკულობა, ამასთანავე არა გვაქვს აქ მისი შესაბამისი სხვა რკინის დეტალები დადასტურებული. ამდენად შეიძლება იგი მხოლოდ ეტლის მოდელად მივიჩნიოთ. გავიხსენოთ ხორსაბადის რელიეფი, სადაც ეტლის მოდელი მეფე სარგონის სამეფო ინსიგნიებთან ერთადაა გამოსახული[129].

ამდენად, ის სამარხი, რომელიც ნაპრალმა გააპო უფლისციხეში, მისი ჩვენამდე არასრულად მოღწეული (ნაწილს უთუოდ ჩარეცხავდა ნიაღვრები) ინვენტარით, „მეფის“ – ერთ-ერთი უფლის კუთვნილი უნდა ყოფილიყო.

ყველა მონაცემის ურთიერთშეჯერებით ისე გამოდის, რომ უფლისციხეში გვაქვს რეალური განხორციელება იმ რელიგიური დოქტრინისა, რომლის არსებობა ქართლში ლეონტი მროველმა გვამცნო. იგი კასპელი, ყველა ნიშნით ქართლის ერთ-ერთი მცირე ქვეყნის მმართველის – „მეფის“ ან „უფლის“ და მისი მოდგმის სამარხებია – პირობითად „უფლოსისა“. ანუ იგი ქართლის ცხოვრებისეული დოქტრინის შესაბამისი უმაღლესი, ან ერთ-ერთი უმაღლესი თაყვანისცემის ადგილია. დინასტთა კულტი უფლისციხეში ის რეალური სამყაროა, თანდათანობით, შესაძლოა, საწყის შინაარსშესუსტებული, მაგრამ ინერციით მომქმედი ძალა, რომელიც მთელი შუასაუკუნეების მანძილზე, XIX საუკუნემდე არსებობს აქ. მიცვალებულთა კულტი წინარექრისტიანულ წარმოდგენათა შორის ყველაზე მძლავრი ძალაა, იგი მთლიანად აღწევს, ცხადია, ტრანსფორმირებული და ქრისტიანული, წიგნიერი რელიგიის შესაბამისად სახეცვლილი, მაგრამ როგორც ხელუხლებელი და მყარი

[128] Т.В. Гамкрелидзе, В.В. Иванов. Индоевропейский язик и индоевропейцы.Том I. Тб., 1984. Стр. 76.

[129] G. Perrot, Ch. Chipiez. Histoire de L'Art. T. III.სურ. 23.

წარმოდგენა მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ღვთაებრივი წარმოდგენის ამ კატეგორიასთან იყო მხოლოდ შესაძლებელი მეტ-ნაკლები კომპრომისი ქართული ეკლესიისაგან.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ უფლისციხის ეკლესიის სახელწოდება – უფლისწული. მემკვიდრეობითობა ამ ორ სახელწოდებას შორისაც კარგად ჩანს, ძველსა და ახალ დოქტრინას შორის დიალოგი, „უფლისციხის“ საწყისი შინაარსის გათვალისწინება „უფლისწულის“ მიერ.

შემოკლებათა განმარტება

აჟ – არქეოლოგიური ჟურნალი, საქართველოს აკად. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
მსე – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
საკძ – საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება
სის – საქართველოს ისტორიის საკითხები
სმამ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე
სმასმგმ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე
სძსმსს – საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო სესია
სშკ – სამეცნიერო შრომების კრებული – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა
ძმ – ძეგლის მეგობარი
АГСП – Античные государства Северного Причерноморья
АН – Архитектурное наследство
ВИА – Всеобщая история архитектуры
ИАИО – История архитектуры избранних очерках
МИА – Материалы и исследования по археологий СССР
МСГИ – Международный симпозиум по Грузинскому искусству
СПИПАИ – Тезиси докладов посвященных итогам полевых археологических исследованый
AA – Archäologischer Anzeiger
AG – Ars Georgica
AMI – Archäologischer Mitteilungen aus Iran
ERC – Editions Recherche sur les Civilisation
EW (NS) – East and West, New Series
IM – Deutsches archäologisches Insititut, Abteilung Istanbul, Istanbuler Mitteilungen
JDI – Jahrbuch des Deutschen Archäologischen Instituts
KST – Kazi Sonuclari Toplantisi

ძირითადი ლიტერატურა უფლისციხის შესახებ

1. Dubois de Montpereux Fr. – Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkazes, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée III, aves un atlas, Paris, 1839-1843.
2. Gagarine Gr. – Le Caucase pittoresque, Paris, 1847,
3. K. Khimshiashvili, The Architecture of Uphlistsikhe, Georgia, Ancient Monuments Society, v. 43. 1999. გვ. 77 და შმდ.
4. C.F. Lehmann – Haupt, Armenien Einst und Jetzt. I. Berlin. 1910. II. 1926
5. შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია I. თბ., 1944, გვ. 121-126
6. К.Н. Мелитаури – Крепости дофеодальной и ранефеодальной Грузии, I. Тб., 1969. გვ.16-36.
7. Н.Чубинашвили. – Уплисцихе. Тб., 1967.
8. დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე I. თბ., 1964; II – 1067.
9. დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე – ქალაქი კლდეში. თბ., 1989.
10. გ. ლეჟავა. ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები. თბ., 1978. გვ. 7-8. ტაბ I-XXXI.
11. თ. სანიკიძე. უფლისციხე. თბ., 1987.
12. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. თბ., 1990 გვ. 88-109.
13. К.В. Химшиашвили. Зодчество Уплисцихе античного периода. Авт. дис. на соиск. уч. ст. КИН. Ереван. 1988.
14. გ. ყიფიანი. უფლისციხის განადგურებული ქვაბულები. „ნარკვევები“ V. თბ., 1999.
15. გ. ყიფიანი. უფლისციხის კლდოვანი სამარხის ინვენტარი (კატალოგი და შენიშვნები). „არქეოლოგიური ჟურნალი“ თბ., 2000.
16. გ. ყიფიანი. უფლისციხე. ქვაბულთა ატრიბუცია და ქრონოლოგიის საკითხები. „კავკასიის მაცნე“, №3. თბ., 2001, გვ. 98-106.

ილუსტრაციები ტექსტში

სურ. 1 უფლისციხე, სიტუაციური გეგმა
სურ. 2 უფლისციხის ხედი სამხრეთიდან
სურ. 3 რვაკუთხაკესონებიანი ნაგებობა
სურ. 4. დიუბუა დე მონპერეს გენერალური გეგმა
სურ. 5 გენერალური გეგმა
1-38 – ქვაბულები; 39-43 – განადგურებული ქვაბულები; 44- პერისტილური ეზო; 45-47 – კლდოვანი მოედნები; 48-53 – საწნახელები და საწურები; 54-56 – შეწყვილებული წრიული საწურები; 57-59 – ხაროები; 60 – გვირაბი; 61 – სამეკლესიანი ბაზილიკა „უფლისწული"; 62 – მარანი, 63 – ელინისტური სასიმაგრო კედლების ფრაგმენტები, 64 – გვიანანტიკური ხანის კოშკი და კურტინა, 65 – სამხრეთის კლდოვანი გზა; 66 – ჭა, 67 – კლდოვანი კაზემატებიანი კარიბჭე, 68 – გვიანანტიკური კარიბჭე – კლდეკარი, 69 – კლდოვანი ხევი, 70 – ჩრდილო-აღმოსავლეთის კარიბჭე; 71 – ჩრდილო-დასავლეთის კარიბჭე, 72 – კლდოვანი სტადიონი?; 73 – კლდოვანი მარისტრალი; 74 – შუასაუკუნეების სასიმაგრო კედლები; 75 – გვიანშუასაუკუნეების საცხოვრისები და ფარეხები, 76 – საქონლის სადგომად ათვისებული ქვაბული.
სურ. 6. კლდოვანი მოედანი უფლისციხის აღმოსავლეთ ხევის მოსაზღვრედ
სურ. 7. სამხრეთ-დასავლეთის კლდოვანი მაგისტრალი (ჭრილი)
სურ. 8. ჭა, გეგმა და ჭრილი
სურ. 9. კაზემატებიანი კარიბჭე, გეგმა და ჭრილი
სურ. 10. სასიმაგრო ზოლის მონაკვეთი G14-15 კვადრატში, გეგმა, 1. კაზემატებიანი კარიბჭე 2. ელინისტური ხანის სასიმაგრო კედლების კვალი – კლდეში ნაკვეთი საძირკვლის ბუდეები 3. რომაული პერიოდის კლდეკარი – კარიბჭე 4. რომაული პერიოდის კოშკი 5. რომაული პერიოდის კურტინა 6. არხი 7. შუასაუკუნეების კოშკები და კედლები
სურ. 11 სასიმაგრო ზოლების მონაკვეთი, ჭრილი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. 1. კაზემატებიანი კარიბჭე 2. ელინისტური ხანის სასიმაგრო კედლების ბუდეები 3. რომაული პერიოდის კლდეკარი 4. რომაული პერიოდის კოშკი 5. კურტინა 6 სადინარი 7. ალიზის აგურის წყობა 8. ადრეშუასაუკუნეების აგურის წყობა 9. გვიანშუასაუკუნეების კოშკი 10.გვიანშუასაუკუნეების სასიმაგრო კედლები

სურ. 12 სასიმაგრო ზოლის მონაკვეთი. ჭრილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. 1
ელინისტური სასიმაგრო კედლების კვალი 2. რომაული პერიოდის კოშკი 3. ალიზის აგურთა წყობა 4. სადინარი რომაული პერიოდის კურტინაში 5. ადრეშუასაუკუნეების აგურის წყობა 6. გვიანშუასაუკუნეების კოშკი 7. გვიანშუასაუკუნეების კედელი
სურ. 13 კლდოვანი მასივის განაკვეთი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ
სურ. 14 საქონლის სადგომად ათვისებული ქვაბული და მისი წინა ეზო C 8-ე კვადრატში.
სურ. 15 „მიუვალი" გამოქვაბული (C13 კვადრატი), ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
სურ. 16 ქვაბულები №№4,5,6,7 D13 – E15 კვადრატში
სურ. 17. შეწყვილებული „კოჭები" №6 ქვაბულის ჭერზე
სურ. 18 რვაკუთხა და კვადრატული „კასეტები" №7 ქვაბულის კამაროვან ჭერზე
სურ. 19 კვადრატულკასეტებიანი ჭერი №10 ქვაბულში
სურ. 20 რომბული კასეტის ანასახი №10 ქვაბულის ჭერზე
სურ. 21 „ორბურჯიანი დარბაზი", ინტერიერი
სურ. 22 „ორბურჯიანი დარბაზი", დარბაზის ჩრდილო-დასავლეთის კუთხე
სურ. 23 „ორბურჯიანი დარბაზი" ჭერი
სურ. 24 „ორბურჯიანი დარბაზი" დღევანდელი სახე (ჩანახატი)
სურ. 25 „ორბურჯიანი დარბაზის" მომცველი კლდოვანი მასივის სავარაუდო თავდაპირველი სახის რეკონსტრუქცია.
სურ. 26 სარეცლის ფრაგმენტები №17 ქვაბულიდან
სურ. 27 №17 ქვაბულის ჩრდილო-დასავლეთის კუთხე
სურ. 28 სწორკუთხა „კასეტები" №18 დარბაზის ჭერზე
სურ. 29 „ვარსკვლავა კამარა" №22 ქვაბულის ჭერზე
სურ. 30 ქვაბული №39. გეგმა და ჭრილი
სურ. 31 შუაზე გახლეჩილი ქვაბული (№41) გეგმა
სურ. 32. ქვაბული №41. ჭრილი
სურ. 33 კლდოვანი ბაზისი H6 კვადრატში გეგმა. ჭრილი
სურ. 34. № 43 ქვაბულის ნაშთი, გეგმა და ჭრილი (F6 კვადრატი)
სურ. 35 საწური C10 კვადრატში, გეგმა. ჭრილი
სურ. 36 საწნახელები D13 კვადრატში, გეგმა. ჭრილი
სურ. 37 საწნახელები C 12 კვადრატში, გეგმა

სურ. 38 საწნახელი G8 კვადრატში გეგმა. ჭრილი
სურ. 39 გვიანფეოდალური ხანის საწნახელი გეგმა. ჭრილი
სურ. 40 საწურები F16 კვადრატში გეგმა. ჭრილი
სურ. 41 ხარო F6 კვადრატში
სურ. 42 თონეები K18 კვადრატში, გეგმები და ჭრილები
სურ. 43 ეკლესია „უფლისწული“ გეგმა
სურ. 44 ეკლესიის სამშენებლო მოედანი. გეგმა
სურ. 45 მარანი, ხედი ჩრდილოეთიდან
სურ. 46 კლდოვან სამარხთა გეგმები 1-2. უფლისციხე

3. იუდეველთა სამარხი (ბრანდენბურგის მიხედვით) 4. სამარხი მცირეაზიიდან – კომაგენა (დორნერისა და ნიომანის მიხედვით) 5. კლდოვანი სამარხი პეტრაში (ფაიფის მიხედვით) 6- ურარტული კლდოვანი სამარხი (პიოტროვსკის მიხედვით) 7-8. სამარხი კამერები ალექსანდრიიდან (ბუსინგის მიხედვით) 9. სამარხი ქურთისტანიდან (ლიტვინსკისა და პიჩიკიანის მიხედვით) 10. შეწყვილებული სამარხი კამერები უფლისციხიდან 11. შეწყვილებული სამარხი ეტრურიიდან (დურმის მიხედვით) 12. სამარხი კამერა სარეცლებით უფლისციხიდან 13. სარეცლიანი სამარხი კამერა პაფლაგონიიდან (ფონ გალის მიხედვით) 14 წრიული ქვაბული უფლისციხიდან 15. წრიული ქვაბული ირანიდან (ხუფის მიხედვით) 16. ერდოიანი სამარხი კამერა უფლისციხიდან 17. ერდოიანი სამარხი ფრიგიიდან (გონეს მიხედვით) 18. კარის ღიობი კარიული სამარხიდან, გეგმა, ჭრილი (კილდსენისა და ცალეს მიხედვით) 19. კარის ღიობი უფლისციხის №1 ქვაბულიდან, გეგმა, ჭრილი 20. კაზემატებიანი კარიბჭე უფლისციხიდან 21-22. კაზემატებიანი კარიბჭეები ირანიდან ნაზორსა და გეზერში (კლაისის მიხედვით) 23. ანალოგიური გეგმარების ნაგებობა მცირეაზიიდან, ლიკია (ბორხარდტის მიხედვით)

სურ.47 ჭერთა „მორთულობის“ ნიმუშები 1. შეწყვილებული კოჭები 2-5 კოჭოვანი გადახურვის ნიმუშები 6-8. კასეტოვანი ჭერის ნიმუშები (ყველა უფლისციხე) 9. შეწყვილებული კოჭები პაფლაგონიიდან 10. კოჭოვანი „გადახურვის სახე“ პაფლაგონიიდან (ფონ გალის მიხედვით) 11. კასეტოვანი ჭერი ეტრუსკული კლდოვანი სამარხიდან (შტაინგრუბერის მიხედვით)

სურ. 48 ლიკიური მიცვალებულთა ქალაქის გამოსახულება
სურ. 49 ტერაკოტული ქანდაკება „კლდეზე ჩამომდარი ქალი
სურ. 50 ოქროს ფირფიტები, ყელსაბამის დაბოლოებები
სურ. 51. ქობებიანი ბორბლის ფრაგმენტი გამოვლენის პროცესში

ტაბულების აღწერილობა

I ქვაბული №1. 1-გეგმა 2-ქვაბულისა და მისი მომცველი კლდოვანი მასივის განაკვეთი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 3- „ფასადი“

II 1. ქვაბული №1. „ფასადი“ გადაღებულია 1920-იან წლებში (საქ. ხელოვნების სახ. მუზეუმის არქივი) 2- ქვაბული №3, სამხრეთ-დასავლეთი მხარე

III-1. გრ, გაგარინის ჩანახატი, უფლისციხის დასავლეთი ქარაფი 2- გრ. გაგარინი ნახატი. უფლისციხის საერთო ხედი სამხრეთიდან

IV ქვაბული №2, „მიუვალი გამოქვაბული“. 1-გეგმა 2-განაკვეთი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 3-განაკვეთი წინა დარბაზზე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ 4-ჭერი. კოჭოვანი გადახურვის ანასახი

V-1 ქვაბული №8, გეგმა 2- განაკვეთი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ 3-ნაგებობა №3, გეგმა

VI-1 ქვაბული №8. ფასადი 2-ქვაბული №8, საფეხურები 3-№21 ქვაბულის ხედი აღმოსავლეთიდან 4-№21 ქვაბულის უკიდურესი სამხრეთი კამერის ჩაქცეული „ვარსკვლავა კამარა

VII-ქვაბულთა რიგი №№4,5,6,7 გეგმა

VIII-1 ქვაბული№7 „რვაკუთხა კესონებიანი“ ნაგებობა, მისი ზედა ნაწილი 2- იგივე, პუნქტირით ნაჩვენებია ღიობის თავდაპირველი კონტური 3- რვაკუთხაკესონებიანი კამარა, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან 4- ქვაბული №7, დიუბუა დე მონპერეს ნახატი

IX-1 ნაგებობათა რიგი №№4,5,6,7 გრძივი განაკვეთი 2- რვაკუთრა კესონები (ანაზომი)

X-რვაკუთხა კესონებიანი ნაგებობის (№7) განაკვეთი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ხედი დასავლეთისაკენ

XI-1 ქვაბული №6 „შეწყვილებულკოჭებიანი“ ნაგებობა, ჭრილი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ხედი დასავლეთისაკენ 2-№7 ნაგებობა, დასავლეთი კამერის განაკვეთი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ხედი დასავლეთით 3-№6 ნაგებობის ჭერი, შეწყვილებული კოჭების ანასახი

XII-1 უფლისციხის ცენტრალური ტერასის სამხრეთი მონაკვეთის ხედი აღმოსავლეთიდან. მარცხნივ ჩანს ქვაბული №9, მარჯვნივ №32. უკანა პლანზე №12 2- ქვაბული №9. ხედი დასავლეთიდან

XIII-№9 ქვაბული 1- გეგმა 2- განაკვეთი „წინა ეზოზე“. ხედი დასავლეთისაკენ 3-კოჭოვანი გადახურვის ანასახი ჭერზე დასავლეთის კამერაში

XIV ქვაბულები №№10,11 1- ხედი სამხრეთიდან 2-№10 ქვაბულის საფეხურები და კამარული „გადახურვა“ 3-№11 ქვაბულის დასავლეთი მხარე 4-ხარისხედი №19 ქვაბულის „წინა ეზოში“

XV№№10.11 ქვაბულების გეგმა

XVI-1 №10 ქვაბული, ჭრილი 1-1 2.№10 ქვაბულის კვადრატულკესონებიანი ჭერის ანასახი შუალედურ კამერაში

XVII 1 №№10,11 ქვაბულები. განაკვეთი „წინა ეზოებზე“ ხედი ჩრდილოეთით 2- ჭრილი 3-3 3- ჭრილი 2-2

XVIII ქვაბულები №№10,11, აქსონომეტრიული გეგმა, რეკონსტრუქციის ელემენტებით

XIX ქვაბულთა განაკვეთები მათი მომცველი კლდოვანი მასივებითურთ 1- განაკვეთი №7 და №12 ქვაბულზე სამხრეთ-ჩრდილოეთ ხაზზე. ხედი აღმოსავლეთით 2- განაკვეთი №12 ქვაბულზე, №32, კლდოვან ხევზე (№41, №69) და №№10,12 ქვაბულებზე ჭრილის ხაზი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ხედი ჩრდილოეთით 3- განაკვეთი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ №2 (მიუვალი გამოქვაბული) და №9 ქვაბულებზე. ხედი ჩრდილოეთისაკენ

XX №12 ქვაბული. ორბურჯიანი დარბაზი. გეგმა

XXI1- №12 ნაგებობის ჭრილი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ხედი ჩრდილოეთით. 2-კოჭოვანი გადახურვის ანასახი ჭერზე

XXII №12 ქვაბულის განაკვეთი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ხედი დასავლეთით

XXIII №12 ქვაბული. ჭრილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ხედი ჩრდილოეთით

XXIV 1- ორბურჯიანი ნაგებობა (№12) ინტერიერი. გრ. გაგარინის ნახატი. 2- იგივე, ფოტო გადაღებულია 1950 წელს (საქ. ხელოვნების სახ. მუზეუმის არქივი) 3- წრიული ჩაღრმავება №12 ნაგებობის „წინა ეზოში“

XXV №12 ქვაბული. დეტალები. 1- ჩრდილოეთის კედლის მარცხენა სარკმელი საფეხურებითურთ. 2- ღიობი ჭერში. 3- ნიშადყოფილი ღიობი დარბაზის დასავლეთ კედელში 4- კაპიტელი დასავლეთის კედლის თაღედის პილონზე. 5- დარბაზის დასავლეთი კედლის თაღედი.

XXVI №12 ნაგებობა. 1 – საერთო ხედი ჩრდილოეთიდან 2-3 – „წინა ეზოს“ კარის პილონები ვერტიკალური ღარებით 4-5 დარბაზის კარის ღიობის პილონების ვერტიკალური ღარები 6-7 კპილასტრთა კვალი „წინა ეზოში“

XXVII №13 ნაგებობის გეგმა, ქვაბულთა რიგი

XXVIII 1 – №13 ნაგებობის გრძივი განაკვეთი ხედი ჩრდილოეთით 2- №13 ნაგებობის დასავლეთი ქვაბულის ჭრილი. ხედი დასავლეთით 3- №13 ნაგებობის ცენტრალური მარცხენა ქვაბულის განაკვეთი, ხედი აღმოსავლეთით

XXIX 1 – №14 ნაგებობის გეგმა. 2- ჭრილი 1-1- 3- ჭრილი 2-2

XXX №15 ნაგებობა. გეგმა

XXXI 1 – ქვაბულები №№16,17. გეგმა. 2 – ჭერის სახე №17 ქვაბულში 3- №17 ქვაბულის ჩრდილოეთის კედელი

XXXII 1 – №16 ქვაბულის გრძივი განაკვეთი 2 – №17 ქვაბულის გრძივი განაკვეთი. ხედი აღმოსავლეთით.

XXXIII 1 – №№15,16,17 ქვაბულების ხედი სამხრეთიდან 2 – №15 ქვაბული სამხრეთიდან 3 – ცენტრალური ტერასის დასავლეთი მონაკვეთის ხედი აღმოსავლეთიდან 4 – ქვაბულები №№18 და 19 ხედი აღმოსავლეთიდან

XXXIV 1 – №№18 და 19 ქვაბულების „ფასადი“, უკანა პლანზე №20 ქვაბულის მომცველი კლდოვანი მასივი 2 – №18 ნაგებობა. გეგმა. 3- სწორკუთხა კესონებიანი ჭერის ანასახი №18 ქვაბულში

XXXV 1 – №18 ქვაბულისა (მაღალტახტიანი ოთახი) და მისი „წინა ეზოს“ (რომაული აბანოს ნაშთები) გრძივი განაკვეთი. ხედი სამხრეთით. 2 – №18 და №20 ქვაბულებისა და მათი მომცველი კლდოვანი მასივის განაკვეთი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ჭრილის ხაზში მოხვდა ქვაბული №20. პერისტილური ეზო (№44), ნაწილობრივ ქვაბული №19 და ქვაბული №18

XXXVI 1- ქვაბულების №18, №19 და რომაული აბანოს ნაშთების (მათ შორის ნატაციოსი) ერთიანი გეგმა. 2- №18 და №19 ქვაბულების ერთიანი ჭრილი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ხედი დასავლეთით

XXXVII 1- №19 ნაგებობა (ერთბურჯიანი დარბაზი). გეგმა. 2 – განაკვეთი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ხედი დასავლეთით. 3 – განაკვეთი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ხედი ჩრდილოეთით

XXXVIII №19 ნაგებობა. დეტალები 1 – ცენტრაულრი ბურჯი 2 – კედლის ბურჯი 3 – კარის ღიობი 4 – ჩრდილო-აღმოსავლეთის ნიში

XXXIX №20 ნაგებობა. გეგმა

XL 1 – №20 ნაგებობის განაკვეთი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ხედი აღმოსავლეთით 2. ჭერის ანასახი, კოჭოვანი გადახურვა

XLI 1 – №20 ნაგებობის ხედი სამხრეთიდან 2 – ნაგებობის ცენტრალური ოთახის აღმოსავლეთი კედელი 3 – საერთო ხედი №21 და №20 ნაგებობებისა

XLII №21 ნაგებობა 1 – გეგმა. 2 – გრძივი განაკვეთი 1-1 3 – განაკვეთი 2-2 4 – განაკვეთი 3-3

XLIII №22 ნაგებობა. 1 – გეგმა. 2 – განაკვეთი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ხედი დასავლეთით

XLIV 1 – ქვაბულები №№35 და 36 2 – ქვაბული №29 3 – ქვაბულები №№24 და 23

XLV 1 – ქვაბულები №23 და 24. გეგმა. გრძივი განაკვეთი.

XLVI 1 – ქვაბულები №№25 და 26. გეგმა 2 – ჭრილი 1-1 3 – ჭრილი 2-2. 4-5 – ქვაბული №27, გეგმა და ჭრილი.

XLVII – 1 – ქვაბულები №35 და №36. გეგმა. 2 – ჭრილი № 35 ქვაბულზე. 3 – ჭრილი №36 ქვაბულზე 4- 35-ე და 36-ე ქვაბულების ერთიანი განაკვეთი 5-6 ქვაბული №32, გეგმა და ჭრილი. 7 – ქვქბულები №28 და 29, გეგმა 8 – ჭრილი 1-1 9 – ჭრილი 2-2.

XLVIII გვირაბის სათავე და ქვაბული №37. გეგმა 2 – ჭრილი2-2 3 – ჭრილი 1-1 4 – გვირაბის განივი განაკვეთი

XLIX 1 – კლდოვანი ბაზილიკა (№38) ოთხბურჯიანი ნაგებობა 2 – სიგრძივი განაკვეთი ხედი ჩრდილოეთისაკენ 3 – განივი განაკვეთი ხედი აღმოსავლეთისაკენ

L კლდოვანი ბაზილიკა. დეტალები 1 – ნაგებობის ცენტრაულრი არე, ბურჯებს შორის ფართობი 2 – ნაგებობის იატაკი და ჩრდილოეთის ბურჯები 3- ჩრდილოეთის კედლის თაღედი

LI კლდოვანი ბაზილიკა. დეტალები 1 – თაღედის იმპოსტის კვალი 2 – ჩრდილო-დასავლეთის ბურჯის ფრაგმენტი 3-4 ისოდომური წყობის ფრაგმენტები ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში 5 – ნაგებობის ზღუდის ფრაგმენტი. შუასაუკუნეების წყობა 6 – ცეცხლის საკურთხევლის ზედა ფილა შუასაუკუნეების კედლის წყობაში 7 – ნაგებობის კარის ღიობები.

LII ბაქანი (№40) ნაქვაბართა კვალით. 1 – გეგმა 2 – ჭრილი 3 – ხარო ბაქნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში

LIII 1 – სამხრეთის მაგისტრალი 2 – რომაული პერიოდის კლდეკარი

LIV 1- უფლისციხისაკენ აღმოსავლეთიდან მომავალი კლდოვანი მაგისტრალის ფრაგმენტი 2 – კლდოვანი გზა სადინარითურთ 3 – პერისტილური ეზო

LV 1 – შუასაუკუნეების კოშკი (№71) 2 – სასიმაგრო ზოლის ფრაგმენტი, ჩანს რომაული პერიოდის ქვათლილებიანი წყობა ადრეშუასაუკუნეების აგურის სტრუქტურა და შუასაუკუნეების შერეული წყობის ფრაგმენტი

LVI 1 – მერცხლისკუდა სამაგრებით შეკავშირებული ქვების წყობა რომაული პერიოდის სასიმაგრო სისტემაში 2 – რომაული პერიოდის კოშკის დასავლეთის ფასადი 3 – რომაული პერიოდის კურტინა და სადინარი

LVII ელინისტური სასიმაგრო კედლების ფრაგმენტები 1 – წყობის ფრაგმენტი – კოშკი? (№36), გეგმა 2 – ფასადი 3 – ჭრილი 4 – სასიმაგრო კედლის საძირკვლის კლდეში ნაკვეთი ბუდეები. გეგმა 5 – ჭრილი

LVIII 1 – უფლისციხის აღმოსავლეთი საზღვარი და კლდოვანი მოედანი. გადაღებულია 1962 წელს შვეულმფრენიდან (საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქივი) 2 – კაზემატებიანი კარიბჭე

LIX 1 – კლდოვანი ხევი, №13 ნაგებობის ფრაგმენტი და ეკლესია უფლისწული (№61) აღმოსავლეთიდან 2 – ეკლესიის დასავლეთი ფასადი 3 – ეკლესიის ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

LX 1 – ეკლესიის დასავლეთის კარის კლდოვანი აღსავალი 2 – ანტროპომორფული ჯვრის გამოსახულება კლდეზე, ეკლესიის დასავლეთი კარის ფუძეზე 3 – ცენტრალური ტერასა, აქსონომეტრული ჩანახატი. 4 – ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი

LXI 1 – კლდოვანი ხევი (№69) და მის მიერ შუაზე გახლეჩილ ქვაბულთა ნაშთები (№41) 2 – გვირაბის ბოლო კლდოვანი ბორცვის სამხრეთ არეში

LXII ცენტრალური ტერასის საერთო ხედი შვეულმფრენიდან. გადაღებულია ი. გინგელდორფის მიერ 1962 წელს.

LXIII უფლისციხის კლდოვანი სამარხის ინვენტარი, 1 – რიტონი 2 – დოქი 3 – შავპრიალა დოქი 4 – ფიალა (მინაბაძი) 5 – შავპრიალა დოქი 6 – ომფალოსიანი ფიალა 7 – მორკალურფეხებიანი ჯამი 8 – დოქი

LXIV 1 – რიტონი 2 – დოქი 3 – შავპრიალა დოქი 4 – ფიალა (მინაბაძი) 5- შავპრიალა დოქი 6 – ომფალოსიანი ფიალა 7 – მორკალურ-ფეხებიანი ჯამი 8 – დოქი 9 – სანელსაცხებლე 10 – რკინის პიქსიდა 11 – ბეჭდის თვალი (ეგვიპტური ქაშანური?) 12 – თიხის ჟღარუნა 13 – რკინის შუბისპირი 14 – რკინის დანა 15 – ბრინჯაოს ზარაკები 16 – თხის წვივების გამოსახულებანი (ბრინჯაო) 17 – ძვლის ლილვიანი ცილინდრები 18 – ძვლის კოვზი 19-ძმივები

LXV 1-2 – მცირე ზომის ეტლის ფერსოს ფრაგმენტები 3-6 – დიდი ეტლის ქობებიანი ბორბლის ფერსოს გარსაკრავის ფრაგმენტები 7 – ხელნა

LXVI 1 – ოქროს ფირფიტები ვარდულებითა და პალმეტით 2 – ოქროს ფირფიტა-პალმეტი 3 – ოქროს ვარდულები 4 – ოქროს დაღარული და სადა მილაკები, ბურთულები 5 – ოქროს საყურეები 6 – ოქროს ძაფებისაგან შედგენილი წნულის ფრაგმენტები 7 – ყელსაბამი, რეკონსტრუცია

LXVII 1- მცირე ეტლის ბორბლის ფერსოს გარსაკრავი, აქსონომეტრია 2 – სარჭი 3-5 მანჭვლები 6 – ბორბლის ფერსოს გარსაკრავი. გვერდხედი, ჭრილი, ზედხედი 7 – ბორბლის ფერსოს რეკონსტრუქცია 8 – ბორბლის რადიუსი

LXVIII 1-2 დიდი ეტლის ბორბლის ფერსოს გარსაკრავი, გვერდხედი, ჭრილი, ზედხედი 3 – ქობიანი ლურსმანი 4 – სარჭი, ძირი, ჭრილი, წინხედი 5 – საგდულები. ხედი და ჭრილები 6-8 რკინის რგოლები

LXIX 1 – ბორბლების რკინის ღერძი 2 – მანის ფუძეთა გარსაკრავები-სალტე, ხედი, ჭრილი 3 – რკინის ღერძიანი რგოლი 4 – ხელნა 5 – დიდი ეტლის ბორბლის ფერსო, რეკონსტრუქცია

LXX 1 – ფერსოს რეკონსტრუქცია, ჭრილი სარჭზე 2 – ჭრილი ქობიან ლურსმანზე 3- დიდი ეტლის პროტექტორიანი ბორბლის რეკონსტრუქცია 1. ქობიანი ლურსმანი. 2. ფერსოს რკინის გარსაკრავი 3. სარჭები 4. ფერსო 5. მანი. 6. მანის სარტყელი 7. ღერძი 4 – ასურული ეტლი ტელ ბორსიბას სასახლის კედლის მხატვრობიდან 1.ქობიანი ლურსმანი 2. ფერსოს გარსაკრავი 3. სარჭები 4. ფერსო 5. მანი 6. მანის სარტყელი 7. ღერძი.

ტაბულები

ტაბულა I



ტაბულა II

1



2

ტაბულა III



1

2

ტაბულა IV



ტაბულა V



ტაბულა VI



1

2

3

4

ტაბულა VII



ტაბულა VIII



1



2



3

4

ტაბულა IX



ტაბულა X



ტაბულა XI



1



2



3

ტაბულა XII

1



2

ტაბულა XIII



1



2



3

ტაბულა XIV

1



2

3



4

ტაბულა XV



ტაბულა XVI



1



2

ტაბულა XVII



1



2



3

ტაბულა XVIII



ტაბულა XIX







ტაბულა XX



ტაბულა XXI



1



2

ტაბულა XXII



ტაბულა XXIII



ტაბულა XXIV

1

2



3

ტაბულა XXV



1



2



3



4

5

ტაბულა XXVI

1



2



3



4



5



6



7

ტაბულა XXVII



ტაბულა XXVIII



1



2



3

ტაბულა XXIX



1



2



3

ტაბულა XXX



ტაბულა XXXI



1



2



3

ტაბულა XXXII



1



2

ტაბულა XXXIII



1

2

3



4

ტაბულა XXXIV







ტაბულა XXXV





ტაბულა XXXVI



1

2

ტაბულა XXXVII



1



2



3

ტაბულა XXXVIII

1

3



2

4

ტაბულა XXXIX







ტაბულა XL



1



2

ტაბულა XLI



1



2



3

ტაბულა XLII



2



4



3



1

ტაბულა XLIII



1



2

ტაბულა XLIV



1



2



3

ტაბულა XLV



1



2

ტაბულა XLVI



ტაბულა XLVII



ტაბულა XLVIII



ტაბულა XLIX



ტაბულა L



1

2



3

ტაბულა LI

1



2



3

4

5



6

7

ტაბულა LII



1



3



2

ტაბულა LIII

1

2

ტაბულა LIV

1



2

3

ტაბულა LV

1

2

ტაბულა LVI

1

2

3

ტაბულა LVII



ტაბულა LVIII

1

2

ტაბულა LIX

1



2



3



ტაბულა LX

2



1



3

4



ტაბულა LXI

1

2

ტაბულა LXII

ტაბულა LXIII

ტაბულა LXIV



ტაბულა LXV



ტაბულა LXVI



ტაბულა LXVII



ტაბულა LXVIII



ტაბულა LIX



ტაბულა LXX





1

2



ISBN 99928-65-81-4